საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები,
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობის ანგარიში და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 1
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიში 3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში 4

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე:

1. შესავალი 5
2. ჯგუფის საოპერაციო გარემო 6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები 6
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 18
5. ახალი და გადასინჯული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება 20
6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები 22
7. ძირითადი საშუალებები 27
8. საინვესტიციო ქონება 28
9. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები და ფინანსური იჯარის ვალდებულებები 29
10. სხვა გრძელვადიანი აქტივები 30
11. გაცემული სესხები 30
12. მარაგები 33
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 33
14. ფული და ფულის ეკვივალენტები 35
15. საწესდებო კაპიტალი 35
16. აღებული სესხები 36
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 37
18. შემოსავლები 38
19. გაყიდული საქონლის თვითღირებულება 39
20. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები 40
21. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 40
22. სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა 41
23. ფინანსური ხარჯები 41
24. ფინანსური რისკის მართვა 41
25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 44
26. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები 45
27. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 46
28. მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდგომ 48

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის მესაკუთრეს და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის (შემდგომში „კომპანია") და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი") კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფის საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2022 წლის 22 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

ათასობით ლარში	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	105,323	111,394
საინვესტიციო ქონება	8	6,266	6,193
აქტივის გამოყენების უფლება	9	482	1,222
გუდვილი		726	726
არამატერიალური აქტივები		386	486
ინვესტიციები ასოცირებულ პირებში		736	678
გაცემული სესხები	11	2	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	15,026	15,537
სხვა გრძელვადიანი აქტივები	11	25,086	25,088
სულ გრძელვადიანი აქტივები		**153,993**	**161,325**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	7,533	7,557
გაცემული სესხები	11	57,593	47,573
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	9,485	20,253
წინსწრებით დაფარული საგადასახადო ვალდებულებები		721	1,074
შეზღუდული ფული	14	10,554	11,163
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	23,231	2,198
სულ მიმდინარე აქტივები		**109,117**	**89,818**
სულ აქტივები		**263,110**	**251,143**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	7,720	7,720
გაუნაწილებელი მოგება		100,931	105,652
კაპიტალი, რომელიც მიეკუთვნება:			
კომპანიის მფლობელებს		108,651	113,372
არაკონტროლირებადი წილის მფლობელებს		335	500
სულ კაპიტალი		**108,986**	**113,872**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
აღებული სესხები	16	104,644	27,091
საიჯარო ვალდებულება		414	1,104
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**105,058**	**28,195**
მიმდინარე ვალდებულებები			
აღებული სესხები	16	38,130	88,860
საიჯარო ვალდებულება	9	215	495
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	10,113	17,090
საგადასახადო ვალდებულებები		608	2,631
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**49,066**	**109,076**
სულ ვალდებულებები		**154,124**	**137,271**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**263,110**	**251,143**

დამტკიცდა და მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 22 ნოემბერს ხელი მოაწერეს:

_____	_____
მალხაზ იასეშვილი	თეონა კორტი
ადმინისტრაციული დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

ათასობით ლარში	შენიშვნები	2021	2020
შემოსავალი	**18**	**93,997**	**141,217**
გაყიდული საქონელის თვითღირებულება	19	(58,717)	(106,456)
საერთო მოგება		**35,280**	**34,761**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	20	(10,590)	(11,678)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(9,063)	(10,721)
სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა	22	(16,018)	(3,293)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**(391)**	**9,069**
საინვესტიციო ქონების გადაფასებისგან მიღებული მოგება/(ზარალი)	8	33	(288)
ფინანსური შემოსავალი		5,796	4,232
ფინანსური ხარჯები	22	(10,557)	(13,684)
ასოცირებული პირების მოგების წილი		304	124
ზარალი მოგების გადასახადამდე		**(4,815)**	**(547)**
მოგების გადასახადი		-	-
წლის ზარალი		**4,815)**	**(547)**
		(	
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		-	-
მთლიანი სრული ზარალი		**(4,815)**	**(547)**
მთლიანი სრული ზარალი, რომელიც ეკუთვნის:			
კომპანიის მფლობელებს		(4,711)	(154)
არაკონტროლირებადი წილის მფლობელებს		(104)	(393)
მთლიანი სრული მოგება/ზარალი		**(4,815)**	**(547)**

	მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელს				
ათასობით ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არაკონტროლირებადი წილი	სულ
2020 წლის 1 იანვარს	**7,720**	**119,391**	**127,111**	**955**	**128,066**
მთლიანი სრული ზარალი	**-**	(154)	**(154)**	(393)	**(547)**
სხვა სრული შემოსავალი	**-**	-	**-**	-	**-**
გამოცხადებული დივიდენდები	**-**	(13,585)	**(13,585)**	(62)	**(13,647)**
2020 წლის 31 დეკემბერს	**7,720**	**105,652**	**113,372**	**500**	**113,872**
მთლიანი სრული მოგება	**-**	(4,711)	**(4,711)**	(104)	**(4,815)**
სხვა სრული შემოსავალი	**-**	-	**-**	-	**-**
გამოცხადებული დივიდენდები	**-**	(10)	**(10)**	(61)	**(71)**
2021 წლის 31 დეკემბერს	**7,720**	**100,931**	**108,651**	**335**	**108,986**

ათასობით ლარში	შენიშვნები	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		117,127	143,768
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(71,646)	(93,785)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(9,171)	(9,415)
საოპერაციო საქმიანობიდან გამომუშავებული ფულადი ნაკადები		**36,310**	**40,568**
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(8,934)	(9,299)
გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები		(16,489)	(22,538)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული, წმინდა		**10,887**	**8,732**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შეზღუდული ფულის კლება		-	4,898
ასოცირებული კომპანიებისგან მიღებული დივიდენდები		248	136
ასოცირებული კომპანიის საწესდებო კაპიტალის ზრდა		(2)	(2)
გაცემული სესხები		(169)	(5,132)
ფინანსური მოთხოვნის შესყიდვა		(1,568)	(1,970)
სესხის მოთხოვნის გადმოცემისთვის გადახდილი თანხა	11	(19,976)	-
გაცემული სესხების დაფარვა		-	5,286
მიღებული პროცენტი		467	653
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(3)	(34)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(602)	(909)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		14	293
საინვესტიციო საქმიანობაში მიღებული ფული, წმინდა		**(21,591)**	**3,219**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების აღება	16	185,762	8,279
სესხების დაფარვა	16	(153,630)	(16,375)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(321)	(442)
გადახდილი დივიდენდები		(59)	(13,904)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული, წმინდა		**31,752**	**(22,442)**
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**21,048**	**(10,492)**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**2,198**	**11,276**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(15)	1,414
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**23,231**	**2,198**

1. შესავალი

შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" ("კომპანია" ან "სსეკ") დაარსდა 2005 წლის 11 ივლისს და მდებარეობს საქართველოში. ჯგუფი და მისი შვილობილი კომპანიები ("ჯგუფი" ან "სსეკ ჯგუფი") ერთობლივად შექმნილია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 230866783

ჯგუფის უშუალო მშობელი კომპანიაა შპს. "ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი", რომელიც დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფის უშუალო მშობელი კომპანია არის მარშალის კუნძულების კანონმდებლობის შესაბამისად დაარსებული „ჩემექსიმ ინთერნეიშენალ ლიმითედ“, იურიდიული მისამართით: თრასთ ქომფანი კომპლექს, აჯელტაკეს ქუჩა, აჯელტაკეს კუნძული, მაჯურო, მარშალის კუნულები MH96960. ჯგუფს საბოლოოდ აკონტროლებს ბატონი დავით ბეჟუაშვილი.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფი არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების ჯგუფის დამფუძნებელი, რომელთა ძირითადი საქმიანობა მოიცავს მოიცავს ელექტროენერგიის გენერირებას, გაზგასამართი სადგურების ოპერირებას, გაზზე მომუშავე ავტომანქანების ტესტირებას, საინჟინრო და გვერდით საკონსულტაციო საქმიანობას.

ელექტროენერგია გამომუშავდება თბოელექტროსადგურის ("თბილსრესის") და საქართველოს მასშტაბით მდებარე 8 ჰიდროელექტროსადგურის მიერ, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. ელექტროენერგია იყიდება სხვადასხვა კერძო ჯგუფსა და სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ ელექტროენერგიის ბაზრის კომერციულ ოპერატორზე („ესკო“). თბოელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 272 მეგავატია და მისი გასაყიდი ტარიფი დგინდება ნორმატიული აქტით. ჯგუფის მფლობელობაში არსებული თითოეული ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 13 მგვტ-ზე ნაკლებია და მათი ტარიფები დერეგულირებულია.

ჯგუფი ბუნებრივ აირს ყიდულობს კავკასიის რეგიონში მოქმედი გაზის მომწოდებლებისგან, რომელთაც შეუძლიათ დიდი მოცულობის აირის მიწოდება. გაზის ძირითადი მომხმარებლები მსხვილი ქართული საწარმოები და გაზგასამართი სადგურების ქსელებია. ჯგუფი ასევე ჩართულია გაზის საცალო ვაჭრობაში საკუთარი გაზგასამართი სადგურების საშუალებით.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ძირითად შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	2021 წლის 31 დეკემბერი, წილი/ხმის მიცემის უფლება	2020 წლის 31 დეკემბერი, წილი/ხმის მიცემის უფლება	ყიდვის/დაარსების წელი	ინსუსტრია
შპს ფაუერ თრეიდი	100.0%	100.0%	2012	ელექტროენერგიით ვაჭრობა
შპს სი პაუერი	100.0%	100.0%	2015	ელექტროენერგიის გამომუშავება
შპს რიცეულაჰესი	88.5%	88.5%	2008	ელექტროენერგიის გამომუშავება
შპს ნეოგაზი	100.0%	100.0%	2014	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს აჭარა ავტოგაზი	74.0%	74.0%	2009	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს მობილგორიგაზი	55.0%	55.0%	2011	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს დელტა პე	50.0%	50.0%	2015	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს იქს გაზი	50.0%	50.0%	2012	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ახალგაზი	50.0%	50.0%	2010	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს იბერგაზი	50.0%	50.0%	2010	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ორთაჭალა გაზი	100.0%	100.0%	2016	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერი - EPC	51.0%	51.0%	2012	ჰესების ინჟინერია
შპს ჯიეკ სოლუშენსი	100%	100%	2019	საინჟინრო და გვერდითი საკონსულტაციო საქმიანობა
შპს ჯითი პაუერ ვენჩერსი	50%	50%	2019	საინჟინრო საქმიანობა

რეგისტრირებული მისამართი და ბიზნესის წარმოების ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია, გაზაფხულის ქ. #18, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო. ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფში დასაქმებული იყო 836 თანამშრომელი (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 865 თანამშრომელი).

2. ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი ბიზნეს აქტივობები საქართველოს ფარგლებშია. საქართველო ავლენს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციასა და მაღალ საპროცენტო განაკვეთს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს აქვს შედარებით სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა გამოხატული დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

2020 წლის მარტში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა კოვიდ-19-ის პანდემია. პანდემიის ზეგავლენის შესამცირებლად, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა გარკვეული შეზღუდვები, მათ შორის კარანტინი, საერთაშორისო ფრენების აკრძალვა და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ შეზღუდვებმა ნეგატიური გავლენა იქონიეს ეკონომიკასა და ლოკალურ ბიზნესებზე, მათ შორის ჯგუფის ოპერაციებზეც. შეზღუდვების ნაწილი უკვე შემსუბუქებულია.

2021 წელს მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში, პანდემია ვაქცინაციის ფაზაში შევიდა, რამაც დადებითი გავლენა იქონია ეკონომიკაზე. ამ ტენდენციას ხელი შეუწყო საერთაშორისო ეკონომიკის აღდგენამ და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდამ. თუმცა, მაღალი ფასები საქართველოსა და ზოგიერთ საერთაშორისო ბაზარზე ხელს უწყობს ინფლაციას საქართველოში. მენეჯმენტი უძლურია, განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენა და, შესაბამისად, ყველა ის ეფექტი, რაც ამ მოვლენებმა შეიძლება იქონიოს ჯგუფის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ დადგენილი მოთხოვნების მიხედვით, ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, პოლიტიკები თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის მოითხოვს ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. სფეროების, სადაც მაღალი ხარისხისა და სირთულის განსჯა გამოიყენება, ასევე სფეროების, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის, შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტა. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული ერთეულის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც იგი ოპერირებს. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციურ ვალუტას, ასევე მისი შვილობილი კომპანიებისა და ასოცირებული პირებისთვის, რომელშიც წარმოდგენილია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა თანხა უახლოეს ათასზეა დამრგვალებული.

კონსოლიდაციის საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ კონტროლირებადი ჯგუფისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსური ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც ჯგუფს:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე ჯგუფში; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე

ჯგუფი მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე ჯგუფს და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს, რომ შეიცვალა ერთ ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

როდესაც ჯგუფი არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის კონსოლიდირებული საქმიანობა ცალმხრივად. ჯგუფი განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

- ჯგუფის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- ჯგუფის, ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი სხვა კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ჯგუფს აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილი ჯგუფის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებსა და არაკონტროლირებადი წილის მფლობელებს. ჯგუფის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებსა და არაკონტროლირებადი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არაკონტროლირებადი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი.

საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა თავიანთი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთანყველა ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

ცვლილებები ჯგუფის საკუთრების წილში არსებულ შვილობილ კომპანიებში. ის ცვლილებები ჯგუფის საკუთრების წილში, რომლებსაც არ მოჰყვება შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვა აღირიცხება როგორც კაპიტალის ტრანზაქციები. ჯგუფის ინტერესებისა და არაკონტროლირებადი წილის საბალანსო ღირებულებები იცვლება შვილობილი კომპანიების მიერ მათი ფარდობითი ინტერესების მიხედვით. ნებისმიერი განსხვავება, რომლითაც არაკონტროლირებადი წილი იცვლება და გადახდილი ან მიღებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის აღიარებულია უშუალოდ კაპიტალში და მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებს.

როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, მოგება ან ზარალი ტრანზაქციიდან აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში და იანგარიშება როგორც სხვაობა i) მიღებული კომპენსაციის და შენარჩუნებული წილის რეალური ღირებულებების ჯამურ თანხასა და ii)კონტროლის დაკარგვამდე არსებული შვილობილის აქტივების (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებას და არაკონტროლირებად წილს შორის. ყველა თანხა აღიარებული შვილობილთან დაკავშირებით ადრე, როგორც სხვა საერთო შემოსავალი, აღირიცხება ისე როგორც აღირიცხებოდა ჯგუფს რომ პირდაპირ გაეყიდა შვილობილთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები (გადაკლასიფიცირდება მოგება/ზარალში ან კაპიტალის რომელიმე სხვა კატეგორიაში შესაბამისი ფასს-ის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით). კონტროლის დაკარგვის მომენტში, ყოფილ შვილობილში შენარჩუნებული ინვესტიციის რეალური ღირებულება ჩაითვლება შემდგომში როგორც, რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას, ფასს 9-ის მიხედვით ინვესტიციის შემდგომ პერიოდებში აღრიცხვისათვის, როცა რელევანტურია, ღირებულებად ინვესტიციის ასოცირებულ ჯგუფში ან ერთობლივ საწარმოში.

ბიზნეს კომბინაციები. სხვადასხვა ბიზნესების შეძენა აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. გადაცემული კომპენსაცია ბიზნეს კომბინაციის დროს აღირიცხება რეალური ღირებულებით და იანგარიშება როგორც შეძენის თარიღში არსებული აქტივების რეალური ღირებულებისა ჯამი, რაც ჯგუფმა გასცა, ვალდებულებების რაც ჯგუფმა გასწია ყოფილ მფლობელებზე და კაპიტალისა, რაც ჯგუფმა შეიტანა კონტროლის სანაცვლოდ. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები ზოგადად აღიარდება მოგება/ზარალში გაწევის მომენტში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

შეძენის თარიღში, შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები აღიარდება რეალური ღირებულებით, გარდა ამისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები და თანამშრომელთა სარგებლის პროგრამებთან დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები, რომლებიც აღიარდება და იზომება ბასს 12 -ის და ბასს 19-ის მიხედვით შესაბამისად;
- ვალდებულებები ან წილობრივი ინსტრუმენტები, დაკავშირებული შეძენილი ბიზნესის წილებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამებთან ან ჯგუფის წილებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამებთან, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს შეძენილი ბიზნესის წილებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამები. ასეთი ვალდებულებები და კაპიტალის ინსტუმენტები აღირიცხება ფასს 2 -ის „წილებზე დაფუძნებული ანაზღაურება“ მიხედვით, შეძენის მომენტში.
- აქტივები (ან გასაყიდი ჯგუფები) რომლებიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდი ფასს 5-ის „გრძელვადიანი აქტივები გამზადებული გასაყიდად და შეწყვეტილი ოპერაციები „ მიხედვით და შესაბამისად იზომება მოცემული სტანდარტის მიხედვით.

არამაკონტროლებელი წილები, რომლებიც წარმოადგენს არსებულ წილებს და მფლობელს უფლებას აძლევს, მიიღოს პროპორციული წილი ობიექტის წმინდა აქტივებიდან ლიკვიდაციის შემთხვევაში, შესაძლებელია, თავიდან აისახოს ან სამართლიანი ღირებულებით, ან შსყიდვის ობიექტის არსებული წმინდა ატივების აღიარებული ღირებულების იმ წილით, რომლებიც არამაკონტროლებელი წილების პროპორციულია. აღრიცხვის საფუძელი შეირჩევა თითოეული ტრანზაქციისათვის. არამაკონტროლებელი წილის სხვა სახეობები აისახება სამართლიანი ღირებულებით, ან სხვა ფასს-ით გათვალისწინებული მიდგომით.

როდესაც კომპენსაცია, რომელსაც მყიდველი საწარმო გადასცემს შესყიდული საწარმოს სანაცვლოდ, შეიცავს აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებიც წარმოშობილია პირობითი კომპენსაციის გარიგებით, მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული პირობითი კომპენსაციის სამართლიანი ღირებულება უნდა აღიაროს, როგორც შეძენილი საწარმოს სანაცვლოდ გადაცემული კომპენსაციის ნაწილი. შეფასების პერიოდის განმავლობაში, მყიდველმა საწარმომ რეტროსპექტიულად უნდა დააკორექტიროს შეძენის თარიღით აღიარებული პირობითი თანხები გუდვილთან მიმართებით. შეფასების პერიოდის განმავლობაში გაკეთებული კორექტირებები წარმოადგენს კორექტირებებს რომლებიც შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ ახალი ინფორმაციის მიღების შედეგად წარმოიშვა (შეფასების პერიოდმა არ უნდა გადააჭარბოს შეძენის თარიღიდან ერთ წელს).

იმ პირობითი კომპენსაციის სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც არ კლასიფიცირდება, როგორც შეფასების პერიოდის კორექტირება, აღირიცხება იმის მიედვით, თუ როგორ კლასიფიცირდება პირობითი კომპენსაცია. თუ ის კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი, გადაფასება არ ხდება, ხოლო თუ კლასიფიცირდება როგორც აქტივი ან ვალდებულება, შეფასება უნდა მოხდეს ფასს 9 ან ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ სტანდარტების მიხედვით, ხოლო შესაბამისი შემოსულობის ან ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგებაში ან ზარალში.

ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში მყიდველმა საწარმომ მისი ადრინდელი სააქციო წილი შეძენილ საწარმოში უნდა გადააფასოს შეძენის თარიღისთვის გამოთვლილ სამართლიან ღირებულებამდე და საჭიროებისამებრ, მოგებაში ან ზარალში აღიაროს მიღებული შემოსულობა ან ზარალი თუ ასეთი არსებობს. წინა საანგარიშგებო პერიოდში მყიდველ საწარმოს შეიძლება სხვა სრულ შემოსავალში ჰქონდეს აღიარებული შეძენილ საწარმოში თავისი სააქციო წილის ღირებულების ცვლილებები. ასეთ შემთხვევაში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხა იმავე საფუძვლით უნდა აღიარდეს, როგორც იმ შემთხვევაში იქნებოდა საჭირო თუ მყიდველი საწარმო პირდაპირ გაასხვისებდა თავის ადრინდელ სააქციო წილს.

თუ საწარმოთა გაერთიანების საწყისი აღრიცხვა დასრულებული არ არის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როდესაც გაერთიანებას აქვს ადგილი, მყიდველმა საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აჩვენოს პირობითი თანხები. შეფასების პერიოდის განმავლობაში, პირობითი თანხები შეიძლება დაკორექტირდეს (იხ. ზემოთ), ან საწარმომ უნდა აღიაროს დამატებითი აქტივები და ვალდებულებები, თუ მიღებულია ახალი ინფორმაცია შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ, რომელიც თუ მაშინ იქნებოდა ცნობილი, განაპირობებდა ამ აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებას ამ თარიღისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოები არიან კომპანიები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი, როგორც წესი, თან ახლავს ხმის უფლების 20-დან 50 პროცენტამდე წილს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვა ხდება საბუღალტრო კაპიტალის მეთოდით და თავდაპირველად აღიარებულია მისი ღირებულებით. მეკავშირე საწარმოებისგან მიღებული დივიდენდები ამცირებს მეკავშირე საწარმოში არსებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულებას. მეკავშირე საწარმოს წმინდა აქტივებში მომხდარი შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები ჯგუფი წილში აღიარებულია შემდეგნაირად: (1) მეკავშირე საწარმოს მოგება-ზარალის ჯგუფის წილი ასახულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავალში როგორც მეკავშირე საწარმოს წილი. (2) სხვა სრული შემოსავლის ჯგუფის წილი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და ცალკე არის წარმოდგენილი. (3) მეკავშირე საწარმოს წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების ყველა სხვა ცვლილება ჯგუფის წილში აღიარებულია მოგება-ზარალში მეკავშირე საწარმოს შედეგების შესაბამისი წილის ფარგლებში.

თუმცა, როდესაც მეკავშირე საწარმოს ზარალი უტოლდება ან აღემატება ჯგუფის წილის პროცენტს მეკავშირე საწარმოში, რომელშიც შედის ნებისმიერი სხვა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, ჯგუფი არ აღიარებს მასზე მეტ ზარალს, იმ შემთხვევაში თუკი ჯგუფს არ დაუფარავს ვალდებულებები ან არ განახორციელა გადახდა მეკავშირე საწარმოს ნაცვლად.

ჯგუფსა და მეკავშირე საწარმოს შორის განხორციელებული ტრანზაქციებიდან გამოწვეული არარეალიზებული მოგება ბათილდება იმდენად, რამდენიც არის ჯგუფის პროცენტი მეკავშირე საწარმოში; არარეალიზებული ზარალი ასევე ბათილდება იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქცია არ ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

უცხოური ვალუტა. ჯგუფის თითოეული ინდივიდუალური ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. რეალური ღირებულებით აღიარებული არაფულადი ნაკადები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მატი რეალური ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად ნაკადებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი ნაკადების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2021 წლის 31 დეკემბერი	**2020 წლის 31 დეკემბერი**
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

ამჟამად ქართული ლარი საქართველოს გარეთ, ქვეყნების უმრავლესობაში თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის რეალურ ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობები და კონსტრუქციები	10-დან 50 წლამდე
ჰიდროტექნიკური სტრუქტურები	5-დან 60 წლამდე
გაზის მილსადენები	5-დან 40 წლამდე
მანქანა დანადგარები	5-დან 30 წლამდე
ავტომობილები - მძიმე სატვირთო მანქანები	5-დან 20 წლამდე
ავტომობილები - მსუბუქი მანქანები	5-დან 15 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-დან 10 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც ჯგუფი მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასარგებლო სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის მფლობელობაში მყოფი ქონება, რათა მიიღოს საიჯარო შემოსავალი ან კაპიტალის ზრდა ან ორივე და რომელიც არ არის ჯგუფის მიერ დაკავებული. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია მისი ღირებულებით და შემდგომ ხდება გადაფასება განახლებული რეალური ღირებულებით რათა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს ასახავდეს საბაზრო პირობებს.

ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების საანგარიშო მოხსენებით, რომლებიც ფლობენ შესაბამის აღიარებულ პროფესიულ კვალიფიკაციას და გააჩნიათ უახლესი გამოცდილება მსგავსი მდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასებაში.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღრიცხულია წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავლების ფარგლებში. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებების ცვლილებიდან გამოწვეული მოგება-ზარალი აღრიცხულია წლის მოგება-ზარალში და წარმოდგენილია ცალკე.

საინვესტიციო ქონების ჩამოწერა ხდება მისი რეალიზაციიდან შემდგომ ან მაშინ როცა საინვესტიციო ქონება მუდმივად გამოუყენებელია და მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის. ქონების ჩამოწერით მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა წმინდა რეალიზაციასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ქონების ჩამოწერა.

თუკი საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მფლობელი, ის რეკლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება და რეკლასიფიცირების თარიღში მისი საბალანსო ღირებულება გახდება მისი ჩათვლილი ღირებულება საბუღალტრო მიზნებისთვის.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივების საბალანსო ღირებულებაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ხარჯებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა ჯგუფისთვის სავარაუდოა და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა შეკეთება შენარჩუნების ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს გარდა გუდვილისა აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავს კომპიუტერულ და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების დაახლოებითი სასარგებლო გამოყენების ვადა არის 5 წელი, ხოლო საბუღალტრო პროგრამისთვის 10 წელი.

აქტივების გამოყენების უფლება. აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის აღიარებას, იჯარის დაწყების დღეს ან მანამდე გადახდილ საიჯარო გადახდებს, და აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები და საწყისი პირდაპირი ხარჯები. შემდგომში ასეთი აქტივები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

როდესაც ჯგუფს ეკისრება ისეთი ხარჯების ვალდებულება, რაც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟთან და გატანასთან, მისი მდებარეობის ადგილის აღდგენასთან ან შესაბამისი აქტივის იჯარის პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოყვანასთან, აღიარდება რეზერვი, რომელიც ფასდება ბასს 37-ის საფუძველზე. თუ ხარჯები აქტივის გამოყენების უფლებასთანაა დაკავშირებული, ისინი შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ ამ ხარჯების გაწევა მარაგების შექმნასთან არაა დაკავშირებული.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. თუ იჯარით ხდება შესაბამისი აქტივის საკუთრების უფლების გადაცემა ან აქტივის გამოყენების უფლების ღირებულებაში ასახულია, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის ოფციონის რეალიზებას, შესაბამის გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება აქტივის მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის დაწყებისას.

აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით მათი იჯარის ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
მიწა და შენობები	2-დან 13 წლამდე
საოფისე ფართი	2 წელი

აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურების დასადგენად გამოიყენება ბასს 36. გაუფასურების გამოვლენილი ზარალი აღირიცხება „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი წესით.

პრაქტიკული შეღავათის სახით, ფასს 16 მოიჯარეს უფლებას აძლევს, არ დააცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და საიჯარო და შესაბამისი არასაიჯარო კომპონენტები ერთი გარიგების ფარგლებში აღრიცხოს. ჯგუფი ამ პრაქტიკული შეღავათით სარგებლობს.

მოგების გადასახადები. 2019 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი ჯგუფში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, ჯგუფმა შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში.
ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო ღირებულების მეთოდით და მოიცავს გაწეული ხარჯებს მარაგების ყიდვისას და მათი ადგილზე მიტანისას. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის საანგარიშო ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები *– შეფასების ძირითადი ტერმინები.* კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასი. აქტიურია ბაზარი, რომელზეც აქტივზე ან ვალდებულებაზე ტრანზაქციები ტარდება საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რომ საფასო ინფორმაცია რეგულარულად იქნას მიღებული.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რეალური ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება რეალური ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კვოტირდება, თუ კვოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.
იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. თრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ჯგუფის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას გაზისა და ელექტროენერგიის გაყიდვიდან. ეს ჯგუფის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად ჯგუფს კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდია. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება. ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება. ამავე კრიტერიუმებს აკმაყოფილებს გაცემული სესხები, რადგან მათზე მოქმედებს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (ი) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (იი) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რაც ასევე მოიცავს ფინანსურ დერივატივებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულების ცვლილება აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა ხილული მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ ხილული ბაზრების მაჩვენებლებს.

იმ ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა, რომელთა მიწოდება უნდა მოხდეს რეგულირებით ან ბაზარზე შეთანხმებით დადგენილ ვადაში (რეგულარული ყიდვა-გაყიდვა), აისახება ვაჭრობის თარიღში, რომელიც არის ის თარიღი, რომელშიც ჯგუფი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდებას. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები. ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და გაცემულ სესხებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გაცემული სესხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამოუღებელი საპროგნოზო თანხების შესაბამისი რეზერვი მოგებაში ან ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (მსზ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსზ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო ზარალისათვის (12 თვიანი მსზ). ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსზ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფში 12 თვიანი მსზ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსზ არსებობის მანძილზე საფუძველზე. ჯგუფმა შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო ზარალის გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიურია. გაზის გაყიდვასთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნები ფასდება ჯგუფურად.

ინდივიდუალურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს დეფოლტის პარამეტრის ზღვრული ალბათობის რისკის პარამეტრებს, დეფოლტის შემთხვევაში რისკის მოცულობის პარამეტრს და დეფოლტით გამოწვეული ზარალის პარამეტრს. თუ საბაზო ნიშნულის გამოყენება შეუძლებელია, ჯგუფი მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად იყენებს ჯგუფური შეფასების რისკის პარამეტრებს. საბაზო ნიშნულის მიდგომის გამოყენების მიზნებისათვის ერთერთი მთავარი მონაცემია გარე რეიტინგები ან მათი საბაზო ნიშნულები კონტრაგენტის ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის გამოყენებით. ჯგუფი გარე რეიტინგების ხელმისაწვდომობას იკვლევს ღია წყაროების საშუალებით, მათ შორის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების ვებსაიტებზე, როგორებიცაა „მუდისი“, „ფიტჩი“ და „სტანდარდ ენდ ფურზი“. თუ გარე რეიტინგი ხელმისაწვდომი არ არის, ჯგუფი მოიპოვებს კონტრაგენტის ფინანსურ ანგარიშგებებს და საბაზო რეიტინგს ადგენს ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით, „მუდისის“ ფინანსური კოეფიციენტების კვლევის საშუალებით.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწყისი აღიარებისას შესაბამის თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა ზედმეტად დიდ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. ჯგუფმა განსაზღვრა სრული მსზ არსებობის მანძილზე, ანუ ის მსზ არსებობის მანძილზე, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით წარმოიშობა (იგივე - მე-2 და მე-3 ეტაპები). გაცემული სესხები მე-2 ეტაპს ეკუთვნის. დეფოლტის ალბათობის მიდგომის შემთხვევაში, ჯგუფი იყენებს სარეიტინგო სააგენტოების ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. ჯგუფი სხვა მოთხოვნების მსზ-ს ანგარიშობს ექსპერტის შეფასებით დადგენილი ზარალის განაკვეთების გამოყენებით. ექსპერტის შეფასების გამოყენება მართებულად ჩაითვალა იმის გამო, რომ არ არსებობს ისეთი ისტორიული ინფორმაცია, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა რეზერვების მატრიცის შექმნა. ამოუღებადი თანხების მისაღებად გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი პერიოდის მოთხოვნების ნაშთებზე.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებები. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და აღებულ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავიდან აღირიცხება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავაჭრო ვალდებულებები აღრიცხულია დღგ-ის ჩათვლით.

აღებული სესხები. აღებული სესხები თავიდან აღირიცხება რეალურ ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. რეალური ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, აღებული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადება (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) ჯგუფი გაიღებს ხარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) ჯგუფი მიიღებს აღებული სესხების ხარჯებს; და (გ) ჯგუფი განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

აღებული სესხების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

ჯგუფი ახორციელებს იმ აღებული სესხების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი კვალიფიციურ აქტივებზე კაპიტალურ დანახარჯებს არ გასწევდა. კაპიტალური აღებული სესების გაანგარიშება ხორციელდება ჯგუფის საშუალო დაფინანსების ხარჯით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი გამოიყენება სათანადო აქტივებზე დანახარჯების მიმართ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური სახსრების სესხად აღება ხდება კვალიფიციური აქტივის მიღების მიზნით. როდესაც ეს მოხდება, კაპიტალიზირდება აღებული სესხების ფაქტობრივად გაღებული ხარჯები, რომლებიდანაც გამოქვითულია ამ აღებული სესხების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა კონტროლი მოიპოვა აქტივებე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებული ჯგუფის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილ იყო ჯგუფის მფლობელის მიერ.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც ჯგუფს აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლის აღიარება. გაზისა და ელექტროენერგიის რეალიზაციისგან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მომხმარებლების მიერ გამოყენებული გაზომილი რაოდენობის მიხედვით.
გარანტირებული სიმძლავრის საფასური თბილსრესის თბოელექტროსადგურისთვის აღიარებულია დღეები რაოდენობის მიხედვით, რა დროსაც ელექტროსადგურს შეუძლია მიაწოდოს ელელქტროენერგია მისი დადგმული სიმძლავრის შესაბამისად. დღიური ტარიფი დგინდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ (სემეკი).

შემოსავალი ნაჩვენებია დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე.

შემოსავალი იზომება როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის რეალური ღირებულება. როდესაც ბარტერულ შეთანხმებაში საიმედოდ ვერ დგინდება მიღებული აქტივის ღირებულება, შემოსავალი აღიარდება იმ აქტივების ან სერვისის ღირებულებით, რომელიც ჯგუფმა გასცა ან გაუწია.

ჯგუფი გაზის გაყიდვასთან დაკავშირებულ შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

ჯგუფი დროთა განმავლობაში გადასცემს კონტროლს და, შესაბამისად, აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დროთა განმავლობაში, მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც მომსახურება გაწეულია. მომსახურება ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, შედეგების მეთოდით (წარმოებული ელექტროენერგია).

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად არის 30 დღიანი ვადის.

მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამა. ჯგუფი ახორციელებს ლოიალობის პროგრამას, სადაც მომხმარებლები აგროვებენქულებს შესრულებული შესყიდვებიდან, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას ისარგებლონ შემდგომ შესყიდვებზე. დარიცხული თანხა ხელმისაწვდომია ერთ წელზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში, დაწყებული ბოლო დარიცხვის ტრანზაქციის თარიღიდან თითოეული ლოიალობის ბარათისთვის. 12 თვის შემდეგ, ვალდებულებები ჩამოიწერება.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება სესხებს ან ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი. ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ აქვს კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი. 2020 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, ჯგუფს სამართლებრივი ვალდებულება აქვს, გააკეთოს თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებისა და ბენეფიტების 2%-ის ოდენობის საპენსიო შენატანები.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

იჯარა. იმას, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას, ჯგუფი ადგენს კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას. აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც კომპანია გამოდის როგორც მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვიანი ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს.

საიჯარო ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე მუხლად. იჯარის ვალდებულება შემდგომში აისახება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რაც მიზნად ისახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), და უკვე გადახდილი საიჯარო გადასახადის ასახვის მიზნით საბალანსო ღირებულების შესაბამისი შემცირებით.

ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას ხელახლა აფასებს (და შესაბამის აქტივის გამოყენების უფლებას აკორექტირებს), თუ:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ხდომილებას ან გარემოებათა ისეთ ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ოფციონის რეალიზების შეფასების ცვლილება; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების დისკონტირებით (კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით).

- საიჯარო გადახდები შეიცვალა გარანტირებული ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადახდის ცვლილების ან ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების გამო; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების ძველი განაკვეთით დისკონტირებით (თუ იჯარის გადასახადის ცვლილება გამოწვეული არაა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, რა დროსაც გამოიყენება კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი).

- მოხდა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და იჯარის მოდიფიკაცია არ აღრიცხულა როგორც დამოუკიდებელი იჯარა; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება მოდიფიცირებული იჯარის საიჯარო ვადაზე დაყრდნობით და კორექტირებული გადახდების ასევე კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით დისკონტირების გზით, მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღეს.

აღჭურვილობისა და მანქანების მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული გადახდები და დაბალი ღირებულების აქტივების ყველა იჯარა აღიარებულია წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარა არის იჯარა 12 თვის ან ნაკლები ვადით. დაბალი ღირებულების აქტივები მოიცავს 15 ათასი ლარის ან ნაკლები ღირებულების IT აღჭურვილობას და წვრილ საოფისე ავეჯის.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია მენეჯმენტის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემული გარემოებების ქვეშ მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, მენეჯმენტი ასევე აკეთებს განსაზღვრებებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსაზღვრებები ახდენენ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, ხოლო შეფასებებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეცვალონ აქტივებისა და ბალდებულებების საბალანსო ღირებულება.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების საწყისი აღიარება. ბიზნესი ჩვეული საქმიანობისას ახორციელებს ტრანზაქციებს მეკავშირე მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისს აღიარებას საბაზრო ფასით. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი აქტივისთვის, მენეჯმენტი იყენებს განსაზღვრებებს იმის დადგენაში განხორციელდა თუ არა ტრანზაქცია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსაზღვრისას მენეჯმენტი ეყრდნობა არამეკავშირე მხარესთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების ღირებულებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. მეკავშირე მხარეებთან არსებული ნაშთების პირობების და გარემოებები განმარტებულია 27-ე შენიშვნაში.

შვილობილების კონსოლიდაცია. ჯგუფის მენეჯმენტმა გამოიყენა განსაზღვრებები იმ საწარმოებისთვის რომელთა წილის მფლობელობაც წარმოადგენს აქციების 50% (იხ შენიშვნა 1) . ჯგუფს აქვს უფლება დირექტორების დანიშვნისა და განთავისუფლების, ასევე ახორციელებს რელევანტური ფინანსური ოპერაციებისა და საოპერაციო აქტივობების მართვას ვინაიდან როგორც ჯგუფის მენეჯმენტის წარმომადგენელი სარგებლობს დირექტორის უფლებამოსილებით. შესაბამისად, ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ჯგუფი ეფექტურად მართავს დაქვემდებარებულ საწარმოებს და აქვს მნიშვნელოვანი კონტროლი მათზე, რის გამოც ჯგუფმა სრულად მოახდინა ასეთი საწარმოების კონსოლიდირება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

უზრუნველყოფილი ქონების შეფასება. ჯგუფის სასარგებლოდ გადმოცემული სესხებისთვის უზრუნველყოფილი ქონების სამართლიანი ღირებულება (იხ. შენიშვნა 11) განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. საბაზრო მიდგომა გამოყენებული იყო მიწის ნაკვეთების და არასპეციალიზებული აქტივების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, როგორიცაა შენობები და ფართები. სპეციალიზებული აქტივები შეფასდა დანახარჯების მეთოდის გამოყენებით სალიკვიდაციო/სამაშველო ღირებულებით, რადგან სპეციალიზებული აქტივების ეკონომიკურმა მოძველებამ შეადგინა 100%. აქტივის სამართლიან ღირებულებაზე გავლენას ახდენს უზრუნველყოფილი აქტივების საბაზრო ღირებულებებთან დაკავშირებული შეფასებები და დაშვებები, როგორიცაა: ტექნიკური მდგომარეობა, ფუნქციონალური დანიშნულება და მდებარეობა. ამ დაშვებების ცვლილებებს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა აქტივის სამართლიან ღირებულებაზე.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა. ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. მენეჯმენტი აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

საინვესტიციო ქონების შეფასება. საინვესტიციო ქონება ფასდება რეალური ღირებულებით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გაკეთებული რეპორტის საფუძველზე.

ჯგუფის საინვესტიციო ქონების შეფასების რეპორტების მომზადების პროცესში შესადარისი ფასების გათვალისწინებისას გარე შემფასებელმა გამორიცხა აუქციონით გაყიდვის ტრანზაქციები. საინვესტიციო ქონების თითოეული შემთხვევისათვის გამოვლინდა მსგავსი სამი ტრანზაქცია ბაზარზე. რადგან შესადარი აქტივები მაინც განსხვავდებოდა ჯგუფის აქტივებისგან, მოხდა ფასის დაკორექტირება მდებარეობის, მდგომარეობის, ზომის, მისადგომობის, ასაკისა და გამყიდველთან მოლაპარაკებაში შესაძლო ფასდათმობების გათვალისწინებით. კვადრატული მეტრის ამგვარად განსაზღვრული შესადარისი ფასები შემდეგ გამრავლდა შესაფასებელი ქონების ფართობზე და მიღებული იქნა საინვესტიციო ქონების შეფასებული ღირებულება.

შემოსავლის კაპიტალიზაციის მიდგომის, კერძოდ, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის შემთხვევაში, შემფასებელმა ყურადღებით შეაფასა ფულად ნაკადებსა და კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაში გამოყენებული დაშვებები. მენეჯმენტი გაეცნო შემფასებელთა მიდგომას შესადარისი ქონების შერჩევისა და კვოტირებული საბაზრო ფასების, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების კორექტირების პრინციპების საკითხში და დაადასტურა, რომ არჩეული მიდგომა და მიღებული დასკვნები მოცემული ვითარების შესაბამისი იყო.

4. კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

გაუფასურების შეფასება. გაუფასურების ანალიზი ტარდება ყოველ ფულის გამომმუშავებელ ერთეულზე, რომელიც წარმოადგენს ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს (სადგურები), რასაც მენეჯმენტი აკვირდება. შეფასების დროს მენეჯმენტი მხედველობაში იღებს სადგურების მიერ შექმნილ სინერგიას ქვეყნის მასშტაბით მიწოდების ჯაჭვის შენარჩუნების თვალსაზრისით. ფულის გამომმუშავებელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენებული ღირებულების გაანგარიშების საფუძველზე. გაანგარიშება მხედველობაში იღებს მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულ ხუთწლიან ფინანსურ ბიუჯეტზე შედგენილ ფულადი ნაკადების გათვლებს. ხუთწლიანი პერიოდის შემდეგ ფულადი ნაკადები ექსტრაპოლირდება ზრდის მოსალოდნელი განაკვეთების გამოყენებით. ზრდის მაჩვენებელი არ აჭარბებს ეკონომიკის იმ სექტორის საშუალო გრძელვადიან განაკვეთებს, რომელშიც მოცემული ერთეული ოპერირებს. მენეჯმენტმა ბიუჯეტირებული ფულადი ნაკადები განსაზღვრა წარსული გამოცდილებისა და ბაზრის მოლოდინების მიხედვით. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები გადასახადამდელია და ასახავს ერთეულისათვის დამახასიათებელ სპეციფიურ რისკებს.

იჯარა. იმის დადგენა, იჯარა მოკლევადიანია თუ გრძელვადიანი, ზოგჯერ მენეჯმენტისეულ განსჯას მოითხოვს და ხორციელდება მსგავს ხელშეკრულებებთან და მეიჯარეებთან არსებული გამოცდილების საფუძველზე. კერძოდ, მენეჯმენტმა გაითვალისწინა საიჯარო ხელშეკრულებების ვადის გაგრძელების ოფცია, როდესაც დარწმუნებულია, რომ გამოიყენებს ოფციას ან არ შეწყვეტს იჯარას. თუ იჯარაში საპროცენტო განაკვეთი ჩადებული არ არის, მენეჯმენტი იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ქმნის იმ შეფასებული ზარალის აღსარიცხად, რაც წარმოიშობა კლიენტების მხრიდან სათანადო გადახდების განუხორციელებლობისგან ან მომწოდებლების მხრიდან შეთანხმებული საქონლის ან მომსახურების მოუწოდებლობისგან. კომპანია კონტრაგენტებს ყოფს ოთხ კატეგორიად: სახელმწიფოს მიერ რეგულირებული პირები, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი პირები, მეკავშირე მხარეები და სხვები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონის შეფასებისას მენეჯმენტი მხედველობაში იღებს ზოგად ეკონომიკურ ვითარებას, მოთხოვნებისა და გადახდილი ავანსების ვადას, ჩამოწერების ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტებისა და მომწოდებლების კრედიტუნარიანობას, გადახდის პირობების ცვლილებასა და საჭიროების შემთხვევაში, კომპანიათა საკრედიტო რეიტინგებს. ეკონომიკის, დარგის თუ კონკრეტული კლიენტისა და მომწოდებლის გარემოებების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირების აუცილებლობა.

უწყვეტი საწარმო. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი უწყვეტი საწარმოს სტატუსს შეინარჩუნებს განჭვრეტად მომავალში, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფი შეძლებს აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალურად ფუნქციონირების პროცესში. ამგვარად განსჯისას მენეჯმენტმა მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციათა მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა ჯგუფის ოპერაციებზე ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფმა განიცადა წმინდა ზარალი 4,815 ათასი ლარი და 547 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მართებულია. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ შედის რაიმე კორექტირება, რომელიც დაკავშირებულია აღრიცხული აქტივების თანხების ანაზღაურებადობასა და კლასიფიკაციასთან და ვალდებულებების კლასიფიკაციასთან, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს, თუ ჯგუფი ვერ შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას.

5. ახალი და გადასინჯული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება

შემდეგი შესწორებული სტანდარტები ძალაშია 2021 წლის 1-ელი იანვრიდან, თუმცა მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე:

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი საბაზისო ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლას. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება (გაგრძელება)

- *IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად, სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, მოიჯარეებსაც იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ. ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი: მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.
- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.
- IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა.

IBOR-ის რეფორმის გავლენა. სხვადასხვა ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთების („IBOR“) რეფორმა და ჩანაცვლება მარეგულირებელთა პრიორიტეტად იქცა. IBOR ტარიფების უმეტესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო გარკვეული აშშ დოლარის LIBOR ტარიფების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისისთვის. ზემოაღნიშნულ ცვლილებას არანაირი გავლენა არ მოუხდენიაზე.

ჯგუფს არ აქვს სესხები IBOR განაკვეთებით, შესაბამისად არ ელის ცვლილებების რაიმე გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები– შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა შესწორება ფასს 16-სთვის, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო პრაქტიკული მიზანშეწონილობით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აისახა იმ იჯარის გადასახდელების შემცირებაში, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე, წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. კომპანია ამჟამად ახორციელებს მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ შესწორებების გავლენის შეფასებას.

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ წლიურ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ამ ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად – ცვლილებები ბასს 1-ში 1 (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით. ‘დაფარვა’ განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამონაკლისი არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით.

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“.

აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.

ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემძენმა პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში.

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად , ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

- დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.

- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების” ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

- ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან.

- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8- ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები– შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა შესწორება ფასს 16-სთვის, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო პრაქტიკული მიზანშეწონილობით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აისახა იმ იჯარის გადასახდელების შემცირებაში, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე, წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. კომპანია ამჟამად ახორციელებს მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ შესწორებების გავლენის შეფასებას.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო მოვალეობები და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ას შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზე ც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შეადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალცალკე; სწარამოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს შესწორებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფი არ ელის ცვლილებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოსალოდნელია რომ არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ძირითადი საშუალებები

ათასობით ლარში	მიწა, შენობები და ნაგებობები	ჰიდროტექნიკური ნაგებობები	გაზის მილსადენები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება 2020 წლის 1 იანვარი	**185,421**	**30,238**	**3,474**	**93,941**	**4,034**	**3,021**	**320,129**
დამატება	320	-	-	683	16	134	1,153
ჩამოწერა	(1,013)	-	-	(66)	(10)	(56)	(1,145)
გადატანა სხვა მიმდინარე აქტივებში	-	-	-	(24,719)	-	-	(24,719)
ჯგუფის შიდა რეკლასიფიკაცია	(24)	-	24	-	-	-	-
ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	**184,704**	**30,238**	**3,498**	**69,839**	**4,040**	**3,099**	**295,418**
დამატება	414	195	22	292	-	68	991
ჩამოწერა	(11)	-	(10)	(61)	(13)	(39)	(134)
2021 წლის 31 დეკემბერს	**185,107**	**30,433**	**3,510**	**70,070**	**4,027**	**3,128**	**296,275**
აკუმულირებული ცვეთა 2020 წლის 1 იანვარს	**129,806**	**8,216**	**3,051**	**31,789**	**2,112**	**2,043**	**177,017**
ცვეთა	1,302	637	52	4,549	309	317	7,166
აკუმულირებული ცვეთა ჩამოწერილ აქტივებზე	(48)	-	-	(49)	(10)	(52)	(159)
2020 წლის 31 დეკემბერს	**131,060**	**8,853**	**3,103**	**36,289**	**2,411**	**2,308**	**184,024**
ცვეთა	1,281	635	42	4,496	295	279	7,028
აკუმულირებული ცვეთა ჩამოწერილ აქტივებზე	(7)	-	(4)	(47)	(9)	(33)	(100)
2021 წლის 31 დეკემბერს	**132,334**	**9,488**	**3,141**	**40,738**	**2,697**	**2,554**	**190,952**
საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბერს	**53,644**	**21,385**	**395**	**33,550**	**1,629**	**791**	**111,394**
2021 წლის 31 დეკემბერს	**52,773**	**20,945**	**369**	**29,332**	**1,330**	**574**	**105,323**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 105,949 ათასი ლარის (2020: 122,473 ათასი ლარი) საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები გამოყენებული იქნა ფინანსური ინსტიტუტებიდან გაცემული სესხების უზრუნველყოფის სახით. (შენიშვნა #16)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2,023 ათასი ლარის (2020: 2,044 ათასი ლარი) საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები გამოყენებული იქნა ფინანსური ინსტიტუტებიდან ჯგუფთან არა-დაკავშირებულ მესამე მხარეზე გაცემული სესხების უზრუნველყოფის სახით. (შენიშვნა #26)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 5,434 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მიწებს (2020 წლის 31 დეკემბერი: 5,434 ათასი ლარი) აქვს სერვიტუტის შეზღუდვა სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) მხრიდან.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად ცვეთადარიცხულმა აქტივებმა შეადგინა 10,851 ათასი და 4,233ათასი ლარი, შესაბამისად.

8. საინვესტიციო ქონება

ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულების მოძრაობა შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	2021	2020
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 1 იანვარს	**6,193**	**6,481**
საინვესტიციო ქონების გადაფასებისგან მიღებული მოგება/(ზარალი)	33	(288)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 31 დეკემბერს	**6,226**	**6,193**

2020 წლების 31 დეკემბრისთვის, საინვესტიციო ქონება, რომლის ღირებულება 6,193 ათას ლარს შეადგენდა დაგირავებული იყო სესხების უზრუნველყოფის მიზნით მესამე პირებზე. (იხილეთ შენიშვნა 16).

ჯგუფის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადგინდა შპს „მოორ ეიბისის“ მიერ, რომელიც არ არის ჯგუფთან დაკავშირებული. ხსენებულ დამოუკიდებელ შემფასებელს აქვს მსგავს მდებარეობებზე არსებული ქონების შეფასების შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

შეფასებული ქონება წარმოადგენს ზოგადი დანიშნულების, არასპეციალიზებულ შენობებს - კომერციულ ფართებსა და მიწის ნაკვეთებს. რეალური ღირებულების დადგენის მიზნით, შემფასებელმა გამოიყენა შემოსავლის კაპიტალიზაციის მეთოდი, კერძოდ, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზი, რომელიც ღია ბაზარზე არასაკმარისი შესადარი მონაცემების არსებობის პირობებში, უძრავი ქონების შეფასების აღიარებული მეთოდია.

ათასობით ლარში	რეალური ღირებულების იერარქია	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიწა და შენობები თბილისში, კოსტავას ქუჩაზე	დონე 3	6,226	6,193
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება		**6,226**	**6,193**

9. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები და ფინანსური იჯარის ვალდებულებები

ათასობით ლარში	მიწა, შენობა-ნაგებობები და მანქანა-დანადგარები გაზ-გასამართი სადგურებისათვის	სულ
ღირებულება		
1 იანვარი 2020	**2,216**	**2,216**
დამატება	108	108
ჩამოწერა	(108)	(108)
31 დეკემბერი 2020	**2,216**	**2,216**
დამატება	6	6
რეალიზაცია	(457)	(457)
31 დეკემბერი 2021	**1,765**	**1,765**
დაგროვილი ცვეთა		
1 იანვარი 2020	**552**	**552**
წლის დარიცხვა	442	442
31 დეკემბერი 2020	**994**	**994**
წლის დარიცხვა	289	289
31 დეკემბერი 2021	**1,283**	**1,283**
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2020	**1,222**	**1,222**
31 დეკემბერი 2021	**482**	**482**

ქვემოთ მოცემულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

ათასობით ლარში	2021	2020
თავდაპირველი აღიარება - 1 იანვარი	**1,599**	**1,912**
საიჯარო ვალდებულებების აღიარება	-	108
საიჯარო ვალდებულებების აღიარების გაუქმება	(649)	(135)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	84	149
ვალუტის გაცვლის ეფექტი	(6)	156
იჯარის მოდიფიკაცია	6	-
საპროცენტო ხარჯის დაფარვა	(84)	(149)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(321)	(442)
საიჯარო ვალდებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**629**	**1,599**

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივების საშუალო შეწონილი საიჯარო ვადაა 3.7 წელი (2020: 3.7 წელი), ხოლო საიჯარო ვალდებულებებზე მოქმედი მოიჯარის საშუალო შეწონილი სესხის განაკვეთი - 9.9% 2021 წლისთვის (8.6% 2020 წლისთვის).

მოგება-ზარალში აღიარებული თანხები არის შემდეგი:

ათასობით ლარში	2021	2020
ცვეთის ხარჯი გამოყენების უფლების მატარებელ აქტივებზე	289	442
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	84	149
ვალუტის გაცვლის ეფექტი	(6)	156
სულ	**367**	**747**

9. აქტივის გამოყენების უფლების და ფინანსური იჯარის ვალდებულებები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი შემდეგია:

ათასობით ლარში	31 დეკემბერი 2021 ფინანსური იჯარებით გადასახდელი თანხები	მომავალი ფინანსური დარიცხვები
პირველი წელი	216	48
მეორე წელი	176	33
მესამე წელი	83	20
მეოთხე წელი	53	14
მეხუთე წელი	57	8
მეხუთე წლიდან	44	2
სულ საიჯარო ვალდებულება	**629**	**125**

ათასობით ლარში	31 დეკემბერი 2020 ფინანსური იჯარებით გადასახდელი თანხები	მომავალი ფინანსური დარიცხვები
პირველი წელი	495	115
მეორე წელი	442	75
მესამე წელი	422	42
მეოთხე წელი	85	20
მეხუთე წელი	53	14
მეხუთე წლიდან	102	10
სულ საიჯარო ვალდებულება	**1,599**	**276**

10. სხვა გრძელვადიანი აქტივები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია სხვა გრძელვადიანი აქტივები, 25,086 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, რომელიც დაკავშირებულია შვილობილი შპს „სი პაუერის“, გარდაბნის მუნიციპალიტეტში მდებარე, 150 – 300 მგვტ სიმძლავრის ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან, რომლის მშენებლობაც ამჟამად შეწყვეტილია. ეს აქტივები აღირიცხება სალიკვიდაციო და ჯართის ღირებულებით საბაზრო მიდგომის გამოყენებით. პროექტის შეწყვეტამ გამოიწვია 120,072 ათასი ლარის ოდენობის დაუმთავრებელი მშენებლობის აქტივების გაუფასურება და 2019 წელს დაუმთავრებელი მშენებლობებიდან აქტივების სხვა გრძელვადიან აქტივებში რეკლასიფიკაცია.

11. გაცემული სესხები

ათასობით ლარში	საპროცენტო განაკვეთი	**2021 წლის 31 დეკემბერი**	**2020 წლის 31 დეკემბერი**
გრძელვადიანი			
არადაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები (ფიზიკური პირები)	20.0%	4	4
სულ გრძელვადიანი გაცემული სესხები, ბრუტო		4	4
გრძელვადიანი სესხების გაუფასურების რეზერვი		(2)	(3)
სულ გრძელვადიანი გაცემული სესხები, წმინდა		2	1

11. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ათასობით ლარში	საპროცენტო განაკვეთი	**2021 წლის 31 დეკემბერი**	**2020 წლის 31 დეკემბერი**
მიმდინარე			
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	7.70% 15.00%	48,746	47,455
არადაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	5.50% - 22.40%	10,105	767
სულ მიმდინარე გაცემული სესხები, ბრუტო		**58,851**	**48,222**
გრძელვადიანი სესხების გაუფასურების რეზერვი		(1,257)	(649)
სულ მიმდინარე გაცემული სესხები, წმინდა		**57,59**	**47,573**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის, დარიცხული პროცენტი გაცემულ სესხებზე იყო 3,682ათასი ლარი და 4,232ათასი ლარი, შესაბამისად.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები ხელშეკრულების პირობების საფუძველზე, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია როგორც მიმდინარე. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები განმარტებულია 27-ე შენიშვნაში.

2021 წლის 30 ივნისს, შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ჰოლდინგის“ შვილობილმა კომპანიებმა, შპს „მტკვარი ენერჯიმ“ და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციამ“, სს „თიბისი ბანკთან“ ხელი მოაწერეს სესხის მოთხოვნის გადაცემის შეკრულებას ბანკის მიერ შპს „საქნახშირზე“ (ჯი-აი-ჯი ჰოლდინგის ყოფილი შვილობილი, ჯგუფის მიერ 2019 წელს გასხვისდა) გაცემული სესხის ყველა უფლების გადასცემასთან დაკავშირებით, ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ.

გადაცემის მომენტში არსებული ვალდებულებების შპს შპს „მტკვარი ენერჯისთვის“ გადაცემული უფლების ნომინალური თანხა შეადგენდა 5,302 ათას აშშ დოლარს (16,756 ლარის ექვივალენტი) რაც შეიცავს ძირის თანხას, პროცენტსა და ჯარიმას შესაბამისად 5,000 ათასი აშშ დოლარის (15,801 ლარის ექვივალენტი), 30 ათასი აშშ დოლარის (95 ათასი ლარის ექვივალენტი) და 272 ათასი აშშ დოლარის (859 ათასი ლარის ექვივალენტი) ოდენობით. ამ უფლების მინიჭებისთვის გადახდილი ანაზღაურება იყო 5,030 ათასი აშშ დოლარი. გადაცემული მოთხოვნები უზრუნველყოფილი იყო შპს „საქნახშირის“ აქტივებით.

გადაცემის თარიღისთვის გადაცემული სესხის ნომინალური თანხა იყო 11,291 ათასი აშშ დოლარი (35,685 ათასი ლარის ეკვივალენტი), ძირის, პროცენტისა და ჯარიმის ჩათვლით 6,153 ათასი აშშ დოლარი (19,446 ათასი ლარის ეკვივალენტი), 81 ათასი აშშ დოლარი (255 ათასი ლარის ექვივალენტი) და 5,058 ათასი აშშ დოლარი (15,984 ათასი ლარის ექვივალენტი), შესაბამისად. კომპანიის მიერ გადახდილი ფულადი ანაზღაურება იყო 6,233 ათასი აშშ დოლარი (19,701 ათასი ლარის ეკვივალენტი).

გადმოცემული სესხი უზრუნველყოფილი იყო შპს „საქნახშირის“ ქონებით. ფასს-ის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის კომპანიამ გადმოცემული სესხის ნომინალური ღირებულების შეფასება მოახდინა „საქნახშირის“ შესაბამისი უზრუნველყოფილი ქონების რეალური ღირებულების გათვალისწინებით, რომელიც დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განისაზღვრა 9,341 ათასი ლარით. სხვაობა უზრუნველყოფილი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და 10,105 ათასი ლარის ოდენობით გადახდილ ფულად ანაზღაურებას შორის აღიარებული იქნა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (შენიშვნა 22).

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული მოთხოვნების შედარება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გაცემული სესხების ანალიზი. ამ სესხების პუნქტები არის ის, რაც წარმოდგენილია, როგორც ინვესტიცია ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგებაში.

11. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ათასობით ლარში	**2021**	**2020**
1 იანვრის მდგომარეობით	**47,574**	**37,414**
დამატება	9,510	7,102
დარიცხული პროცენტი	3,628	4,232
მიღებული ძირი თანხა	-	(5,286)
მიღებული პროცენტი	-	(225)
გაცემული სესხების გაუფასურება	(606)	(102)
უცხოური ვალუტის სხვაობა	(2,565)	4,439
31 დეკემბრის მდგომარეობით	**57,595**	**47,574**

.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებზე. სესხებზე დართული ყველა საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია.

საანგარიშო პერიოდში გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგნაირი იყო:

ათასობით ლარში	**2021 წლის 31 დეკემბერი**	**2020 წლის 31 დეკემბერი**
გაუფასურების რეზერვი 1-ელ იანვარს	**652**	**550**
გაცემულ სესხებზე გაუფასურების რეზერვის აღდგენა	(2)	(11)
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი	608	113
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერს	1,258	652

გაცემული სესხები ვალუტების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

ათასობით ლარში	**2021 წლის 31 დეკემბერი**	**2020 წლის 31 დეკემბერი**
გაცემული სესხები დენომინირებული:		
- ლარში	14,602	4,617
- აშშ დოლარში	42,866	42,205
- ევროში	127	752
გაცემული სესხები, წმინდა	**57,595**	**47,574**

გაცემული სესხების ვადიანობა შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	**2021 წლის 31 დეკემბერი**	**2020 წლის 31 დეკემბერი**
ერთ წელზე ნაკლები	62,418	51,950
ერთიდან ორ წლამდე	2	2
ორიდან ხუთ წლამდე	-	-
ხუთ წელზე მეტი	-	-
სულ გაცემული სესხები, ბრუტო	62,420	51,952

12. მარაგები

ათასობით ლარში	**2021 წლის 31 დეკემბერი**	**2020 წლის 31 დეკემბერი**
სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალები	7,266	7,290
ჯართი და სხვა მასალები	443	443
გაუფასურების რეზერვი	(176)	(176)
სულ მარაგები	**7,533**	**7,557**

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასობით ლარში	**2021 წლის 31 დეკემბერი**	**2020 წლის 31 დეკემბერი**
მიმდინარე		
სავაჭრო მოთხოვნები	11,761	22,463
სხვა მოთხოვნები	628	628
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(3,693)	(3,770)
გრძელვადიანი		
სავაჭრო მოთხოვნები	15,026	15,537
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	**23,722**	**34,858**
გადახდილი ავანსები	1,081	1,220
თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	90	95
სხვა მოთხოვნები	19	18
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(401)	(401)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**24,511**	**35,790**

2021 წლის 31 დეკემბერს, ჯამური სავაჭრო მოთხოვნები დენომინირებული აშშ დოლარში იყო 17,328 ლარი (2020 წლის 31 დეკემბერს: 23,126 ათასი ლარი), 1.068 ათასი ლარის სავაჭრო მოთხოვნები დენომინირებული იყო ევროში (2020 წლის 31 დეკემბერს: 1,408). ყველა დანარჩენი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები იყო დენომინირებული ლარში. არცერთ სავაჭრო მოთხოვნაზე კონტრაგენტებს არ ჰქონდათ გადასახდელი არც პროცენტი და არც ჯარიმა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნები მოიცავდა სს „საქნახშირის“ 2019 წლიდან წარმოშობილ 1,191 ათასი აშშ დოლარის (3,900 ათასი ლარი) დებიტორულ დავალიანებას სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული სესხის გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკის მიერ სს „საქნახშირზე“ გაცემული ყველა სესხის უფლების გადაცემის შესახებ, ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ. 2021 წელს დამატებითი სესხის გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა 469 ათასი აშშ დოლარის (1,567 ათასი ლარი) დამატებითი ნაშთი. გაცემული სესხის ჯამურმა ნომინალურმა თანხამ შეადგინა 1,660 ათასი აშშ დოლარი. გადახდილი ფულადი ანაზღაურება იყო 1,562 ათასი აშშ დოლარი (4,936 ათასი ლარის ეკვივალენტი). 2021 წელს სს „საქნახშირიდან“ 4,978 ათასი ლარის მთლიანი დებიტორული დავალიანება, 165 ათასი ლარის გაუფასურების გამოკლებით, ჩამოიწერა (შენიშვნა 22) სს „თიბისი ბანკის“ ახალი სესხებისთვის ქონების თავიდან დაგირავების გამო, როგორც აღწერილია მე-11 შენიშვნაში.

ზოგ შემთხვევაში მენეჯმენტმა შეიძლება ნება მისცეს გარკვეულ დაკავშირებულ-მხარე დებიტორებს, რომ დააგვიანონ გადახდები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დათვლილია მომხმარებელთა გადახდების, თანხის შემდგომი მიღებისა და მომავალი ფულის სახსრების მოძრაობის ანალიზის გზით თითოეული მნიშვნელოვანი კლიენტის ჭრილში.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2019 წლის 1 თებერვალს ჯგუფსა და შპს „ალიანს სიტის“ შორის გაფორმდა ყიდვის ხელშეკრულება 29,500 ათას აშშ დოლარად, 66,380 ათასი ლარის ეკვივალენტად (დღგ-ის ჩათვლით), ბათუმში მდებარე უძრავი ქონების გაყიდვის თაობაზე. გადახდის პირობები ითვალისწინებს ტრანშებით გადახდას, საიდანაც 5000 ათასი აშშ დოლარი გადასახდელია აქტივის გაყიდვის დღიდან 5 წლის განმავლობაში. ჯგუფმა აღიარა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანება ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ ნაშთის საბალანსო ღირებულება შეადგენდა 15,026 ათას ლარს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალის რეზერვის მოძრაობა შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	**2021**	**2020**
გაუფასურების რეზერვი 1-ელ იანვარს	**3,770**	**1,665**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	800	2,137
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ამოღება	(877)	(32)
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერს	3,693	**3,770**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადიანობის მიხედვით შემდეგია:

31 დეკემბერი 2021 **ათასობით ლარში**	**ვადაგადაუცილებელი**	**- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება**	**- 30-90 დღე ვადაგადაცილება**	**- 90-180 დღე ვადაგადაცილება**	**- 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება**	**სულ**
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	18,034	31	2,151	250	6,949	**27,415**
მსზ არსებობის მანძილზე	(42)	(3)	(10)	(38)	(3,600)	**(3,693)**

31 დეკემბერი 2020 *ათასობით ლარში*	**ვადაგადაუცილებელი**	**- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება**	**- 30-90 დღე ვადაგადაცილება**	**- 90-180 დღე ვადაგადაცილება**	**- 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება**	**სულ**
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	24,387	615	2,834	978	9,814	**38,628**
მსზ არსებობის მანძილზე	(50)	(27)	(42)	(41)	(3,610)	**(3,770)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო რისკის რეიტინგის განმარტებები:4

	31 დეკემბერი 2021		
ათასობით ლარში	**მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტის გაუარესების გარეშე**	**მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული**	**სულ**
ვადაგადაცილების გარეშე	(42)	-	**(42)**
0-30 დღით ვადაგადაცილება	(3)	-	**(3)**
30-90 დღით ვადაგადაცილება	(10)	-	**(10)**
90-180 დღით ვადაგადაცილება	-	(38)	**(38)**
180> დღით ვადაგადაცილება	-	(3,600)	(3,600)
სულ	**(55)**	(3,638)	(3,693)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2020		
(ათასი ლარი)	მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტის გაუარესების გარეშე	მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული	სულ
ვადაგადაცილების გარეშე	(50)	-	**(50)**
0-30 დღით ვადაგადაცილება	(27)	-	**(27)**
30-90 დღით ვადაგადაცილება	(42)	-	**(42)**
90-180 დღით ვადაგადაცილება	-	(41)	**(41)**
180> დღით ვადაგადაცილება	-	(3,610)	**(3,610)**
სულ	**(119)**	**(3,651)**	**(3,770)**

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ათასობით ლარში	**2021 წლის 31 დეკემბერი**	**2020 წლის 31 დეკემბერი**
ფული ბანკში	23,120	2,121
ფული გზაში	76	39
ფული ხელზე	35	38
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**23,231**	**2,198**

ბანკებს, რომლებშიც ჯგუფს ფული ჰქონდა შენახული ჰქონდათ შემდეგნაირი საკრედიტო რეიტინგები “Fitch”-ის შეფასებით. იმ შვილობილი საქართველოში არსებული ბანკების საკრედიტო რეიტინგები, რომლებიც შეფასებული არ იყო, მშობელი ბანკების რეიტინგია აღებული ქვემოთ მოცემული ცხრილისთვის:

ათასობით ლარში	**2021 წლის 31 დეკემბერი**	**2020 წლის 31 დეკემბერი**
BB-	23,119	2,118
BB+	1	1
B+	-	2
სულ ნაღდი ფული ბანკებში	**23,120**	**2,121**

ყველა ფული და ფულის ეკვივალენტები კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე და არაგაუფასურებული. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის 15,813 ათასი ლარის ეკვივალენტი ჰქონდა ჯგუფს აშშ დოლარში (2020 წლის 31 დეკემბერს: 164 ათასი ლარის), ხოლო 158 ათასი ლარის ეკვივალენტი ევროში (2020 წელს: 1 ათასი ლარის).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეზღუდული ფული 10,554 ათასი ლარის ოდენობით (31 დეკემბერი 2020: 11,163 ათასი ლარი) დარეზერვებული იყო შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციასა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების შესაბამისად, დაკავშირებული მხარეების აკრედიტივის უზრუნველსაყოფად. შესაბამისი ხელშეკრულებების თანახმად, ნაღდი ფულის ნაშთები შეზღუდვაში რჩება 2022 წლის 5 იანვრამდე.

15. საწესდებო კაპიტალი

ათასობით ლარში	**2021 წლის 31 დეკემბერი**	**2020 წლის 31 დეკემბერი**
1-ელ იანვარს	7,720	7,720
სულ საწესდებო კაპიტალი	**7,720**	**7,720**

15. საწესდებო კაპიტალი (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოაცხადა დივიდენდები 13,647 ათასი ლარის ოდენობით. 3,741 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები გადახდილ იქნა ნაღდ ფულად. 10,163 ათასი ლარის ოდენობის გადასახდელი დივიდენდები გამოიქვითა დაკავშირებული მხარისათვის მიცემული სესხიდან.

16. აღებული სესხები

ათასობით ლარში	საკონტრაქტო წლიური საპროცენტო განაკვეთი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი			
სესხები არადაკავშირებული პირებისგან			
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები	6.20% + 6 m LIBOR - 7.26%	104,644	27,091
სულ გრძელვადიანი აღებული სესხები		**104,644**	**27,091**
მიმდინარე			
სესხები არამეკავშირე პირებისგან			
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები	6.20% + 6 m LIBOR - 7.26%	18,452	67,173
ფიზიკური პირები	13.00%	-	547
სესხები მეკავშირე პირებისგან			
ფიზიკური პირები	15.00%-15.50%	9,138	10,070
ადგილობრივი იურიდიული პირები	7.10% – 16.00%	10,540	11,070
სულ მიმდინარე აღებული სესხები		**38,130**	**88,860**
სულ აღებული სესხები		**142,774**	**115,951**

მთლიანი სესხების შეფასებული სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ჯგუფის სესხები შემდეგნაირადაა ვალუტების მიხედვით გადანაწილებული:

ათასობით ლარში	საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი (წლიური)	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი	6.50%-15%	125,276	92,481
ევრო	15%-15.5%	5,439	6,245
ლარი	11.00%-16.00%	12,059	17,225
სულ აღებული სესხები		**142,774**	**115,951**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი იყო 2,176 ათასი და 1,270 ათასი ლარი, შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილია ვალდებულებები, რომელთა ფულადი ნაკადები, ჯგუფის ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში უკვე იქნა ან მომავალში იქნება კლასიფიცირებული როგორც ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან.

16. აღებული სესხები (გაგრძელება)

	1 იანვარი, 2020	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან (i)	დარიცხული პროცენტი	პროცენტის დაფარვა	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	აღიარების შეწყვეტა	31 დეკემბერი 2021
აღებული სესხები	115,951	32,132	9,783	(8,824)	(6,268)	-	142,774

	1 იანვარი, 2020	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან (i)	დარიცხული პროცენტი	პროცენტის დაფარვა	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული ზარალი	აღიარების შეწყვეტა	31 დეკემბერი 2020
აღებული სესხები	109,678	(8,096)	9,717	(9,022)	13,924	(250)	115,951

i) დაკავშირებული მხარეებისგან აღებული სესხების ფულადი ნაკადები წარმოადგენს აღებული სესხებით მიღებულ წმინდა შემოსავალს და აღებული სესხების დაფარვას ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასობით ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	9,144	16,087
გადასახდელი ხელფასები	8	19
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	**9,152**	**16,106**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	392	504
გადავადებული შემოსავალი	569	480
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**10,113**	**17,090**

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დენომინირებული აშშ დოლარში იყო 720 ათასი ლარის (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: 978 ათასი ლარის), ხოლო დენომინირებული ევროში იყო 4 ათასი ლარის ეკვივალენტი (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: 25 ათასი ლარის). ყველა სხვა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დენომინირებული იყო ლარში.

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს ლოიალობის ბარათებზე დარიცხულ ჯგუფის ვალდებულებას. 2015 წლის ოქტომბერში ჯგუფმა დაიწყო მარკეტინგული კამპანია და გამოუშვა ლოიალობის ბარათები, რათა გაზის საცალო გაყიდვების სტიმულირება მოეხდინა. საცალო კლიენტები ფულს აგროვებენ ბუნებრივი აირის შესყიდვის გზით და ეს თანხა მათ შემდეგ შეუძლიათ გამოიყენონ დამატებითი ბუნებრივი აირის შესყიდვისთვის. დარიცხული თანხა მოქმედებს ბოლო დარიცხული ტრანზაქციიდან ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში.

18. შემოსავლები

ათასობით ლარში	2021	2020
გაზის გაყიდვა		
გაზის გაყიდვა - საცალო	33,718	26,503
გაზის გაყიდვა - საბითუმო - ადგილობრივი კლიენტები	6,205	10,824
სულ	**39,923**	**37,327**
ელექტროენერგიის გაყიდვა		
ელექტროენერგიის გაყიდვა - ადგილობრივი კლიენტები	32,390	54,445
თბილსრესის თბოელექტროსადგურის გარანტირებული სიმძლავრის საფასური	13,569	15,834
ელექტროენერგიის გაყიდვა - თავისუფალი ინდუსტრიული ზონა	4,586	1,650
ელექტროენერგიის გაყიდვა - ელექტროენერგიით ვაჭრობა ქვეყნის შიგნით	2,593	4,139
ელექტროენერგიის გაყიდვა - თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ვაჭრობა)	267	1,825
ელექტროენერგიის გაყიდვა - ელექტროენერგიით ვაჭრობა ქვეყნის გარეთ	-	5,842
ელექტროენერგიის გაყიდვა - ელექტროენერგიის ექსპორტი (გენერაცია)	-	5,767
ელექტროენერგიის გაყიდვა - ელექტროენერგიის ექსპორტი (ვაჭრობა)	-	2,147
სულ	**53,405**	**91,649**
საწვავის გაყიდვა		
საწვავის გაყიდვა - საბითუმო - ქვეყნის გარეთ შესყიდული (ვაჭრობა)	-	11,754
სულ	**-**	**11,754**
სხვა შემოსავალი		
შემოსავალი გაყიდვებიდან - ბაზრები	666	65
წარმოებული ნაწილების გაყიდვა	3	422
სულ	**669**	**487**
სულ შემოსავალი	**93,997**	**141,217**

ჯგუფი იღებს თბილსრესის თბოელექტროსადგურის შენარჩუნებისათვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურს სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე.

ელექტროენერგიის საექსპორტო გაყიდვები მოიცავს სომხეთის თბოელექტროსადგურის ოპერატორთან ბარტერული ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ გაყიდვებს. ჯგუფი იღებს ბუნებრივ აირს ბარტერული შეთანხმების საშუალებით ელექტროენერგიის სანაცვლოდ. 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ჯგუფმა აღიარა ბარტერული ტრანზაქციით მიღებული შემოსავალი 5,842 ათასი ლარის ოდენობით. ჯგუფი ბუნებრივ გაზს ბარტერული ხელშეკრულებით ელექტროენერგიის სანაცვლოდ იღებს.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ კლიენტებზე მოიცავს თბილსრესი თეს-ის მიერ გამომუშავებულ შემოსავალს 11,280 ათასი და 38,932 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

19. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

ათასობით ლარში	2021	2020
ელექტროენერგიის თვითღირებულება		
თბოსადგურისთვის ნაყიდი გაზის ღირებულება (თბილსრესი)	11,447	38,677
ქვეყნის შიგნით სავაჭროდ შესყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	2,289	3,377
ქვეყნის შიგნით სავაჭროდ (თავისუფალი ინდუსტრიული ზონა) შესყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	244	1,537
ქვეყნის გარეთ სავაჭროდ შესყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	-	5,842
ექსპორტზე გასაყიდად შესყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	-	2,842
სულ ელექტროენერგიის თვითღირებულება	**13,980**	**52,275**
გაზის თვითღირებულება		
გასაყიდად შესყიდული გაზის თვითღირებულება	28,643	27,183
სულ გაზის თვითღირებულება	**28,643**	**27,183**
საწვავის თვითღირებულება		
გასაყიდად იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება	-	10,733
სულ საწვავის თვითღირებულება	**-**	**10,733**
პროდუქტების თვითღირებულება		
შემდგომ გასაყიდად შესყიდული ნაწარმის თვითღირებულება - მარკეტები	557	55
სულ პროდუქტების თვითღირებულება	**557**	**55**
ზედნადები ხარჯები		
თანამშრომელთა ხელფასები	5,559	5,925
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	3,338	3,369
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი	1,474	1,746
კომუნალური ხარჯები	892	835
დაზღვევის ხარჯი	588	643
წყლით მომარაგების ხარჯები	451	454
ტრანსპორტირებისა და ავტომანქანების ხარჯები	409	356
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებლების ხარჯები	375	418
მასალები და სახარჯი მასალები	302	566
დაცვის ხარჯები	296	296
ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარის ხარჯი	119	81
ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	34	54
სხვა ხარჯები	1,700	1,467
სულ ზედნადები ხარჯები	**15,537**	**16,210**
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	**58,717**	**106,456**

20. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

ათასობით ლარში	2021	2020
კომუნალური ხარჯები	3,068	1,523
თანამშრომელთა ხელფასები	3,030	2,900
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	1,860	2,097
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი	805	444
ტრანსპორტირებისა და ავტომანქანების ხარჯები	293	402
მასალები და სახარჯი მასალები	281	214
დაზღვევის ხარჯი	273	287
ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	226	244
რეკლამის ხარჯები	183	118
ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარა	72	340
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებლების ხარჯები	65	90
ელექტროენერგიის გატარების ხარჯი	-	2,558
სხვა ხარჯები	434	461
სულ გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	**10,590**	**11,678**

21. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასობით ლარში	2021	2020
თანამშრომელთა ხელფასები	2,594	2,596
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	2,246	2,271
ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	2,117	3,626
წარმომადგენლობითი ხარჯები	727	839
მივლინებები	520	536
ტრანსპორტირებისა და ავტომანქანების ხარჯები	297	242
დაზღვევის ხარჯი	150	150
კომუნალური ხარჯები	150	128
ტელეკომუნიკაციის ხარჯები	112	97
ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარა	18	19
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი	7	24
სხვა ხარჯები	125	193
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**9,063**	**10,721**

(*) პროფესიული მომსახურების საფასური მოიცავს 279 ათას ლარს - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის გაწეულ საფასურს, როგორც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (2020: 343 ათასი ლარი).

22. სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა

ათასობით ლარში	2021	2020
ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა, წმინდა *	1,568	355
შემოსავალი ქირიდან	664	799
შემოსავალი ჯარიმებიდან	113	3
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	45	62
სესხის მოთხოვნის გადმოცემის ზარალი (შენიშვნა 11)	(10,105)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი/ჩამოწერა	(5,621)	(1,872)
გადასახადები და მოსაკრებლები	(2,274)	(1,720)
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი	(606)	(102)
დარიცხული ჯარიმები **	(49)	(10)
ქველმოქმედებისა და სპონსორობის ხარჯი	(48)	(47)
მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/ჩამოწერიდან	(12)	(980)
მოგება სათადარიგო ნაწილების, მასალებისა და ჯართის გაყიდვიდან/ჩამოწერიდან	(2)	47
სხვა, წმინდა	309	172
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა	**(16,018)**	**(3,293)**

(*) 2019 წლის 15 ნოემბერს შპს „ნეოგაზსა“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმდა შეთანხმება საგადასახადო ვალდებულებების ნაწილის, 1,440 ათასი ლარის ოდენობის ანაზღაურების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ შპს „ნეოგაზი“ დაფარავდა 1,705 ათას ლარის საგადასახადო ვალდებულებას წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით იყო 2021 წლის აპრილამდე. 2021 წელს შპს „ნეოგაზმა“ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და 1,440 ათასი ლარის საგადასახადო ვალდებულებისაგან გათავისუფლდა.

23. ფინანსური ხარჯები

ათასობით ლარში	2021	2020
საპროცენტო ხარჯები	9,978	10,058
ბანკის საკომისიოები	579	176
სავალუტო დანაკარგები, წმინდა	-	3,450
სულ ფინანსური ხარჯები	**10,557**	**13,684**

24. ფინანსური რისკის მართვა

საკრედიტო რისკი. ჯგუფზე მოქმედებს საკრედიტო რისკი, რაც რისკია იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ გადაუხდის ჯგუფს საკუთარ ვალდებულებებს, როდესაც გადახდის დრო მოვა. ფინანსური აქტივები, რომლებიც საკრედიტო რისკის მთავარი გამომწვევი არიან ძირითადად შედგება გაცემული სესხებისგან, სავაჭრო მოთხოვნებისგან და ფულისა და ფულის ეკვივალენტებისგან. ჯგუფს აქვს პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხოლოდ კარგი საკრედიტო ისტორიის მქონე კონტრაგენტებს მიაწოდოს საქონელი ან შესთავაზოს გადახდის ალტერნატიული გზები (მაგალითად წინასწარ გადახდები). დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფისთვის ზიანის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს, გარდა იმისა, რაც აღრიცხულია როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი.

საბაზრო რისკი. ჯგუფი იღებს ბაზრის რისკებს. საბაზრო რისკები უპირატესად უკავშირდება საბაზრო ძალებით განსაზღვრულ ფასებს საქონელზე და ამით ქმნის ლიმიტებს ფასზე, რომელიც შეიძლება დააკისრო მომხმარებელს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს აქვს ამ ფასებზე საბითუმო მომხმარებლებისთვის, მისი გავლენა იზღუდება ისეთი კონკურენტების ქმედებებით, როგორიცაა შპს სოკარ გაზი (მთავარი ეროვნული საბითუმო გაზის მომწოდებლები). საცალო გაზის გაყიდვებში ჯგუფი თანხმდება ბაზარზე არსებულ ფასებს, სადაც მისი ძირითადი კონკურენტები არიან შპს ვისოლ პეტროლიუმი და შპს სოკარ გაზი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ბუნებრივი აირი ძირითადად შესყიდული იყო შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტისგან“ და შპს „ენერჯი სეილს კომპანისგან“ ფულადი ანაზღაურებით.

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კონკრეტული ბაზრის მოძრაობებზე. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს რისკის იმ ოდენობაზე, რომელიც შეიძლება რომ ტოლერილებულ იქნას, რაც რეგულარულად მონიტორინგის ქვეშაა. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებამ შეიძლება ვერ შეზღუდოს ზარალი ამ ფარგლებს მიღმა უფრო მნიშვნელოვნად ბაზრის არახელსაყრელად მოძრაობის შემთხვევაში.

გეოგრაფიული რისკი. ჯგუფის აქტივები საქართველოში მდებარეობს. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, ჯგუფი ექვემდებარება საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკებს.

ჯგუფი ასევე ნაწილობრივ დამოკიდებულია საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნების ურთიერთობების განვითარებაზე. ნებისმიერი მოვლენა, რომელიც გავლენას მოახდენს ბუნებრივი აირის ფასზე, შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფს განაგრძოს ბიზნესი ჩვეულებისამებრ. ამასთანავე, ჯგუფზე ცუდი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს იმ ფაქტმა, თუ მთავრობა შეზღუდავს ელექტროენერგიის ექსპორტს საქართველოდან და ჯგუფის მომგებიანი ბარტერული ტრანზაქციები შეიზღუდება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. ჯგუფის ფინანსური პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისებში ჩანს, რომ ჯგუფი შეიძლება დაუცველი იყოს სავალუტო რისკებისგან. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა მნიშვნელოვანი აქტივები რამდენიმე გაცემული სესხისა და სავაჭრო მოთხოვნების მხრივ, რომლებიც დენომინირებული იყო აშშ დოლარსა და ევროში.

2021 წლის 31 დეკემბერს, ქართული ლარი რომ გაუფასურებულიყო/გამყარებული 20%-ით აშშ დოლარის მიმართ, (და სხვა ყველა ცვლადი დარჩენილიყო იგივე) ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება იქნებოდა (8,155) ათასი ლარით (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: 3,950 ათასი ლარით) დაბალი/მაღალი, ძირითადად საკურსო ზარალით/მოგებით გამოწვეული დოლარში დენომინირებულ საბანკო ბალანსების, შეზღუდული ფულის, მოთხოვნების, გაცემული სესხების, აღებული სესხებისა და სავაჭრო ვალდებულებების გამო.

2021 წლის 31 დეკემბერს, ქართული ლარი რომ გაუფასურებულიყო/გამყარებული 20%-ით ევროს მიმართ, (და სხვა ყველა ცვლადი დარჩენილიყო იგივე) ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება იქნებოდა 819 ათასი ლარით (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: 825 ათასი ლარით) ნაკლები/მეტი, ძირითადად საკურსო ზარალით/მოგებით გამოწვეული ევროში დენომინირებულ სესხების გამო.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის უცხოური ვალუტის კურსის მიმართ რისკი:

ათასობით ლარში	**2021 წლის 31 დეკემბერი**	**2020 წლის 31 დეკემბერი**
დენომინირებლი აშშ დოლარში:		
მონეტარული ფინანსური აქტივები	85,563	74,917
მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	(126,337)	(94,669)
დენომინირებული ევროში:		
მონეტარული ფინანსური აქტივები	1,349	2,143
მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	(5,443)	(6,270)
წმინდა პოზიცია აშშ დოლარში	**(40,774)**	**(19,752)**
წმინდა პოზიცია ევროში	**(4,094)**	**(4,127)**

კაპიტალის რისკის მართვა. ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯგუფში შემავალმა კომპანიებმა შეძლონ ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავისი უკუგება.

წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის უწყისში) მინუს ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "საკუთარი კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის უწყისში დამატებული წმინდა ვალი.

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასობით ლარში	**2021 წლის 31 დეკემბერი**	**2020 წლის 31 დეკემბერი**
სულ სესხები (შენიშვნა 16)	142,774	115,951
მინუს: ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 14)	(23,231)	(2,198)
წმინდა სესხები	119,543	113,753
სულ კაპიტალი	108,986	113,872
წმინდა სესხის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან	**110%**	**100%**

ლიკვიდობის რისკი. გონივრული ლიკვიდობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი ნაკადების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას ერთობლივი საკრედიტო ობიექტების ადეკვატური თანხის ოდენობით.

ჯგუფი ახდენს ლიკვიდობის რისკის მართვას სესხებზე წვდომის შენარჩუნებით და მუდმივი პროგნოზირებისა და რეალურ ფულადი ნაკადების მოძრაობის მონიტორინგის გზით. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო ერთეულებში და ჯამდება ჯგუფის ფინანსების მიხედვით. ასეთი პროგნოზები ითვალისწინებენ ჯგუფის რეფინანსირების გეგმებს. ჯგუფის ფინანსების განყოფილება მონიტორინგს უწევს ჯგუფის ლიკვიდობის მოთხოვნებს რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დაიტოვოს საკმარისი არეალი იმისათვის, რომ არ დაარღვიოს სესხების ლიმიტები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ვალდებულებები გაანალიზებულია მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. დაფარვის ცხრილში გაწერილი თანხები არის ხელშეკრულების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები, მათ შორის სესხის ვალდებულებები. ასეთი არადისკონტირებული ოდენობები ფინანსურ უწყისებში ნაჩვენები ოდენობებისგან, რადგან იქ მოცემული ოდენობები დისკონტირებულია.

როდესაც გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, თანხის გამჟღავნება განისაზღვრება საანგარიშგებო თარიღში არსებული პირობების მითითებით. უცხოური ვალუტის გადახდები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღში არსებული გაცვლითი კურსებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო გადახდების ვადიანობის ანალიზი შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	**1 წელზე ნაკლები**	**1-იდან 2 წლამდე**	**2-იდან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,152	-	-	-	9,152
გადასახადები	608	-	-	-	608
საიჯარო ვალდებულება	264	209	235	46	754
აღებული სესხები	47,056	61,497	17,439	56,017	182,009
სულ ფინანსური ვალდებულებები	**57,080**	**61,706**	**17,674**	**56,063**	**192,523**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო გადახდების ვადიანობის ანალიზი შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	**1 წელზე ნაკლები**	**1-იდან 2 წლამდე**	**2-იდან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,106	-	-	-	16,106
გადასახადები	2,631	-	-	-	2,631
საიჯარო ვალდებულება	610	517	636	112	1,875
აღებული სესხები	93,506	10,598	19,081	-	123,185
სულ ფინანსური ვალდებულებები	**112,853**	**11,115**	**19,717**	**112**	**143,797**

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის ლიკვიდობის გაზრდა მოხდება კომერციული ბანკების მიერ ახალი საკრედიტო ხაზების მოპოვებით ან არსებული სესხების საპროცენტო განაკვეთების შემცირებით, ხარჯების მართვის გაუმჯობესებით, აქტივობის გაზრდით და აქტიურად ახალი კონტრაქტების მოძიებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ცვლილება საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი მოძრაობის მიმართ, რაც გამოიხატება მოზიდული სახსრების ან/და ფულადი ნაკადებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. ჯგუფს არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, თუ რა პროპორციით უნდა იყოს ფიქსირებული და ცვლადი სესხები ჯგუფში. თუმცა, ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია გარდა „თიბისი ბანკისგან“ და საქართველოს ბანკისგან აღებული სესხებისა, რომელიც არის 6 თვიანი LIBOR + 6.20% და 6.70% ზემოაღნიშნული ბანკებისათვის.

ამ ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟები, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან წავიდეს ზარალში იმ შემთხვევაში, როდესაც მოულოდნელი მოძრაობები წარმოიქმნება ბაზარზე. ჯგუფი არ აკეთებს მისი საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შეჯამებულია საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები პროცენტიან ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე საანგარიშო თარიღებისთვის, იმ რეპორტებზე დაყრდნობით, რომელიც მთავარი მენეჯერების მიერ არის განხილული:

	2021 წლის 31 დეკემბერი			**2020 წლის 31 დეკემბერი**		
		აშშ			აშშ	
საშუალო შეწონილი წლიური %	ლარი	დოლარი	ევრო	ლარი	დოლარი	ევრო
გაცემული სესხები						
დაკავშირებული მხარეები	12.71%	8.61%	14.07%	12.67%	8.6%	14.07%
არადაკავშირებული მხარეები	15.46%	9.37%	-	15.48%	7.71%	-
აღებული სესხები						
დაკავშირებული მხარეები	11.53%	15.00%	15.22%	11.60%	15.00%	15.22%
არადაკავშირებული მხარეები	-	6.81%	-	13.23%	6.84%	-

25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფასს სტანდარტები განსაზღვრავს სამართლიან ღირებულებას, როგორც იმ ფასს, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. მიახლოებითი სამართლიანი ღირებულებები დადგინდა ჯგუფის მიერ ბაზარზე არსებული ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიების მიხედვით. თუმცა, მაინც სუბიექტურობა არის საჭირო რომ გაშიფრო საბაზრო ინფორმაცია და დათვალო მიახლოებითი სამართლიანი ღირებლება. საქართველო ჯერ კიდევ ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს და ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ ზღუდავს ფინანსური ბაზრების საქმიანობის მოცულობას. ბაზრების კვოტირებული ფასები შეიძლება იყოს მოძველებული და ამიტომ შესაძლოა სწორად ვერ ასახავდეს ფინანსური ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას. მენეჯმენტმა გამოიყენა ყველა არსებული საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულები დასადგენად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები. სავარაუდო რეალური ღირებულება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამოკიდებულია დადისკონტირებულ სავარაუდო ფულის ნაკადის შემოდინებაზე. დისკონტირებისას გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან მათი მოკლე ვადიანობის გამო.

ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები. სავარაუდო რეალური ღირებულება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ფინანსური ვალდებულებებისთვის დამოკიდებულია დადისკონტირებულ სავარაუდო ფულის ნაკადის გადინებაზე. დისკონტირებისას გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი არის მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ვალდებულების ~

25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

მიხედვით აღებული. ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

რეალური ღირებულება ფულისა და ფულის ეკვივალენტებისთვის განისაზღვრა 1-ლი დონის შეფასების მიხედვით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის კი მე-3 დონის შეფასების მიხედვით.

26. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები. დროდადრო და ბიზნესის ნორმალურ კურსში შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი ჩართული იყო სასამართლო დავაში შპს „ავტოგაზის“ ყოფილ მეწილეებთან. დავის საგანია შპს „ავტოგაზის“ კაპიტალის 100%-იანი წილის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება 13,645 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და შპს „ავტოგაზის“ აქტივების დაბრუნება, რომლებიც შეტანილი იქნა შპს „ნეოგაზის“ კაპიტალში. მენეჯმენტი ფიქრობს, რომ სარჩელის საბოლოო გადაწყვეტის საფუძველზე არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება, შესაბამისად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ შექმნილა რეზერვი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქონებას საბალანსო ღირებულებით 9,868 ათასი ლარი ადევს აკრძალვა გასხვისებასა და იპოთეკით დატვირთვის უფლებაზე.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა შუალედურ შემოკლებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფის შემოწმება შეუძლია ბოლო სამი წლის განმავლობაში.

თბილსრესი აქტივების აუქციონის მოგებიდან აღებული ვალდებულებები

2010 წლის 23 თებერვალს სს "თბილსრესის" აქტივების აუქციონში გამარჯვების შედეგად, სხვა ვალდებულებებთან ერთად, ჯგუფმა ვალდებულება აიღო რომ უზრუნველყო შემდეგი საკითხები:

- ელექტროენერგიის გამომუშავების ერთეულების სათანადო ფუნქციონირება ლიცენზირების ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად;
- არსებული სიმძლავრის (272 მეგავატი) მოვლა და შენარჩუნება მინიმუმ 2025 წლამდე;
- ქვანახშირის ქარხნის მშენებლობა გარდაბანში 100-150 მეგავატის სიმძლავრის და მისი ექსპლუატაციაში მიღება არა უგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნავთობის შენახვა მის რეზერვუარებში უფასოდ.

2015 წლის 23 ოქტომბერს ჯგუფმა ხელი მოაწერა შეთანხმებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად, 2010 წლის 23 თებერვალს სს "თბილსრესის" აქტივების აუქციონიდან გამომდინარე ვალდებულებების შესწორებისა და განმარტების მიზნით. შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია:

- 2020 წლის 30 ივლისამდე ტყიბულის მუნიციპალიტეტში 100-150 მგვტ სიმძლავრის თბოელექტროსადგური ექსპლუატაციაში მიიღოს;
- დაიწყოს ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობა 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

26. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები (გაგრძელება)

2016 წლის 4 ივლისს ჯგუფმა ხელი მოაწერა ცვლილებას თბოელქტროსადგურის ტყიბულის მუნიციპალიტეტში აშენებასთან დაკავშირებით, ენერგეტიკის სამინისტროსა და „ესკო“-სთან. ცვლილების მიხედვით, ჯგუფმა აიღო ვალდებულება რომ ააშენებს და ოპერირებას გაუწევს ქვანახშირის თბოელექტროსადგურს დადგმული სიმძლავრით 150-300 მგვტ (+/-10%) გარდაბანის მუნიციპალიტეტში 2020 წლის 31 ივლისამდე.

პროექტი ითვალისწინებდა ჯგუფის უშუალო მშობელის შვილობილი კომპანიის, შპს „საქნახშირის“ მიერ მოპოვებული ნახშირის გამოყენებას ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურისთვის. 2019 წელს შპს

„საქნახშირი“ საოპერაციო საქმიანობის გამო ფინანსურ სირთულეებს განიცდიდა .საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ჰოლდინგის მენეჯმენტმა გადაწყვეტილება მიიღო, გაეყიდა შპს „საქანახშირი“. კომპანიას დიდი სოციალური მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ტყიბულის მუნიციპალიტეტში მსხვილ დამსაქმებელს. ამდენად, შვილობილის გაყიდვაში მონაწილეობდა საქართველოს მთავრობა და პროექტის მშენებლობაც შეჩერდა. მენეჯმენტი არ ელის აღნიშნული პროექტიდან რაიმე ვალდებულებების დადგომას.

გარანტიები. საანგარიშო პერიოდში „ნეოგაზი“ იყო შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციასა“ და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებების გარანტორი 36,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. გაცემული გარანტიიდან არ არის მოსალოდნელი პოტენციური ზარალი, შესაბამისად ამ გარანტიისთვის კომპანიის მიერ არ არის გათვალისწინებული ზარალის ანარიცხი.

შესაბამისობა კოვენანტებთან. ჯგუფი ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სს „თიბისი ბანკიდან“ და სს „საქართველოს ბანკიდან“ აღებულ სესხებთან. ასეთი შეზღუდვების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის უარყოფითი შედეგები, მათ შორის სესხების ღირებულების ზრდა და გაკოტრების გამოცხადება. 2021 წლის და 2020 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი შესაბამისობაში იყო კოვენანტებთან, გარდა სს „ვითიბი ბანკის“ კოვენანტისა, რომელიც სრულად დაიფარა 2022 წლის აინვარში. დამატებით, 2021 წლის 31 დეკემბერსთვის ჯგუფმა მოიპოვა ვეივერები სს „თიბისი ბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკისგან“, რომლის მიხედვითაც უარი თქვეს კანონიერ უფლებებსა და პრეტენზიებზე, რომლებიც დაკავშირებულია შეთანხმებების დარღვევასთან.

იხილეთ მე-7 და მე-8 შენიშვნები დაგირავებული აქტივების შესახებ, როგორც ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხების უზრუნველყოფა.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება განსხვავებული რისკებით, ვიდრე მეტად განვითარებული ბაზრები. მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესებზე საქართველოში, განაგრძობენ სწრაფად განვითარებას საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოებით, რომლებიც ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას.საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეთარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. 2018 და 2019 წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

27. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ზოგადად არიან დაკავშირებულები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთი და იმავე პირის კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ-ერთ მათგანს აქვს შესაძლებლობა რომ გააკონტროლოს მეორე ან აქვს მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა, ან არის საერთო კონტროლში ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებისას. ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთდამოკიდებულების ბუნებას და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

27. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბერს, ბალანსები მეკავშირე მხარეებთან შემდეგნაირი იყო:

ათასობით ლარში	უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები	საბოლოო მშობელი კომპანია	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები*
სავაჭრო მოთხოვნები, ბრუტო	25	13	3,006	354	410
გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	-	-	(49)	(278)	(274)
გაცემული სესხები, ბრუტო	15,338	12,968	2,392	-	18,046
გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე	(72)	(61)	(11)	-	(698)
აღებული სესხები	-	-	(10,476)	(64)	(9,138)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	(951)	-	(18)

2020 წლის 31 დეკემბერს, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგნაირი იყო:

ათასობით ლარში	უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები	საბოლოო მშობელი კომპანია	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები*
სავაჭრო მოთხოვნები, ბრუტო	16	13	3,146	353	372
გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	-	-	(49)	(204)	(94)
გაცემული სესხები, ბრუტო	15,128	12,669	2,075	-	17,582
გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე	(71)	(59)	(10)	-	(113)
აღებული სესხები	-	-	(9,087)	(61)	(10,070)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	(1,083)	-	(1)

შემოსავლისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები	საბოლოო მშობელი კომპანია	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები*
გაზის გაყიდვა - საბითუმო - ადგილობრივი კლიენტები	-	-	717	-	-
გაზის გაყიდვა - საცალო	-	-	3	-	-
ელექტროენერგიის გაყიდვა - ადგილობრივი კლიენტები	-	-	-	-	-
დამზადებული ნაწარმის გაყიდვა	-	-	-	-	3
საოჯახო შემოსავალი	8	-	358	-	166
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი/(აღდგენა)	1	1	1	-	1
საპროცენტო შემოსავალი	1,076	1,030	216	-	1,318
საპროცენტო ხარჯი	-	-	978	3	1,448
სხვა შემოსავალი და ხარჯები	-	-	-	-	112
წმინდა მოგება სათადარიგო ნაწილების, მასა და ჯართის გაყიდვიდან/ჩამოწერიდან	-	-	43	-	14
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	-	-	18	-	-
შემოსავალი დივიდენდებიდან	-	-	-	248	-
ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარ	-	-	26	-	-
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	-	-	1,811	-	-
წყალმომარაგების ხარჯები	-	-	123	-	-
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარ	-	-	937	-	-
დაზღვევა	-	-	-	-	1,000
სხვა	-	-	1	-	-

27. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები	საბოლოო მშობელი კომპანია	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები*
გაზის გაყიდვა - საბითუმო - ადგილობრივი კლიენტები	-	-	765	-	-
გაზის გაყიდვა - საცალო	-	-	2	-	-
ელექტროენერგიის გაყიდვა - ადგილობრივი კლიენტები	-	-	106	-	-
დამზადებული ნაწარმის გაყიდვა	-	-	-	-	422
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი/(აღდგენა)	8	-	355	-	155
საპროცენტო შემოსავალი	12	11	2	-	51
საპროცენტო ხარჯი	1,050	-	1,207	-	1,165
სხვა შემოსავალი და ხარჯები	-	-	468	3	1,387
წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/ჩამოწერიდან	-	-	-	-	8
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	-	-	30	-	14
შემოსავალი დივიდენდებიდან	-	-	30	-	-
ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარა	-	-	-	136	-
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	-	-	21	-	-
წყალმომარაგების ხარჯები	-	-	1,805	-	-
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი	-	-	130	-	-
დაზღვევა	-	-	692	-	-
სხვა	-	-	-	-	205

მთავარი მენეჯმენტის კომპენსაცია. მთავარი მენეჯმენტი მოიცავს დირექტორთა საბჭოს წევრებს. მათთვის გადასახდელი კომპენსაცია შედგება საკონტრაქტო ხელფასისგან, ფინანსური მიზნების შესრულებასთან დაკავშირებული ბონუსისგან და სხვა კომპენსაციებისგან, მივლინების ხარჯების ანაზღაურების სახით. მთლიანი მთავარი მენეჯმენტის კომპენსაცია 2021 წელს იყო 1,256 ათასი ლარი (2020 წელს: 1,031 ათასი ლარი) და მთლიანად შედგებოდა მოკლევადიანი სარგებლისგან.

28. მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდგომ

ჯგუფის აქტივების უმეტესი ნაწილის იჯარით გაცემა. 2022 წლის 25 იანვარს, შპს „ნეოგაზმა“ მესამე მხარესთან, არადაკავშირებულ კომპანიასთან გააფორმა გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც 2022 წლის 1-ელ მარტს შპს „ნეოგაზმა“ მის მფლობელობაში არსებული გაზგასამართი სადგურების უმრავლესობა იჯარით გასცა. საანგარიშო პერიოდისათვის, იჯარით გაცემული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში იყო 7,866 ათასი ლარი.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. საანგარიშო პერიოდის შემდეგ ჯგუფში არსებული ორი კომპანია შპს „მობილგორიგაზი“ და შპს „აჭარა ავტოგაზი“ გადახდისუუნარობის წინაშე აღმოჩნდა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

2022 წლის 3 იანვარს, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ“ მთლიანად გადაიხადა ვითიბი ბანკისაგან აღებული სესხი რაოდენობით 15,725 ათასი ლარი.

რუსეთის სამხედრო შეჭრა უკრაინაში. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსეთის ჯარმა საზღვარი გადაკვეთა. აღნიშნული კონფლიქტი საერთაშორისოდ განიხილება როგორც ევროპაში ყველაზე დიდი სამხედრო თავდასხმა ევროპულ სახელმწიფოზე. ომის დაწყების შემდეგ ევროპაში ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი დაიწყო. მილიონობით უკრაინელი დღემდე ტოვებს საკუთარ სამშობლოსა და სახლს. უკრაინაში კონფლიქტის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ რუსეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციები დააკისრა. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაუფასურდა რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვნად დაეცა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება როგორც რუსეთის, ასევე სხვა ქვეყნების ბაზარზე.

28. მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდგომ (გაგრძელება)

უამრავმა კომპანიამ შეწყვიტა ოპერირება რუსეთსა და ბელორუსიაში. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა შედეგი უკვე აისახა ჰუმანიტარული კრიზისსა და მატერიალურ-ეკონომიკურ ზარალში როგორც რუსეთსა და უკრაინაში, ასევე დანარჩენ მსოფლიოში.

ხელმძღვანელობა უკრანიის კონფლიქტს ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიისთვის აღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტით გამოწვეული ზიანის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს, რადგან კომპანიას, მის მესაკუთრეებსა და მთავარ მომხმარებლებს კავშირი არ აქვს არც რუსეთთან და არც უკრაინასთან.

იმის გამო, რომ კონფლიქტი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს სრული გავლენა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ჯგუფზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების სიდიდის შესახებ. მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" (სსეკ) დაარსდა 2005 წლის 11 ივლისს. კომპანია არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების ჯგუფის მშობელი, რომელთა ძირითადი საქმიანობა მოიცავს ელექტროენერგიის გამომუშავებას, გაზგასამართი სადგურების ოპერირებას, საინჟინრო და შესაბამის საკონსულტაციო საქმიანობას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და წილის 100% მფლობელი იყო საქართველოში რეგისტრირებული შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ (“GIG”).

რაც შეეხება ელექტროენერგიის გენერაციას, მისი გამომუშავება ხდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 8 ჰიდროელექტროსადგურისა და გარდაბანში მდებარე თბოელექტროსადგურის (“თბილსრესის“) ორი ენერგო ბლოკის მეშვეობით. ელექტროენერგია იყიდება ელექტროენერგიის ბაზრის კომერციულ ოპერატორზე („ესკო“) და გამანაწილებელ კომპანიებზე. თბოელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 272 მეგავატს და მისი გასაყიდი ფასი დგინდება სემეკის ნორმატიული აქტით. ჰიდროელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე ჯამში 48.743 მეგავატია. მათი ტარიფები კანონის მიხედვით („საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“) დერეგულირებულია და ტარიფს ადგენს თავისუფალი ბაზარი.

თბოელექტროსადგურის მიერ ესკოსა და გამანაწილებელ კომპანიებზე მიყიდულმა ელექტროენერგიის რაოდენობამ 2021 წელს შეადგინა 75,011,684.00 კვტ/სთ, ტარიფი იყო 15.04 თეთრი კვტ/სთ-ზე 2021 წლის დეკემბერში.

ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული და გაყიდული ელექტროენერგიის რაოდენობამ 2021 წელს შეადგინა 158,297,961.20 კვტ/სთ.

სსეკ-ის საქმიანობა ასევე მოიცავს ჰიდრო და თბოელექტროსადგურებზე გამომუშავებულ, სხვის სადგურებზე გამომუშავებულ, ქვეყანაში იმპორტირებული ელ. ენერგიის საბითუმო ყიდვა-გაყიდვას საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე და ექსპორტს (ტრანზიტი) მეზობელ ქვეყნებში და ელექტროენერგიის გაყიდვას თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.

ელექტროენერგიის საექსპორტო გაყიდვა მოიცავს ბარტერულ გარიგებას სომხეთში მდებარე თბოელექტროსადგურის ოპერატორთან. კომპანია ბუნებრივ გაზს იღებს ბარტერული გარიგებით, ელექტროენერგიის სანაცვლოდ.

გაზის ძირითადი მომხმარებლები მსხვილი ქართული სამრეწველო საწარმოები, მათ შორის ცემენტის ქარხნები და გაზგასამართი სადგურების ქსელები. ჯგუფი ასევე ჩართულია გაზის საცალო ვაჭრობაში საკუთარი გაზგასამართი სადგურების საშუალებით.

საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა

ენერგო-სექტორში ელექტროენერგიის გენერირება ძირითადად ჰიდროელექტრო სადგურების (ჰესი) და თბოელექტრო სადგურების (თესი) საშუალებით ხდება. საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის მფლობელობაშია მცირე ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 25.13% და თესების მიერ გამომუშავებული ელექტრო ენერგიის დაახლოებით 10.34%. ასევე გარდაბნის თბოსადგური მთელი წლის განმავლობაში, გარდა რემონტის დღეებისა წარმოადგენს ქვეყნის გარანტირებული სიმძლავრის წყაროს.

გაზგასამართი სადგურების ოპერირება

რაც შეეხება ჯგუფის მეორე ძირითად საქმიანობას, გაზგასამართი სადგურების ოპერირებას, ახორციელებს ენერგეტიკული ჯგუფის შვილობილი კომპანია „ნეოგაზი“ ჯგუფი, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეკუმშული ბუნებრივი აირის რეალიზაციას ახდენს. 10 წელზე მეტია რაც ბაზარზე ოპერირებს, 2015 წლიდან კი რებრენდინგის შემდეგ, ,,ნეოგაზის'' სახელით არის წარმოდგენილი და სფეროში ერთ-ერთი წამყვანი ბრენდია. ბრენდის შექმნასთან ერთად შემუშავდა და ეტაპობრივად დაინერგა სადგურების ახალი ვიზუალური კონცეფცია, ერთიანი სამეურნეო და მომსახურების სტანდარტი.

გაზგასამართი სადგურების ოპერირება (გაგრძელება)

,,ნეოგაზი'' ერთ-ერთი ყველაზე ფართო ქსელის მფლობელია, რომელიც 21 ავტოგაზგასამართ სადგურს (მათ შორის შვილობილები) და 6 მოძრავ სადგურს აერთიანებს (იხ. დანართი N1). ,,ნეოგაზის'' სადგურები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და სრულად დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

სსეკ-ის ჯგუფი მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	2021 წლის 31 დეკემბერი, წილი/ხმის მიცემის უფლება	2020 წლის 31 დეკემბერი, წილი/ხმის მიცემის უფლება	ყიდვის/დაარსების წელი	ინსულტრია
შპს ფაუერ თრეიდი	100.0%	100.0%	2012	ელექტროენერგიით ვაჭრობა
შპს ნეოგაზი	100.0%	100.0%	2014	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს სი ფაუერი	100.0%	100.0%	2015	ელექტროენერგიის გამომუშავება
შპს რიცეულაჰესი	88.5%	88.5%	2008	ელექტროენერგიის გამომუშავება
შპს აჭარა ავტოგაზი	74.0%	74.0%	2009	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს მობილგორიგაზი	55.0%	55.0%	2011	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერი - EPC	51.0%	51.0%	2012	ჰესების ინჟინერია
შპს დელტა პე	50.0%	50.0%	2015	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს იქს გაზი	50.0%	50.0%	2012	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ახალგაზი	50.0%	50.0%	2010	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს იბერგაზი	50.0%	50.0%	2010	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ორთაჭალა გაზი	100.0%	100.0%	2016	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ჯიეკ სოლუშენსი	100%	100%	2019	საინჟინრო და გვერდითი საკონსულტაციო საქმიანობა
შპს ჯითი პაუერ ვენჩერსი	50%	50%	2019	საინჟინრო საქმიანობა

ჯგუფის მომავალი განვითარების გეგმები

2018 წლის მთავრობის დადგენილების შედეგად, 2019 წლის მაისიდან საცალო მომხმარებელი, რომელიც აკმაყოფილებს ამავე დადგენილებით ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლისათვის განსაზღვრულ სავალდებულო კრიტერიუმებს, უნდა დარეგისტრირდეს საბითუმო ვაჭრობაში, როგორც პირდაპირი მომხმარებელი. აღნიშნული დადგენილება საშუალებას მისცემს სსეკ-ს აწარმოოს მოლაპარაკებები პირდაპირ მომხმარებლებთან და გააფორმოს ხელშეკრულებები ელექტროენერგიის პირდაპირი წესით მიყიდვაზე.

რაც შეეხება განვითარების გეგმებს გაზგასამართი სადგურების ოპერირებასთან დაკავშირებით, რასაც „ნეოგაზი ჯგუფი“ ახორციელებს, მდგომარეობს შემდეგში:

ქსელის გაფართოება

,,ნეოგაზის'' გაზგასამართი სადგურების ტერიტორიულად ხელსაყრელ ადგილზე არსებობა და ქსელის სიდიდე გაზგასამართი კომპანიის შერჩევის წამყვანი კრიტერიუმია. იმისათვის, რომ ,,ნეოგაზმა'' შეძლოს კიდევ უფრო დიდი რაოდენობის მომხმარებლის მოზიდვა, კომპანია მიზნად ისახავს გადახედოს არსებული ქსელის სიდიდეს, სადგურების ლოკაციებს და დაამატოს სადგურები ახალ, ტერიტორიულად ოპტიმალურ ლოკაციებზე. ამისათვის მიზანშეწონილია, ქსელის გეოგრაფიული დაფარვის არეალის გაზრდა და ქსელის გაფართოება საქართველოს იმ რეგიონებსა და ლოკაციებზე, სადაც არ არის წარმოდგენილი ,,ნეოგაზი''.

სადგურზე დამატებითი სერვისის განვითარება

სამომხმარებლო ბაზრისათვის მიმზიდველია სადგურებზე არსებობდეს დამატებითი როგორც უფასო, ასევე ფასიანი მომსახურებები. იმისათვის რომ კომპანია ,,ნეოგაზმა'' კონკურენცია გაუწიოს კონკურენტ ქსელებს, რეკომენდირებულია საკუთარ ქსელში დანერგოს დამატებითი სერვისები, როგორიც არის:

სადგურზე დამატებითი სერვისის განვითარება (გაგრძელება)

- მარკეტი
- სწრაფი კვების ობიექტი
- ავტო სამრეცხაოები
- და სხვა მომსახურებები

2020 წლის აგვისტოში შპს „ნეოგაზმა“ რამდენიმე სადგურზე გახსნა მარკეტები და გეგმავს, ამ საქმიანობით სხვა სადგურებიც მოიცვას.

ლოიალობის ბარათზე დამატებითი ფუნქციების განვითარება

ზოგადად ლოიალობის ბარათები გავლენას ახდენს, არამხოლოდ ბრენდის შერჩევაზე, არამედ შემდეგ ბრენდის მიმართ ლოიალობაზეც. კომპანია ,,ნეოგაზის'' მომხმარებლები აქტიურად იყენებენ ,,ნეოქარდს'' და დადებითად აფასებენ მიღებულ სარგებელს. იმისათვის, რომ ლოიალობის ბარათი ,,ნეოქარდის'' პირობები მიმზიდველი გახდეს უფრო მეტი მომხმარებლისთვის კომპანია გეგმავს მისი პირობების გამრავალფეროვნებას.

ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2021 წლის განმავლობაში ჯგუფი არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

ჯგუფის ფილიალების მიმოხილვა

ჰესები
2007 წლიდან სსეკ-მ დაიწყო ჰიდროელექტროსადგურების შეძენა და 2020 წლისათვის მის მფლობელობაშია უკვე 8 ჰიდროელექტრო სადგური. აქედან კომპანიის მიერ აშენდა რაჭა ჰესი და ალაზანი 2 ჰესი, ხოლო ალაზანი 1 ჰესს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. 8 ჰიდრო სადგურის დადგმული სიმძლავრე 48.743 მგვტ-ია:

რიწეულა ჰესი - ექსპლუატაციაში 1956 წელს შევიდა, სამივე ჰიდრო აგრეგატის დადგმული სიმძლავრეა ჯამში 6.32 მგვტ.
რაჭა ჰესი - აშენდა ენერგეტიკული კორპორაციის მიერ და ექსპლუატაციაში შევიდა 2013 წელს და დადგმული სიმძლავრეა 11 მგვტ.
ბჟუჟა ჰესი - 1956 წლიდანაა ექსპლუატაციაში შესული და შეუძლია 12.24 მგვტ. ელექტროენერგია გამოიმუშაოს.
ალაზანი 1 - ჰესს სსეკ-მ ჩაუტარა რეაბილიტაცია და განახლებული ჰესი ექსპლუატაციაში 2011 წლიდან შევიდა. მისი დადგმული სიმძლავრე ჯამში შეადგენს 6.064 მგვტ-ს.
ალაზანი 2 - ჰესი აშენდა ასევე 2011 წელს და მისი დადგმული სიმძლავრეა 6.064 მგვტ.
კახარეთი ჰესი - აშენდა 1949 წელს და 1950 წლიდან გამოიმუშავებს 2.08 მგვტ. ელექტროენერგიას.
იგოეთი ჰესი - ექსპლუტაციაშია 1955 წლიდან 1.775 მგვტ. სიმძლავრით.
ტირიფონი ჰესი - მშენებლობა დასრულდა 1950 წელს და ორი ჰიდროაგრეგატი გამოიმუშავებს ჯამში 3.2 მგვტ. ელექტრონერგიას.

თბოსადგურები

სსეკ-ს მფლობელობაშია გარდაბანში მდებარე თბოელექტროსადგურის მესამე და მეოთხე ბლოკები.

მესამე ბლოკი აშენდა და ექსპლუტაციაში შევიდა 1965 წელს და 2021 წელს მისმა გენერაციამ შეადგინა 45,388,000 კვტ/სთ.

მეოთხე ბლოკი ფუნქციონირებს 1967 წლიდან და 2021 წელს გამოიმუშავა 30,890,684 კვტ/სთ. ელექტროენერგია.

გაზგასამართი სადგურები

ასევე ენერგეტიკულის ჯგუფი მოიცავს თავის მხრივ „ნეოგაზი“ ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს ენერგეტიკულის შვილობილ კომპანიას. „ნეოგაზი“ ჯგუფი აერთიანებს 21 გაზგასამართ სადგურს (შვილობილების ჩათვლით) საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. (იხ. დანართი N1) მათ მთავარ საოპერაციო საქმიანობას წარმოადგენს შეკუმშული ბუნებრივი აირის რეალიზაცია, თუმცა 2018 წელს დაემატა ახალი პროდუქტი თხევადი გაზის სახით, რისი რეალიზაციაც ასევე ხდება მოცემულ სადგურებზე. (იხ. დანართი N2).

გაზგასამართი სადგურები (გაგრძელება)

ასევე საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე მდებარეობის ჯგუფის სხვა შვილობილები, როგორებიცაა შპს „სიპაუერი“, შპს „ფაუერ თრეიდი“, შპს „ჯორჯიან ჰიდრო ფაუერი, შპს „იქს გაზი“, და შპს „ჯიეკ სოლუშენსი“.

ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ათასობით ლარში	**2021**	**2020**
შემოსავალი	93,997	141,217
მთლიანი (ზარალი)/მოგება	35,280	34,761
წმინდა მოგება	(4,815)	(547)
მთლიანი მოგება (%)	37.53%	24.62%

2021 წელს კოვიდ 19-ის შეზღუდვების შემსუბუქების შედეგად ბაზარმა აღდგენა დაიწყო. გარდა ამისა, ნეოგაზმა 2020 წლის აგვისტოში გახსნა 2 მაღაზია, 2021 წელს კი კიდევ დამატებით ორი. გაფართოების შედეგად, 2021 წელს მაღაზიების გაყიდვებიდან შემოსავალი 10-ჯერ გაიზარდა 2020 წელთან შედარებით. ამასთან ერთად, გაიზარდა გაზის გასაყიდი ფასიც.

რაც შეეხება არაფინანსურ მაჩვენებლებს, დიდი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხებს, როგორც ძირითად ტერიტორიაზე ასევე ინფრასტრუქტურულ ერთეულებში. შემუშავებულია: ნარჩენების მართვის გეგმა და შესაბამისად სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირება და გეგმის შესაბამისად განკარგვა, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, ტარდება ღონისძიებები გარემოზე ზემოქმედების შესაბამისი დოკუმენტაციის დასკვნით ნაწილში რეკომენდაციების შესრულებაზე,

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით.
ფინანსური რისკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს **საკრედიტო რისკი,** რაც რისკია იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ გადაუხდის კომპანიას საკუთარ ვალდებულებებს, როდესაც გადახდის დრო მოვა. ფინანსური აქტივები, რომლებიც საკრედიტო რისკის მთავარ გამომწვევ ფაქტორებს წარმოადგენენ ძირითადად შედგება გაცემული სესხებისგან, სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ეკვივალენტებისგან. ჯგუფს შემუშავებული აქვს პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხოლოდ დადებითი საკრედიტო ისტორიის მქონე კონტრაგენტებს მიაწოდოს საქონელი ან შესთავაზოს გადახდის ალტერნატიული გზები (მაგალითად წინასწარ გადახდები). დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფისთვის ზიანის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს, გარდა იმისა, რაც აღრიცხულია როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი.

საბაზრო რისკი. ჯგუფზე გავლენას ახდენს ბაზარზე არსებული რისკებიც. საბაზრო რისკები უმეტესად უკავშირდება საბაზრო ძალებით განსაზღვრულ ფასებს საქონელზე და ამით ქმნის ლიმიტებს ფასზე, რომელიც შეიძლება დააკისრო მომხმარებელს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს აქვს გავლენა ამ ფასებზე, საბითუმო მომხმარებლებისთვის, მისი გავლენა იზღუდება ისეთი კონკურენტების ქმედებებით, როგორიცაა შპს „სოკარ გაზი“ (მთავარი ეროვნული საბითუმო გაზის მომწოდებლები). გაზის საცალო გაყიდვებში ჯგუფი მოქმედებს ფასებით, რომელსაც ბაზარი აწესებს, სადაც მისი მთავარი კონკურენტები არიან შპს „ვისოლ პეტროლიუმი“ და შპს „სოკარ გაზი“.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ბუნებრივი აირი ძირითადად შესყიდული იყო შპს „ენერჯი სეილს კომპანისგან“ ფულადი ანაზღაურებით.

გარდა ამისა, ჯგუფს აქვს ღია სავალუტო პოზიცია, რომელიც მერყეობს ზოგადი და კონკრეტული ბაზრის მოძრაობების შესაბამისად. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს რისკის იმ ოდენობაზე, რომელიც შეიძლება რომ ტოლერილებულ იქნას, რაც რეგულარულად მონიტორინგის ქვეშაა. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებამ შეიძლება ვერ შეზღუდოს ზარალი ამ ფარგლებს მიღმა, უფრო მნიშვნელოვნად, ბაზრის არახელსაყრელად მოძრაობის შემთხვევაში.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის (გაგრძელება)

გეოგრაფიული რისკი. ჯგუფის აქტივები მდებარეობს საქართველოში. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს საქართველოში არსებული ბიზნესს გარემოს გაუარესების რისკები.
ჯგუფი ასევე, ნაწილობრივ დამოკიდებულია საქართველოსა და რეგიონის ქვეყნების ურთიერთობების განვითარებაზე. ნებისმიერმა მოვლენამ, რომელიც გავლენას მოახდენს ბუნებრივი აირის ფასზე, შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიას, განაგრძოს ბიზნესი ჩვეულებისამებრ. ამასთანავე, ჯგუფზე ცუდი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს იმ ფაქტმა, რომ თუ მთავრობა შეზღუდავს ელექტროენერგიის ექსპორტს საქართველოდან, ჯგუფის მომგებიანი ბარტერული ტრანზაქციები შეიზღუდება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს რისკის დონეზე ვალუტასთან დაკავშირებით და მთლიანობაში. პოზიციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ლიკვიდობის რისკი. გონივრული ლიკვიდობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას ერთობლივი საკრედიტო ობიექტების ადეკვატური თანხის ოდენობით.

ჯგუფი ახდენს ლიკვიდობის რისკის მართვას სესხებზე წვდომის შენარჩუნებით და მუდმივი პროგნოზირებისა და რეალური ფულადი ნაკადების მოძრაობის მონიტორინგის გზით. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო ერთეულებში და ჯამდება ჯგუფის ფინანსების მიხედვით. ასეთი პროგნოზები ითვალისწინებენ ჯგუფის რეფინანსირების გეგმებს. ჯგუფის ფინანსების განყოფილება მონიტორინგს უწევს ჯგუფის ლიკვიდობის მოთხოვნებს, რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დაიტოვოს საკმარისი არეალი იმისათვის, რომ არ დაარღვიოს სესხების ლიმიტები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ვალდებულებები გაანალიზებულია მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. დაფარვის ცხრილში გაწერილი თანხები არის ხელშეკრულების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები, მათ შორის სესხის ვალდებულებები. ასეთი არადისკონტირებული ოდენობები განსხვავდება ფინანსურ უწყისებში ნაჩვენები ოდენობებისგან, რადგან იქ მოცემული ოდენობები დისკონტირებულია.

როდესაც გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, თანხა წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღში არსებული პირობების მითითებით. უცხოური ვალუტის გადახდები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღში არსებული გაცვლითი კურსებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვადიანობის ანალიზი შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	1 წელზე ნაკლები	1-იდან 2 წლამდე	2-იდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,152	-	-	-	9,152
გადასახადები	608	-	-	-	608
საიჯარო ვალდებულება	264	209	235	46	754
აღებული სესხები	47,056	61,497	17,439	56,017	182,009
სულ ფინანსური ვალდებულებები	**57,080**	**61,706**	**17,674**	**56,063**	**192,523**

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის ლიკვიდობის გაზრდა მოხდება კომერციული ბანკების მიერ ახალი საკრედიტო ხაზების მოპოვებით ან არსებული სესხების საპროცენტო განაკვეთების შემცირებით, ხარჯების მართვის გაუმჯობესებით, აქტივობის გაზრდით და აქტიურად ახალი კონტრაქტების მოძიებით.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ცვლილება საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი მოძრაობის მიმართ, რაც გამოიხატება მოზიდული სახსრების ან/და ფულადი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. ჯგუფს არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, თუ რა პროპორციით უნდა იყოს ფიქსირებული და ცვლადი სესხები ჯგუფში. თუმცა, ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია გარდა „თიბისი ბანკისგან“ და საქართველოს ბანკისგან აღებული სესხებისა, რომელიც არის 6 თვიანი LIBOR + 6.20% და 6.70%.

ამ ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟები, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან წავიდეს ზარალში იმ შემთხვევაში, როდესაც მოულოდნელი მოძრაობები წარმოიქმნება ბაზარზე. ჯგუფი არ აკეთებს მისი საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ახალი პროგრამები

„ქსელის წესების“ მოთხოვნის თანახმად, 2018 წელს დაიწყო ახალი ტირისტორული აღგზნების სისტემების მონტაჟი სსეკ-ს კუთვნილ ჰესებსა და თბოელექტრო სადგურის ბლოკებზე. აღნიშნული სისტემის დამონტაჟება ჰესებზე და ბლოკზე უზრუნველყოფს ოპერაციის საიმედოობას, სტაბილუროზას და იძლევა სწრაფი რეაგირების საშუალებას.

SCADA სისტემის დანერგვა

დისპეჩერიზაციის ლიცენზიატსა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით სსეკ-მ დაიწყო SCADA-ს მონაცემთა გადაცემის სისტემის განთავსება ჰესებზე, რომლის დანიშნულებაა ჰესებში მიმდინარე სამრეწველო პროცესის მეთვალყურეობა რეალურ დროში. 2018 წელს აღნიშნული სისტემა მოეწყო რაჭის, რიცეულას და ბჟუჟა ჰესებზე.

სოციალური პასუხისმგებლობა

„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ როგორც „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ შვილობილი კომპანია აქტიურადაა ჩართული მშობელი კომპანიის ქოლგის ქვეშ განხორციელებულ სხვადასხვა სოციალურ თუ საქველმოქმედო აქტივობებში. იქნება ეს სოციალური თემატიკის, საგანმანათლებლო, სპორტული თუ ეკოლოგიური.

დანართი N1

"ნეოგაზის" ავტო გაზგასამართი სადგურების მისამართები

<u>"ნეოგაზის" სტაციონარი სადგურები:</u>

1. საბურთალო უნივერსიტეტი 1 - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N6
2. საბურთალო ქავთარაძე 2 - ქ. თბილისი, კოსტავას ქ #8
3. ორთაჭალა - ქ. თბილისი, გულუას ქ. N22
4. ვარკეთილი - ქ. თბილისი ჯავახეთის ქუჩაზე ვარკეთილის 3-ის საცხოვრებელი რაიონის III მ/რ - ის მოპირდაპირედ
5. აეროპორტი - ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმებარედ
6. დიღომი - ქ. თბილისი, საქართველოს სამხედრო გზასა და გლდანში გადასახვევი გზის გადაკვეთასთან
7. ავჭალა - ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამწზირი N 39
8. ლოჭინი - გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი
9. მარნეული - ქ. მარნეული, 26 მაისის ქ.
10. ველისციხე - გურჯაანის რაიონი, სოფელი მუკუზანი
11. თელავი - ქ. თელავი თბილისის გზატკეცილი
12. ნატახტარი - მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი
13. ხაშური - ქ. ხაშური, გორგასალის ქ. N30
14. ზესტაფონი - ზესტაფონის რაიონი, სოფელი არგვეთა
15. ქუთაისი - ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. N1
16. სამტრედია - ქ. სამტრედია, სანავარდოს ქ.
17. ქობულეთი - ქობულეთის რაიონი, სოფელი გვარა
18. გორი - ქ. გორი, სტალინის გამზირის დასაწყისი
19. ახალქალაქი - ახალქალაქი, ვაჩიანის გზატკეცილი (ციხესთან)
20. შპს ,,იბერგაზი'' - თბილისი, ქინძმარაულის 12
21. შპს ,,დელტა პე'' - თბილისი, ქსნის ქუჩის დასაწყისი

"ნეოგაზის" მოძრავი სადგურები:

1. თემქა - ქ. თბილისი, თემქის დას. მე-3 მ/რ, მე-5 კვ. N25 ა
2. რუსთავი - ქ. რუსთავი, აღმაშენებლის და ფანცულაიას ქუჩის მიმდ. ტერიტორია
3. მარტყოფი - გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი
4. ვარდისუბანი - თელავის რ-ნი, სოფ ვარდისუბანი
5. გომი - ხაშურის რაიონი, სოფელი გომი, საჩხერის გადასახვევი
6. სამტრედია - ქ. სამტრედია, კოსტავას ქ. N3

დანართი N2

„ნეოგაზის” თხევადი გაზის სადგურების ჩამონათვალი:

1. საბურთალო უნივერსიტეტი - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N1
2. აეროპორტი - ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმებარედ
3. დიღომი - ქ. თბილისი, საქართველოს სამხედრო გზასა და გლდანში გადასახვევი გზის გადაკვეთასთან
4. ნატახტარი - მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი
5. ლოჭინი - გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი
6. ზესტაფონი - ზესტაფონის რაიონი, სოფელი არგვეთა
7. სამტრედია - ქ. სამტრედია, სანავარდოს ქ.
8. თელავი - ქ. თელავი თბილისის გზატკეცილი
9. ქუთაისი - ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. N1
10. ველისციხე - გურჯაანის რაიონი, სოფელი მუკუზანი
11. ქობულეთი - 74, აღმაშენებელის ქუჩა, ოზურეთი
12. გორი - სტალინის ქუჩის დასაწყისი, გორი

საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები,
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობის ანგარიში და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	1
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში	2
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში	4
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე:	
1. შესავალი	5
2. ჯგუფის საოპერაციო გარემო	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	6
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	18
5. ახალი და გადასინჯული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება	20
6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები	22
7. ძირითადი საშუალებები	27
8. საინვესტიციო ქონება	28
9. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები და ფინანსური იჯარის ვალდებულებები	29
10. სხვა გრძელვადიანი აქტივები	30
11. გაცემული სესხები	30
12. მარაგები	33
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	33
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	35
15. საწესდებო კაპიტალი	35
16. აღებული სესხები	36
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	37
18. შემოსავლები	38
19. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	39
20. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	40
21. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	40
22. სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა	41
23. ფინანსური ხარჯები	41
24. ფინანსური რისკის მართვა	41
25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	44
26. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები	45
27. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	46
28. მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდგომ	48

სხვა ინფორმაცია - კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის მესაკუთრეს და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის (შემდგომში „კომპანია") და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი") კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფის საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

გვხმ სქნივრ

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2022 წლის 22 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

ჯგუფი „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში

ათასობით ლარში	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	105,323	111,394
საინვესტიციო ქონება	8	6,266	6,193
აქტივის გამოყენების უფლება	9	482	1,222
გუდვილი		726	726
არამატერიალური აქტივები		386	486
ინვესტიციები ასოცირებულ პირებში		736	678
გაცემული სესხები	11	2	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	15,026	15,537
სხვა გრძელვადიანი აქტივები	11	25,086	25,088
სულ გრძელვადიანი აქტივები		**153,993**	**161,325**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	7,533	7,557
გაცემული სესხები	11	57,593	47,573
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	9,485	20,253
წინსწრებით დაფარული საგადასახადო ვალდებულებები		721	1,074
შეზღუდული ფული	14	10,554	11,163
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	23,231	2,198
სულ მიმდინარე აქტივები		**109,117**	**89,818**
სულ აქტივები		**263,110**	**251,143**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	7,720	7,720
გაუნაწილებელი მოგება		100,931	105,652
კაპიტალი, რომელიც მიეკუთვნება:			
კომპანიის მფლობელებს		108,651	113,372
არაკონტროლირებადი წილის მფლობელებს		335	500
სულ კაპიტალი		**108,986**	**113,872**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
აღებული სესხები	16	104,644	27,091
საიჯარო ვალდებულება		414	1,104
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**105,058**	**28,195**
მიმდინარე ვალდებულებები			
აღებული სესხები	16	38,130	88,860
საიჯარო ვალდებულება	9	215	495
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	10,113	17,090
საგადასახადო ვალდებულებები		608	2,631
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**49,066**	**109,076**
სულ ვალდებულებები		**154,124**	**137,271**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**263,110**	**251,143**

დამტკიცდა და მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 22 ნოემბერს ხელი მოაწერეს:

მალხაზ იასეშვილი
ადმინისტრაციული დირექტორი

თეონა კორტი
მთავარი ბუღალტერი

ათასობით ლარში	შენიშვნები	2021	2020
შემოსავალი	18	93,997	141,217
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	19	(58,717)	(106,456)
საერთო მოგება		**35,280**	**34,761**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	20	(10,590)	(11,678)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(9,063)	(10,721)
სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა	22	(16,018)	(3,293)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**(391)**	**9,069**
საინვესტიციო ქონების გადაფასებისგან მიღებული მოგება/(ზარალი)	8	33	(288)
ფინანსური შემოსავალი		5,796	4,232
ფინანსური ხარჯები	22	(10,557)	(13,684)
ასოცირებული პირების მოგების წილი		304	124
ზარალი მოგების გადასახადამდე		**(4,815)**	**(547)**
მოგების გადასახადი		-	-
წლის ზარალი		**4,815)**	**(547)**
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		-	-
მთლიანი სრული ზარალი		**(4,815)**	**(547)**
მთლიანი სრული ზარალი, რომელიც ეკუთვნის:			
კომპანიის მფლობელებს		(4,711)	(154)
არაკონტროლირებადი წილის მფლობელებს		(104)	(393)
მთლიანი სრული მოგება/ზარალი		**(4,815)**	**(547)**

ათასობით ლარში	მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელს				
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არაკონტროლირებადი წილი	სულ
2020 წლის 1 იანვარს	**7,720**	**119,391**	**127,111**	**955**	**128,066**
მთლიანი სრული ზარალი	-	(154)	**(154)**	(393)	**(547)**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდები	-	(13,585)	**(13,585)**	(62)	**(13,647)**
2020 წლის 31 დეკემბერს	**7,720**	**105,652**	**113,372**	**500**	**113,872**
მთლიანი სრული მოგება	-	(4,711)	**(4,711)**	(104)	**(4,815)**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდები	-	(10)	**(10)**	(61)	**(71)**
2021 წლის 31 დეკემბერს	**7,720**	**100,931**	**108,651**	**335**	**108,986**

ზუსტი ასლია

ჯგუფი „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში

ათასობით ლარში	შენიშვნები	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		117,127	143,768
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(71,646)	(93,785)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(9,171)	(9,415)
საოპერაციო საქმიანობიდან გამომუშავებული ფულადი ნაკადები		**36,310**	**40,568**
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(8,934)	(9,299)
გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები		(16,489)	(22,538)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული, წმინდა		**10,887**	**8,732**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შეზღუდული ფულის კლება		-	4,898
ასოცირებული კომპანიებისგან მიღებული დივიდენდები		248	136
ასოცირებული კომპანიის საწესდებო კაპიტალის ზრდა		(2)	(2)
გაცემული სესხები		(169)	(5,132)
ფინანსური მოთხოვნის შესყიდვა		(1,568)	(1,970)
სესხის მოთხოვნის გადმოცემისთვის გადახდილი თანხა	11	(19,976)	-
გაცემული სესხების დაფარვა		-	5,286
მიღებული პროცენტი		467	653
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(3)	(34)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(602)	(909)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		14	293
საინვესტიციო საქმიანობაში მიღებული ფული, წმინდა		**(21,591)**	**3,219**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების აღება	16	185,762	8,279
სესხების დაფარვა	16	(153,630)	(16,375)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(321)	(442)
გადახდილი დივიდენდები		(59)	(13,904)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული, წმინდა		**31,752**	**(22,442)**
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**21,048**	**(10,492)**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**2,198**	**11,276**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(15)	1,414
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**23,231**	**2,198**

1. შესავალი

შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" ("კომპანია" ან "სსეკ") დაარსდა 2005 წლის 11 ივლისს და მდებარეობს საქართველოში. ჯგუფი და მისი შვილობილი კომპანიები ("ჯგუფი" ან "სსეკ ჯგუფი") ერთობლივად შექმნილია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 230866783

ჯგუფის უშუალო მშობელი კომპანიაა შპს. "ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი", რომელიც დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფის უშუალო მშობელი კომპანია არის მარშალის კუნძულების კანონმდებლობის შესაბამისად დაარსებული „ჩემექსიმ ინთერნეიშენალ ლიმითედ“, იურიდიული მისამართით: თრასთ ქომფანი კომპლექს, აჯელტაკეს ქუჩა, აჯელტაკეს კუნძული, მაჯურო, მარშალის კუნძულები MH96960. ჯგუფს საბოლოოდ აკონტროლებს ბატონი დავით ბეჟუაშვილი.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფი არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების ჯგუფის დამფუძნებელი, რომელთა ძირითადი საქმიანობა მოიცავს მოიცავს ელექტროენერგიის გენერირებას, გაზგასამართი სადგურების ოპერირებას, გაზზე მომუშავე ავტომანქანების ტესტირებას, საინჟინრო და გვერდით საკონსულტაციო საქმიანობას.

ელექტროენერგია გამომუშავდება თბოელექტროსადგურის ("თბილსრესის") და საქართველოს მასშტაბით მდებარე 8 ჰიდროელექტროსადგურის მიერ, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. ელექტროენერგია იყიდება სხვადასხვა კერძო ჯგუფსა და სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ ელექტროენერგიის ბაზრის კომერციულ ოპერატორზე („ესკო“). თბოელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 272 მეგავატია და მისი გასაყიდი ტარიფი დგინდება ნორმატიული აქტით. ჯგუფის მფლობელობაში არსებული თითოეული ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 13 მგვტ-ზე ნაკლებია და მათი ტარიფები დერეგულირებულია.

ჯგუფი ბუნებრივ აირს ყიდულობს კავკასიის რეგიონში მოქმედი გაზის მომწოდებლებისგან, რომელთაც შეუძლიათ დიდი მოცულობის აირის მიწოდება. გაზის ძირითადი მომხმარებლები მსხვილი ქართული საწარმოები და გაზგასამართი სადგურების ქსელებია. ჯგუფი ასევე ჩართულია გაზის საცალო ვაჭრობაში საკუთარი გაზგასამართი სადგურების საშუალებით.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ძირითად შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	2021 წლის 31 დეკემბერი, წილი/ხმის მიცემის უფლება	2020 წლის 31 დეკემბერი, წილი/ხმის მიცემის უფლება	ყიდვის/დაარსების წელი	ინსუსტრია
შპს ფაუერ თრეიდი	100.0%	100.0%	2012	ელექტროენერგიით ვაჭრობა
შპს სი პაუერი	100.0%	100.0%	2015	ელექტროენერგიის გამომუშავება
შპს რიცეულაჰესი	88.5%	88.5%	2008	ელექტროენერგიის გამომუშავება
შპს ნეოგაზი	100.0%	100.0%	2014	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს აჭარა ავტოგაზი	74.0%	74.0%	2009	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს მობილგორიგაზი	55.0%	55.0%	2011	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს დელტა პე	50.0%	50.0%	2015	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს იქს გაზი	50.0%	50.0%	2012	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ახალგაზი	50.0%	50.0%	2010	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს იბერგაზი	50.0%	50.0%	2010	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ორთაჭალა გაზი	100.0%	100.0%	2016	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერი - EPC	51.0%	51.0%	2012	ჰესების ინჟინერია
შპს ჯიეკ სოლუშენსი	100%	100%	2019	საინჟინრო და გვერდითი საკონსულტაციო საქმიანობა
შპს ჯითი პაუერ ვენჩერსი	50%	50%	2019	საინჟინრო საქმიანობა

რეგისტრირებული მისამართი და ბიზნესის წარმოების ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია, გაზაფხულის ქ. #18, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო. ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფში დასაქმებული იყო 836 თანამშრომელი (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 865 თანამშრომელი).

2. ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი ბიზნეს აქტივობები საქართველოს ფარგლებშია. საქართველო ავლენს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციასა და მაღალ საპროცენტო განაკვეთს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს აქვს შედარებით სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა გამოხატული დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

2020 წლის მარტში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა კოვიდ-19-ის პანდემია. პანდემიის ზეგავლენის შესამცირებლად, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა გარკვეული შეზღუდვები, მათ შორის კარანტინი, საერთაშორისო ფრენების აკრძალვა და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ შეზღუდვებმა ნეგატიური გავლენა იქონიეს ეკონომიკასა და ლოკალურ ბიზნესებზე, მათ შორის ჯგუფის ოპერაციებზეც. შეზღუდვების ნაწილი უკვე შემსუბუქებულია.

2021 წელს მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში, პანდემია ვაქცინაციის ფაზაში შევიდა, რამაც დადებითი გავლენა იქონია ეკონომიკაზე. ამ ტენდენციას ხელი შეუწყო საერთაშორისო ეკონომიკის აღდგენამ და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდამ. თუმცა, მაღალი ფასები საქართველოსა და ზოგიერთ საერთაშორისო ბაზარზე ხელს უწყობს ინფლაციას საქართველოში. მენეჯმენტი უძლურია, განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენა და, შესაბამისად, ყველა ის ეფექტი, რაც ამ მოვლენებმა შეიძლება იქონიოს ჯგუფის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" დადგენილი მოთხოვნების მიხედვით, ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, პოლიტიკები თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის მოითხოვს ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. სფეროების, სადაც მაღალი ხარისხისა და სირთულის განსჯა გამოიყენება, ასევე სფეროების, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის, შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტა. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული ერთეულის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც იგი ოპერირებს. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციურ ვალუტას, ასევე მისი შვილობილი კომპანიებისა და ასოცირებული პირებისთვის, რომელშიც წარმოდგენილია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა თანხა უახლოეს ათასზეა დამრგვალებული.

კონსოლიდაციის საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ კონტროლირებადი ჯგუფისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც ჯგუფს:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე ჯგუფში; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე

ჯგუფი მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე ჯგუფს და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს, რომ შეიცვალა ერთ ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

როდესაც ჯგუფი არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის კონსოლიდირებული საქმიანობა ცალმხრივად. ჯგუფი განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

- ჯგუფის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- ჯგუფის, ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი სხვა კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ჯგუფს აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილი ჯგუფის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებსა და არაკონტროლირებადი წილის მფლობელებს. ჯგუფის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებსა და არაკონტროლირებადი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არაკონტროლირებადი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი.

საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა თავიანთი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთანყველა ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

ცვლილებები ჯგუფის საკუთრების წილში არსებულ შვილობილ კომპანიებში. ის ცვლილებები ჯგუფის საკუთრების წილში, რომლებსაც არ მოჰყვება შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვა აღირიცხება როგორც კაპიტალის ტრანზაქციები. ჯგუფის ინტერესებისა და არაკონტროლირებადი წილის საბალანსო ღირებულებები იცვლება შვილობილი კომპანიების მიერ მათი ფარდობითი ინტერესების მიხედვით. ნებისმიერი განსხვავება, რომლითაც არაკონტროლირებადი წილი იცვლება და გადახდილი ან მიღებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის აღიარებულია უშუალოდ კაპიტალში და მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებს.

როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, მოგება ან ზარალი ტრანზაქციიდან აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში და იანგარიშება როგორც სხვაობა i) მიღებული კომპენსაციის და შენარჩუნებული წილის რეალური ღირებულებების ჯამურ თანხასა და ii)კონტროლის დაკარგვამდე არსებული შვილობილის აქტივების (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებას და არაკონტროლირებად წილს შორის. ყველა თანხა აღიარებული შვილობილთან დაკავშირებით ადრე, როგორც სხვა საერთო შემოსავალი, აღირიცხება ისე როგორც აღირიცხებოდა ჯგუფს რომ პირდაპირ გაეყიდა შვილობილთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები (გადაკლასიფიცირდება მოგება/ზარალში ან კაპიტალის რომელიმე სხვა კატეგორიაში შესაბამისი ფასს-ის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით). კონტროლის დაკარგვის მომენტში, ყოფილ შვილობილში შენარჩუნებული ინვესტიციის რეალური ღირებულება ჩაითვლება შემდგომში როგორც, რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას, ფასს 9-ის მიხედვით ინვესტიციის შემდგომ პერიოდებში აღრიცხვისათვის, როცა რელევანტურია, ღირებულებად ინვესტიციის ასოცირებულ ჯგუფში ან ერთობლივ საწარმოში.

ბიზნეს კომბინაციები. სხვადასხვა ბიზნესების შეძენა აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. გადაცემული კომპენსაცია ბიზნეს კომბინაციის დროს აღირიცხება რეალური ღირებულებით და იანგარიშება როგორც შეძენის თარიღში არსებული აქტივების რეალური ღირებულებისა ჯამი, რაც ჯგუფმა გასცა, ვალდებულებების რაც ჯგუფმა გასწია ყოფილ მფლობელებზე და კაპიტალისა, რაც ჯგუფმა შეიტანა კონტროლის სანაცვლოდ. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები ზოგადად აღიარდება მოგება/ზარალში გაწევის მომენტში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

შეძენის თარიღში, შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები აღიარდება რეალური ღირებულებით, გარდა ამისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები და თანამშრომელთა სარგებლის პროგრამებთან დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები, რომლებიც აღიარდება და იზომება ბასს 12 -ის და ბასს 19-ის მიხედვით შესაბამისად;
- ვალდებულებები ან წილობრივი ინსტრუმენტები, დაკავშირებული შეძენილი ბიზნესის წილებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამებთან ან ჯგუფის წილებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამებთან, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს შეძენილი ბიზნესის წილებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამები. ასეთი ვალდებულებები და კაპიტალის ინსტუმენტები აღირიცხება ფასს 2 -ის „წილებზე დაფუძნებული ანაზღაურება" მიხედვით, შეძენის მომენტში.
- აქტივები (ან გასაყიდი ჯგუფები) რომლებიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდი ფასს 5-ის „გრძელვადიანი აქტივები გამზადებული გასაყიდად და შეწყვეტილი ოპერაციები „ მიხედვით და შესაბამისად იზომება მოცემული სტანდარტის მიხედვით.

არამაკონტროლებელი წილები, რომლებიც წარმოადგენს არსებულ წილებს და მფლობელს უფლებას აძლევს, მიიღოს პროპორციული წილი ობიექტის წმინდა აქტივებიდან ლიკვიდაციის შემთხვევაში, შესაძლებელია, თავიდან აისახოს ან სამართლიანი ღირებულებით, ან შსყიდვის ობიექტის არსებული წმინდა ატივების აღიარებული ღირებულების იმ წილით, რომლებიც არამაკონტროლებელი წილების პროპორციულია. აღრიცხვის საფუძელი შეირჩევა თითოეული ტრანზაქციისათვის. არამაკონტროლებელი წილის სხვა სახეობები აისახება სამართლიანი ღირებულებით, ან სხვა ფასს-ით გათვალისწინებული მიდგომით.

როდესაც კომპენსაცია, რომელსაც მყიდველი საწარმო გადასცემს შესყიდული საწარმოს სანაცვლოდ, შეიცავს აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებიც წარმოშობილია პირობითი კომპენსაციის გარიგებით, მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული პირობითი კომპენსაციის სამართლიანი ღირებულება უნდა აღიაროს, როგორც შეძენილი საწარმოს სანაცვლოდ გადაცემული კომპენსაციის ნაწილი. შეფასების პერიოდის განმავლობაში, მყიდველმა საწარმომ რეტროსპექტიულად უნდა დააკორექტიროს შეძენის თარიღით აღიარებული პირობითი თანხები გუდვილთან მიმართებით. შეფასების პერიოდის განმავლობაში გაკეთებული კორექტირებები წარმოადგენს კორექტირებებს რომლებიც შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ ახალი ინფორმაციის მიღების შედეგად წარმოიშვა (შეფასების პერიოდმა არ უნდა გადააჭარბოს შეძენის თარიღიდან ერთ წელს).

იმ პირობითი კომპენსაციის სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც არ კლასიფიცირდება, როგორც შეფასების პერიოდის კორექტირება, აღირიცხება იმის მიედვით, თუ როგორ კლასიფიცირდება პირობითი კომპენსაცია. თუ ის კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი, გადაფასება არ ხდება, ხოლო თუ კლასიფიცირდება როგორც აქტივი ან ვალდებულება, შეფასება უნდა მოხდეს ფასს 9 ან ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" სტანდარტების მიხედვით, ხოლო შესაბამისი შემოსულობის ან ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგებაში ან ზარალში.

ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში მყიდველმა საწარმომ მისი ადრინდელი სააქციო წილი შეძენილ საწარმოში უნდა გადააფასოს შეძენის თარიღისთვის გამოთვლილ სამართლიან ღირებულებამდე და საჭიროებისამებრ, მოგებაში ან ზარალში აღიაროს მიღებული შემოსულობა ან ზარალი თუ ასეთი არსებობს. წინა საანგარიშგებო პერიოდში მყიდველ საწარმოს შეიძლება სხვა სრულ შემოსავალში ჰქონდეს აღიარებული შეძენილ საწარმოში თავისი სააქციო წილის ღირებულების ცვლილებები. ასეთ შემთხვევაში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხა იმავე საფუძვლით უნდა აღიარდეს, როგორც იმ შემთხვევაში იქნებოდა საჭირო თუ მყიდველი საწარმო პირდაპირ გაასხვისებდა თავის ადრინდელ სააქციო წილს.

თუ საწარმოთა გაერთიანების საწყისი აღრიცხვა დასრულებული არ არის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როდესაც გაერთიანებას აქვს ადგილი, მყიდველმა საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აჩვენოს პირობითი თანხები. შეფასების პერიოდის განმავლობაში, პირობითი თანხები შეიძლება დაკორექტირდეს (იხ. ზემოთ), ან საწარმომ უნდა აღიაროს დამატებითი აქტივები და ვალდებულებები, თუ მიღებულია ახალი ინფორმაცია შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ, რომელიც თუ მაშინ იქნებოდა ცნობილი, განაპირობებდა ამ აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებას ამ თარიღისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოები არიან კომპანიები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი, როგორც წესი, თან ახლავს ხმის უფლების 20-დან 50 პროცენტამდე წილს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვა ხდება საბუღალტრო კაპიტალის მეთოდით და თავდაპირველად აღიარებულია მისი ღირებულებით. მეკავშირე საწარმოებისგან მიღებული დივიდენდები ამცირებს მეკავშირე საწარმოში არსებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულებას. მეკავშირე საწარმოს წმინდა აქტივებში მომხდარი შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები ჯგუფი წილში აღიარებულია შემდეგნაირად: (1) მეკავშირე საწარმოს მოგება-ზარალის ჯგუფის წილი ასახულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავალში როგორც მეკავშირე საწარმოს წილი. (2) სხვა სრული შემოსავლის ჯგუფის წილი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და ცალკე არის წარმოდგენილი. (3) მეკავშირე საწარმოს წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების ყველა სხვა ცვლილება ჯგუფის წილში აღიარებულია მოგება-ზარალში მეკავშირე საწარმოს შედეგების შესაბამისი წილის ფარგლებში.

თუმცა, როდესაც მეკავშირე საწარმოს ზარალი უტოლდება ან აღემატება ჯგუფის წილის პროცენტს მეკავშირე საწარმოში, რომელშიც შედის ნებისმიერი სხვა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, ჯგუფი არ აღიარებს მასზე მეტ ზარალს, იმ შემთხვევაში თუკი ჯგუფს არ დაუფარავს ვალდებულებები ან არ განახორციელა გადახდა მეკავშირე საწარმოს ნაცვლად.

ჯგუფსა და მეკავშირე საწარმოს შორის განხორციელებული ტრანზაქციებიდან გამოწვეული არარეალიზებული მოგება ბათილდება იმდენად, რამდენიც არის ჯგუფის პროცენტი მეკავშირე საწარმოში; არარეალიზებული ზარალი ასევე ბათილდება იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქცია არ ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

უცხოური ვალუტა. ჯგუფის თითოეული ინდივიდუალური ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. რეალური ღირებულებით აღიარებული არაფულადი ნაკადები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მატი რეალური ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად ნაკადებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი ნაკადების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2021 წლის **31** დეკემბერი	**2020** წლის **31** დეკემბერი
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

ამჟამად ქართული ლარი საქართველოს გარეთ, ქვეყნების უმრავლესობაში თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის რეალურ ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობები და კონსტრუქციები	10-დან 50 წლამდე
ჰიდროტექნიკური სტრუქტურები	5-დან 60 წლამდე
გაზის მილსადენები	5-დან 40 წლამდე
მანქანა დანადგარები	5-დან 30 წლამდე
ავტომობილები - მძიმე სატვირთო მანქანები	5-დან 20 წლამდე
ავტომობილები - მსუბუქი მანქანები	5-დან 15 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-დან 10 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც ჯგუფი მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასარგებლო სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის მფლობელობაში მყოფი ქონება, რათა მიიღოს საიჯარო შემოსავალი ან კაპიტალის ზრდა ან ორივე და რომელიც არ არის ჯგუფის მიერ დაკავებული. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია მისი ღირებულებით და შემდგომ ხდება გადაფასება განახლებული რეალური ღირებულებით რათა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს ასახავდეს საბაზრო პირობებს.

ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების საანგარიშო მოხსენებით, რომლებიც ფლობენ შესაბამის აღიარებულ პროფესიულ კვალიფიკაციას და გააჩნიათ უახლესი გამოცდილება მსგავსი მდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასებაში.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღრიცხულია წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავლების ფარგლებში. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებების ცვლილებიდან გამოწვეული მოგება-ზარალი აღრიცხულია წლის მოგება-ზარალში და წარმოდგენილია ცალკე.

საინვესტიციო ქონების ჩამოწერა ხდება მისი რეალიზაციიდან შემდგომ ან მაშინ როცა საინვესტიციო ქონება მუდმივად გამოუყენებელია და მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის. ქონების ჩამოწერით მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა წმინდა რეალიზაციასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ქონების ჩამოწერა.

თუკი საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მფლობელი, ის რეკლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება და რეკლასიფიცირების თარიღში მისი საბალანსო ღირებულება გახდება მისი ჩათვლილი ღირებულება საბუღალტრო მიზნებისთვის.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივების საბალანსო ღირებულებაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ხარჯებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა ჯგუფისთვის სავარაუდოა და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა შეკეთება შენარჩუნების ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს გარდა გუდვილისა აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავს კომპიუტერულ და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების დაახლოებითი სასარგებლო გამოყენების ვადა არის 5 წელი, ხოლო საბუღალტრო პროგრამისთვის 10 წელი.

აქტივების გამოყენების უფლება. აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის აღიარებას, იჯარის დაწყების დღეს ან მანამდე გადახდილ საიჯარო გადახდებს, და აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები და საწყისი პირდაპირი ხარჯები. შემდგომში ასეთი აქტივები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

როდესაც ჯგუფს ეკისრება ისეთი ხარჯების ვალდებულება, რაც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟთან და გატანასთან, მისი მდებარეობის ადგილის აღდგენასთან ან შესაბამისი აქტივის იჯარის პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოყვანასთან, აღიარდება რეზერვი, რომელიც ფასდება ბასს 37-ის საფუძველზე. თუ ხარჯები აქტივის გამოყენების უფლებასთანაა დაკავშირებული, ისინი შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ ამ ხარჯების გაწევა მარაგების შექმნასთან არაა დაკავშირებული.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. თუ იჯარით ხდება შესაბამისი აქტივის საკუთრების უფლების გადაცემა ან აქტივის გამოყენების უფლების ღირებულებაში ასახულია, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის ოფციონის რეალიზებას, შესაბამის გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება აქტივის მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის დაწყებისას.

აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით მათი იჯარის ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
მიწა და შენობები	2-დან 13 წლამდე
საოფისე ფართი	2 წელი

აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურების დასადგენად გამოიყენება ბასს 36. გაუფასურების გამოვლენილი ზარალი აღირიცხება „ძირითადი საშუალებების" პოლიტიკაში აღწერილი წესით.

პრაქტიკული შეღავათის სახით, ფასს 16 მოიჯარეს უფლებას აძლევს, არ დააცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და საიჯარო და შესაბამისი არასაიჯარო კომპონენტები ერთი გარიგების ფარგლებში აღრიცხოს. ჯგუფი ამ პრაქტიკული შეღავათით სარგებლობს.

მოგების გადასახადები. 2019 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი ჯგუფში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის" ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „გადასახადები და მოსაკრებლები".

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, ჯგუფმა შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში.
ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო ღირებულების მეთოდით და მოიცავს გაწეული ხარჯებს მარაგების ყიდვისას და მათი ადგილზე მიტანისას. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის საანგარიშო ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები *– შეფასების ძირითადი ტერმინები.* კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასი. აქტიურია ბაზარი, რომელზეც აქტივზე ან ვალდებულებაზე ტრანზაქციები ტარდება საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რომ საფასო ინფორმაცია რეგულარულად იქნას მიღებული.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რეალური ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება რეალური ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კვოტირდება, თუ კვოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.
მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. თრანზაქციის ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)". ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ჯგუფის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას გაზისა და ელექტროენერგიის გაყიდვიდან. ეს ჯგუფის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად ჯგუფს კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდია. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა" (H2C) კლასიფიცირდება. ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება. ამავე კრიტერიუმებს აკმაყოფილებს გაცემული სესხები, რადგან მათზე მოქმედებს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რაც ასევე მოიცავს ფინანსურ დერივატივებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულების ცვლილება აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა ხილული მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ ხილული ბაზრების მაჩვენებლებს.

იმ ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა, რომელთა მიწოდება უნდა მოხდეს რეგულირებით ან ბაზარზე შეთანხმებით დადგენილ ვადაში (რეგულარული ყიდვა-გაყიდვა), აისახება ვაჭრობის თარიღში, რომელიც არის ის თარიღი, რომელშიც ჯგუფი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდებას. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები. ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და გაცემულ სესხებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გაცემული სესხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამოუღებელი საპროგნოზო თანხების შესაბამისი რეზერვი მოგებაში ან ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (მსზ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსზ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო ზარალისათვის (12 თვიანი მსზ). ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსზ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფში 12 თვიანი მსზ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსზ არსებობის მანძილზე საფუძველზე. ჯგუფმა შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო ზარალის გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიურია. გაზის გაყიდვასთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნები ფასდება ჯგუფურად.

ინდივიდუალურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს დეფოლტის პარამეტრის ზღვრული ალბათობის რისკის პარამეტრებს, დეფოლტის შემთხვევაში რისკის მოცულობის პარამეტრს და დეფოლტით გამოწვეული ზარალის პარამეტრს. თუ საბაზო ნიშნულის გამოყენება შეუძლებელია, ჯგუფი მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად იყენებს ჯგუფური შეფასების რისკის პარამეტრებს. საბაზო ნიშნულის მიდგომის გამოყენების მიზნებისათვის ერთერთი მთავარი მონაცემია გარე რეიტინგები ან მათი საბაზო ნიშნულები კონტრაგენტის ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის გამოყენებით. ჯგუფი გარე რეიტინგების ხელმისაწვდომობას იკვლევს ღია წყაროების საშუალებით, მათ შორის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების ვებსაიტებზე, როგორებიცაა „მუდისი", „ფიტჩი" და „სტანდარდ ენდ ფურზი". თუ გარე რეიტინგი ხელმისაწვდომი არ არის, ჯგუფი მოიპოვებს კონტრაგენტის ფინანსურ ანგარიშგებებს და საბაზო რეიტინგს ადგენს ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით, „მუდისის" ფინანსური კოეფიციენტების კვლევის საშუალებით.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწყისი აღიარებისას შესაბამის თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა ზედმეტად დიდ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. ჯგუფმა განსაზღვრა სრული მსზ არსებობის მანძილზე, ანუ ის მსზ არსებობის მანძილზე, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით წარმოიშობა (იგივე - მე-2 და მე-3 ეტაპები). გაცემული სესხები მე-2 ეტაპს ეკუთვნის. დეფოლტის ალბათობის მიდგომის შემთხვევაში, ჯგუფი იყენებს სარეიტინგო სააგენტოების ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. ჯგუფი სხვა მოთხოვნების მსზ-ს ანგარიშობს ექსპერტის შეფასებით დადგენილი ზარალის განაკვეთების გამოყენებით. ექსპერტის შეფასების გამოყენება მართებულად ჩაითვალა იმის გამო, რომ არ არსებობს ისეთი ისტორიული ინფორმაცია, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა რეზერვების მატრიცის შექმნა. ამოუღებადი თანხების მისაღებად გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი პერიოდის მოთხოვნების ნაშთებზე.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებები. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და აღებულ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავიდან აღირიცხება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავაჭრო ვალდებულებები აღრიცხულია დღგ-ის ჩათვლით.

აღებული სესხები. აღებული სესხები თავიდან აღირიცხება რეალურ ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. რეალური ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, აღებული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადება (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) ჯგუფი გაიღებს ხარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) ჯგუფი მიიღებს აღებული სესხების ხარჯებს; და (გ) ჯგუფი განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

აღებული სესხების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

ჯგუფი ახორციელებს იმ აღებული სესხების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი კვალიფიციურ აქტივებზე კაპიტალურ დანახარჯებს არ გასწევდა. კაპიტალური აღებული სესხების გაანგარიშება ხორციელდება ჯგუფის საშუალო დაფინანსების ხარჯით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი გამოიყენება სათანადო აქტივებზე დანახარჯების მიმართ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური სახსრების სესხად აღება ხდება კვალიფიციური აქტივის მიღების მიზნით. როდესაც ეს მოხდება, კაპიტალიზირდება აღებული სესხების ფაქტობრივად გაღებული ხარჯები, რომლებიდანაც გამოქვითულია ამ აღებული სესხების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა კონტროლი მოიპოვა აქტივებე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებული ჯგუფის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილ იყო ჯგუფის მფლობელის მიერ.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც ჯგუფს აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლის აღიარება. გაზისა და ელექტროენერგიის რეალიზაციისგან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მომხმარებლების მიერ გამოყენებული გაზომილი რაოდენობის მიხედვით.
გარანტირებული სიმძლავრის საფასური თბილსრესის თბოელექტროსადგურისთვის აღიარებულია დღეები რაოდენობის მიხედვით, რა დროსაც ელექტროსადგურს შეუძლია მიაწოდოს ელელქტროენერგია მისი დადგმული სიმძლავრის შესაბამისად. დღიური ტარიფი დგინდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ (სემეკი).

შემოსავალი ნაჩვენებია დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე.

შემოსავალი იზომება როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის რეალური ღირებულება. როდესაც გარტერულ შეთანხმებაში საიმედოდ ვერ დგინდება მიღებული აქტივის ღირებულება, შემოსავალი აღიარდება იმ აქტივების ან სერვისის ღირებულებით, რომელიც ჯგუფმა გასცა ან გაუწია.

ჯგუფი გაზის გაყიდვასთან დაკავშირებულ შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

ჯგუფი დროთა განმავლობაში გადასცემს კონტროლს და, შესაბამისად, აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დროთა განმავლობაში, მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც მომსახურება გაწეულია. მომსახურება ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, შედეგების მეთოდით (წარმოებული ელექტროენერგია).

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად არის 30 დღიანი ვადის.

მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამა. ჯგუფი ახორციელებს ლოიალობის პროგრამას, სადაც მომხმარებლები აგროვებენქულებს შესრულებული შესყიდვებიდან, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას ისარგებლონ შემდგომ შესყიდვებზე. დარიცხული თანხა ხელმისაწვდომია ერთ წელზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში, დაწყებული ბოლო დარიცხვის ტრანზაქციის თარიღიდან თითოეული ლოიალობის ბარათისთვის. 12 თვის შემდეგ, ვალდებულებები ჩამოიწერება.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება სესხებს ან ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი. ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ აქვს კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი. 2020 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, ჯგუფს სამართლებრივი ვალდებულება აქვს, გააკეთოს თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებისა და ბენეფიტების 2%-ის ოდენობის საპენსიო შენატანები.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

იჯარა. იმას, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას, ჯგუფი ადგენს კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას. აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც კომპანია გამოდის როგორც მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვიანი ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს.

საიჯარო ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე მუხლად. იჯარის ვალდებულება შემდგომში აისახება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რაც მიზნად ისახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), და უკვე გადახდილი საიჯარო გადასახადის ასახვის მიზნით საბალანსო ღირებულების შესაბამისი შემცირებით.

ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას ხელახლა აფასებს (და შესაბამის აქტივის გამოყენების უფლებას აკორექტირებს), თუ:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ხდომილებას ან გარემოებათა ისეთ ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ოფციონის რეალიზების შეფასების ცვლილება; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების დისკონტირებით (კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით).

- საიჯარო გადახდები შეიცვალა გარანტირებული ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადახდის ცვლილების ან ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების გამო; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების ძველი განაკვეთით დისკონტირებით (თუ იჯარის გადასახადის ცვლილება გამოწვეული არაა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, რა დროსაც გამოიყენება კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი).

- მოხდა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და იჯარის მოდიფიკაცია არ აღრიცხულა როგორც დამოუკიდებელი იჯარა; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება მოდიფიცირებული იჯარის საიჯარო ვადაზე დაყრდნობით და კორექტირებული გადახდების ასევე კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით დისკონტირების გზით, მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღეს.

აღჭურვილობისა და მანქანების მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული გადახდები და დაბალი ღირებულების აქტივების ყველა იჯარა აღიარებულია წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარა არის იჯარა 12 თვის ან ნაკლები ვადით. დაბალი ღირებულების აქტივები მოიცავს 15 ათასი ლარის ან ნაკლები ღირებულების IT აღჭურვილობას და წვრილ საოფისე ავეჯის.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია მენეჯმენტის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემული გარემოებების ქვეშ მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, მენეჯმენტი ასევე აკეთებს განსაზღვრებებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსაზღვრებები ახდენენ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, ხოლო შეფასებებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეცვალონ აქტივებისა და ბალდებულებების საბალანსო ღირებულება.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების საწყისი აღიარება. ბიზნესი ჩვეული საქმიანობისას ახორციელებს ტრანზაქციებს მეკავშირე მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისს აღიარებას საბაზრო ფასით. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი აქტივისთვის, მენეჯმენტი იყენებს განსაზღვრებებს იმის დადგენაში განხორციელდა თუ არა ტრანზაქცია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსაზღვრისას მენეჯმენტი ეყრდნობა არამეკავშირე მხარესთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების ღირებულებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. მეკავშირე მხარეებთან არსებული ნაშთების პირობების და გარემოებები განმარტებულია 27-ე შენიშვნაში.

შვილობილების კონსოლიდაცია. ჯგუფის მენეჯმენტმა გამოიყენა განსაზღვრებები იმ საწარმოებისთვის რომელთა წილის მფლობელობაც წარმოადგენს აქციების 50% (იხ შენიშვნა 1) . ჯგუფს აქვს უფლება დირექტორების დანიშვნისა და განთავისუფლების, ასევე ახორციელებს რელევანტური ფინანსური ოპერაციებისა და საოპერაციო აქტივობების მართვას ვინაიდან როგორც ჯგუფის მენეჯმენტის წარმომადგენელი სარგებლობს დირექტორის უფლებამოსილებით. შესაბამისად, ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ჯგუფი ეფექტურად მართავს დაქვემდებარებულ საწარმოებს და აქვს მნიშვნელოვანი კონტროლი მათზე, რის გამოც ჯგუფმა სრულად მოახდინა ასეთი საწარმოების კონსოლიდირება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

უზრუნველყოფილი ქონების შეფასება. ჯგუფის სასარგებლოდ გადმოცემული სესხებისთვის უზრუნველყოფილი ქონების სამართლიანი ღირებულება (იხ. შენიშვნა 11) განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. საბაზრო მიდგომა გამოყენებული იყო მიწის ნაკვეთების და არასპეციალიზებული აქტივების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, როგორიცაა შენობები და ფართები. სპეციალიზებული აქტივები შეფასდა დანახარჯების მეთოდის გამოყენებით სალიკვიდაციო/სამაშველო ღირებულებით, რადგან სპეციალიზებული აქტივების ეკონომიკურმა მოძველებამ შეადგინა 100%. აქტივის სამართლიან ღირებულებაზე გავლენას ახდენს უზრუნველყოფილი აქტივების საბაზრო ღირებულებებთან დაკავშირებული შეფასებები და დაშვებები, როგორიცაა: ტექნიკური მდგომარეობა, ფუნქციონალური დანიშნულება და მდებარეობა. ამ დაშვებების ცვლილებებს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა აქტივის სამართლიან ღირებულებაზე.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა. ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. მენეჯმენტი აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

საინვესტიციო ქონების შეფასება. საინვესტიციო ქონება ფასდება რეალური ღირებულებით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გაკეთებული რეპორტის საფუძველზე.

ჯგუფის საინვესტიციო ქონების შეფასების რეპორტების მომზადების პროცესში შესადარისი ფასების გათვალისწინებისას გარე შემფასებელმა გამორიცხა აუქციონით გაყიდვის ტრანზაქციები. საინვესტიციო ქონების თითოეული შემთხვევისათვის გამოვლინდა მსგავსი სამი ტრანზაქცია ბაზარზე. რადგან შესადარი აქტივები მაინც განსხვავდებოდა ჯგუფის აქტივებისგან, მოხდა ფასის დაკორექტირება მდებარეობის, მდგომარეობის, ზომის, მისადგომობის, ასაკისა და გამყიდველთან მოლაპარაკებაში შესაძლო ფასდათმობების გათვალისწინებით. კვადრატული მეტრის ამგვარად განსაზღვრული შესადარისი ფასები შემდეგ გამრავლდა შესაფასებელი ქონების ფართობზე და მიღებული იქნა საინვესტიციო ქონების შეფასებული ღირებულება.

შემოსავლის კაპიტალიზაციის მიდგომის, კერძოდ, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის შემთხვევაში, შემფასებელმა ყურადღებით შეაფასა ფულად ნაკადებსა და კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაში გამოყენებული დაშვებები. მენეჯმენტი გაეცნო შემფასებელთა მიდგომას შესადარისი ქონების შერჩევისა და კვოტირებული საბაზრო ფასების, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების კორექტირების პრინციპების საკითხში და დაადასტურა, რომ არჩეული მიდგომა და მიღებული დასკვნები მოცემული ვითარების შესაბამისი იყო.

4. კრიტიკული საბუღალტრო შეფასებები და მსჯელობები საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

გაუფასურების შეფასება. გაუფასურების ანალიზი ტარდება ყოველ ფულის გამომმუშავებელ ერთეულზე, რომელიც წარმოადგენს ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს (სადგურები), რასაც მენეჯმენტი აკვირდება. შეფასების დროს მენეჯმენტი მხედველობაში იღებს სადგურების მიერ შექმნილ სინერგიას ქვეყნის მასშტაბით მიწოდების ჯაჭვის შენარჩუნების თვალსაზრისით. ფულის გამომმუშავებელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენებული ღირებულების გაანგარიშების საფუძველზე. გაანგარიშება მხედველობაში იღებს მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულ ხუთწლიან ფინანსურ ბიუჯეტზე შედგენილ ფულადი ნაკადების გათვლებს. ხუთწლიანი პერიოდის შემდეგ ფულადი ნაკადები ექსტრაპოლირდება ზრდის მოსალოდნელი განაკვეთების გამოყენებით. ზრდის მაჩვენებელი არ აჭარბებს ეკონომიკის იმ სექტორის საშუალო გრძელვადიან განაკვეთებს, რომელშიც მოცემული ერთეული ოპერირებს. მენეჯმენტმა ბიუჯეტირებული ფულადი ნაკადები განსაზღვრა წარსული გამოცდილებისა და გაზრის მოლოდინების მიხედვით. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები გადასახადამდელია და ასახავს ერთეულისათვის დამახასიათებელ სპეციფიურ რისკებს.

იჯარა. იმის დადგენა, იჯარა მოკლევადიანია თუ გრძელვადიანი, ზოგჯერ მენეჯმენტისეულ განსჯას მოითხოვს და ხორციელდება მსგავს ხელშეკრულებებთან და მეიჯარეებთან არსებული გამოცდილების საფუძველზე. კერძოდ, მენეჯმენტმა გაითვალისწინა საიჯარო ხელშეკრულებების ვადის გაგრძელების ოფცია, როდესაც დარწმუნებულია, რომ გამოიყენებს ოფციას ან არ შეწყვეტს იჯარას. თუ იჯარაში საპროცენტო განაკვეთი ჩადებული არ არის, მენეჯმენტი იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ქმნის იმ შეფასებული ზარალის აღსარიცხად, რაც წარმოიშობა კლიენტების მხრიდან სათანადო გადახდების განუხორციელებლობისგან ან მომწოდებლების მხრიდან შეთანხმებული საქონლის ან მომსახურების მოუწოდებლობისგან. კომპანია კონტრაგენტებს ყოფს ოთხ კატეგორიად: სახელმწიფოს მიერ რეგულირებული პირები, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი პირები, მეკავშირე მხარეები და სხვები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონის შეფასებისას მენეჯმენტი მხედველობაში იღებს ზოგად ეკონომიკურ ვითარებას, მოთხოვნებისა და გადახდილი ავანსების ვადას, ჩამოწერების ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტებისა და მომწოდებლების კრედიტუნარიანობას, გადახდის პირობების ცვლილებასა და საჭიროების შემთხვევაში, კომპანიათა საკრედიტო რეიტინგებს. ეკონომიკის, დარგის თუ კონკრეტული კლიენტისა და მომწოდებლის გარემოებების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირების აუცილებლობა.

უწყვეტი საწარმო. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი უწყვეტი საწარმოს სტატუსს შეინარჩუნებს განჭვრეტად მომავალში, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფი შეძლებს აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალურად ფუნქციონირების პროცესში. ამგვარად განსჯისას მენეჯმენტმა მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციათა მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა ჯგუფის ოპერაციებზე ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფმა განიცადა წმინდა ზარალი 4,815 ათასი ლარი და 547 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მართებულია. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ შედის რაიმე კორექტირება, რომელიც დაკავშირებულია აღრიცხული აქტივების თანხების ანაზღაურებადობასა და კლასიფიკაციასთან და ვალდებულებების კლასიფიკაციასთან, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს, თუ ჯგუფი ვერ შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას.

5. ახალი და გადასინჯული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება

შემდეგი შესწორებული სტანდარტები ძალაშია 2021 წლის 1-ელი იანვრიდან, თუმცა მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე:

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი საბაზისო ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლას. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება (გაგრძელება)

- *IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად, სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, მოიჯარეებსაც იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ. ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი: მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.

- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

- IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა.

IBOR-ის რეფორმის გავლენა. სხვადასხვა ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთების („IBOR") რეფორმა და ჩანაცვლება მარეგულირებელთა პრიორიტეტად იქცა. IBOR ტარიფების უმეტესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო გარკვეული აშშ დოლარის LIBOR ტარიფების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისისთვის. ზემოაღნიშნულ ცვლილებას არანაირი გავლენა არ მოუხდენიაზე.

ჯგუფს არ აქვს სესხები IBOR განაკვეთებით, შესაბამისად არ ელის ცვლილებების რაიმე გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები– შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა შესწორება ფასს 16-სთვის, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო პრაქტიკული მიზანშეწონილობით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აისახა იმ იჯარის გადასახდელების შემცირებაში, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე, წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. კომპანია ამჟამად ახორციელებს მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ შესწორებების გავლენის შეფასებას.

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ წლიურ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ამ ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებად – ცვლილებები ბასს 1-ში 1 (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით. 'დაფარვა' განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამონაკლისი არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით.

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა".

აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.

ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების" მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემძენმა პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში.

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების გასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად , ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

- დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.

- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების" ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

- ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან.

- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება" ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8- ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები– შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა შესწორება ფასს 16-სთვის, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო პრაქტიკული მიზანშეწონილობით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აისახა იმ იჯარის გადასახდელების შემცირებაში, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე, წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. კომპანია ამჟამად ახორციელებს მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ შესწორებების გავლენის შეფასებას.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო მოვალეობები და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ას შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზე ც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან

6. ახალი სააღრიცხვო განცხადებები (გაგრძელება)

აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალცალკე; სწარამოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს შესწორებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფი არ ელის ცვლილებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოსალოდნელია რომ არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ძირითადი საშუალებები

ათასობით ლარში	მიწა, შენობები და ნაგებობები	ჰიდროტექნიკური ნაგებობები	გაზის მილსადენები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება 2020 წლის 1 იანვარი	**185,421**	**30,238**	**3,474**	**93,941**	**4,034**	**3,021**	**320,129**
დამატება	320	-	-	683	16	134	1,153
ჩამოწერა	(1,013)	-	-	(66)	(10)	(56)	(1,145)
გადატანა სხვა მიმდინარე აქტივებში	-	-	-	(24,719)	-	-	(24,719)
ჯგუფის შიდა რეკლასიფიკაცია	(24)	-	24	-	-	-	-
ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	**184,704**	**30,238**	**3,498**	**69,839**	**4,040**	**3,099**	**295,418**
დამატება	414	195	22	292	-	68	991
ჩამოწერა	(11)	-	(10)	(61)	(13)	(39)	(134)
2021 წლის 31 დეკემბერს	**185,107**	**30,433**	**3,510**	**70,070**	**4,027**	**3,128**	**296,275**
აკუმულირებული ცვეთა 2020 წლის 1 იანვარს	**129,806**	**8,216**	**3,051**	**31,789**	**2,112**	**2,043**	**177,017**
ცვეთა	1,302	637	52	4,549	309	317	7,166
აკუმულირებული ცვეთა ჩამოწერილ აქტივებზე	(48)	-	-	(49)	(10)	(52)	(159)
2020 წლის 31 დეკემბერს	**131,060**	**8,853**	**3,103**	**36,289**	**2,411**	**2,308**	**184,024**
ცვეთა	1,281	635	42	4,496	295	279	7,028
აკუმულირებული ცვეთა ჩამოწერილ აქტივებზე	(7)	-	(4)	(47)	(9)	(33)	(100)
2021 წლის 31 დეკემბერს	**132,334**	**9,488**	**3,141**	**40,738**	**2,697**	**2,554**	**190,952**
საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბერს	**53,644**	**21,385**	**395**	**33,550**	**1,629**	**791**	**111,394**
2021 წლის 31 დეკემბერს	**52,773**	**20,945**	**369**	**29,332**	**1,330**	**574**	**105,323**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 105,949 ათასი ლარის (2020: 122,473 ათასი ლარი) საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები გამოყენებული იქნა ფინანსური ინსტიტუტებიდან გაცემული სესხების უზრუნველყოფის სახით. (შენიშვნა #16)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2,023 ათასი ლარის (2020: 2,044 ათასი ლარი) საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები გამოყენებული იქნა ფინანსური ინსტიტუტებიდან ჯგუფთან არა-დაკავშირებულ მესამე მხარეზე გაცემული სესხების უზრუნველყოფის სახით. (შენიშვნა #26)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 5,434 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მიწებს (2020 წლის 31 დეკემბერი: 5,434 ათასი ლარი) აქვს სერვიტუტის შეზღუდვა სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) მხრიდან.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად ცვეთადარიცხულმა აქტივებმა შეადგინა 10,851 ათასი და 4,233ათასი ლარი, შესაბამისად.

8. საინვესტიციო ქონება

ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულების მოძრაობა შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	2021	2020
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 1 იანვარს	6,193	6,481
საინვესტიციო ქონების გადაფასებისგან მიღებული მოგება/(ზარალი)	33	(288)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 31 დეკემბერს	6,226	6,193

2020 წლების 31 დეკემბრისთვის, საინვესტიციო ქონება, რომლის ღირებულება 6,193 ათას ლარს შეადგენდა დაგირავებული იყო სესხების უზრუნველყოფის მიზნით მესამე პირებზე. (იხილეთ შენიშვნა 16).

ჯგუფის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადგინდა შპს „მოორ ეიბისის" მიერ, რომელიც არ არის ჯგუფთან დაკავშირებული. ხსენებულ დამოუკიდებელ შემფასებელს აქვს მსგავს მდებარეობებზე არსებული ქონების შეფასების შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

შეფასებული ქონება წარმოადგენს ზოგადი დანიშნულების, არასპეციალიზებულ შენობებს - კომერციულ ფართებსა და მიწის ნაკვეთებს. რეალური ღირებულების დადგენის მიზნით, შემფასებელმა გამოიყენა შემოსავლის კაპიტალიზაციის მეთოდი, კერძოდ, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზი, რომელიც ღია ბაზარზე არასაკმარისი შესადარი მონაცემების არსებობის პირობებში, უძრავი ქონების შეფასების აღიარებული მეთოდია.

ათასობით ლარში	რეალური ღირებულების იერარქია	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიწა და შენობები თბილისში, კოსტავას ქუჩაზე	დონე 3	6,226	6,193
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება		6,226	6,193

9. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები და ფინანსური იჯარის ვალდებულებები

ათასობით ლარში	მიწა, შენობა-ნაგებობები და მანქანა-დანადგარები გაზ-გასამართი სადგურებისათვის	სულ
ღირებულება		
1 იანვარი 2020	**2,216**	**2,216**
დამატება	108	108
ჩამოწერა	(108)	(108)
31 დეკემბერი 2020	**2,216**	**2,216**
დამატება	6	6
რეალიზაცია	(457)	(457)
31 დეკემბერი 2021	**1,765**	**1,765**
დაგროვილი ცვეთა		
1 იანვარი 2020	**552**	**552**
წლის დარიცხვა	442	442
31 დეკემბერი 2020	**994**	**994**
წლის დარიცხვა	289	289
31 დეკემბერი 2021	**1,283**	**1,283**
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2020	**1,222**	**1,222**
31 დეკემბერი 2021	**482**	**482**

ქვემოთ მოცემულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

ათასობით ლარში	2021	2020
თავდაპირველი აღიარება - 1 იანვარი	**1,599**	**1,912**
საიჯარო ვალდებულებების აღიარება	-	108
საიჯარო ვალდებულებების აღიარების გაუქმება	(649)	(135)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	84	149
ვალუტის გაცვლის ეფექტი	(6)	156
იჯარის მოდიფიკაცია	6	-
საპროცენტო ხარჯის დაფარვა	(84)	(149)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(321)	(442)
საიჯარო ვალდებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**629**	**1,599**

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივების საშუალო შეწონილი საიჯარო ვადაა 3.7 წელი (2020: 3.7 წელი), ხოლო საიჯარო ვალდებულებებზე მოქმედი მოიჯარის საშუალო შეწონილი სესხის განაკვეთი - 9.9% 2021 წლისთვის (8.6% 2020 წლისთვის).

მოგება-ზარალში აღიარებული თანხები არის შემდეგი:

ათასობით ლარში	2021	2020
ცვეთის ხარჯი გამოყენების უფლების მატარებელ აქტივებზე	289	442
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	84	149
ვალუტის გაცვლის ეფექტი	(6)	156
სულ	**367**	**747**

9. აქტივის გამოყენების უფლების და ფინანსური იჯარის ვალდებულებები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი შემდეგია:

ათასობით ლარში	31 დეკემბერი 2021 ფინანსური იჯარებით გადასახდელი თანხები	მომავალი ფინანსური დარიცხვები
პირველი წელი	216	48
მეორე წელი	176	33
მესამე წელი	83	20
მეოთხე წელი	53	14
მეხუთე წელი	57	8
მეხუთე წლიდან	44	2
სულ საიჯარო ვალდებულება	**629**	**125**

ათასობით ლარში	31 დეკემბერი 2020 ფინანსური იჯარებით გადასახდელი თანხები	მომავალი ფინანსური დარიცხვები
პირველი წელი	495	115
მეორე წელი	442	75
მესამე წელი	422	42
მეოთხე წელი	85	20
მეხუთე წელი	53	14
მეხუთე წლიდან	102	10
სულ საიჯარო ვალდებულება	**1,599**	**276**

10. სხვა გრძელვადიანი აქტივები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია სხვა გრძელვადიანი აქტივები, 25,086 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, რომელიც დაკავშირებულია შვილობილი შპს „სი პაუერის", გარდაბნის მუნიციპალიტეტში მდებარე, 150 – 300 მგვტ სიმძლავრის ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან, რომლის მშენებლობაც ამჟამად შეწყვეტილია. ეს აქტივები აღირიცხება სალიკვიდაციო და ჯართის ღირებულებით საბაზრო მიდგომის გამოყენებით. პროექტის შეწყვეტამ გამოიწვია 120,072 ათასი ლარის ოდენობის დაუმთავრებელი მშენებლობის აქტივების გაუფასურება და 2019 წელს დაუმთავრებელი მშენებლობებიდან აქტივების სხვა გრძელვადიან აქტივებში რეკლასიფიკაცია.

11. გაცემული სესხები

ათასობით ლარში	საპროცენტო განაკვეთი	**2021** წლის **31** დეკემბერი	**2020** წლის **31** დეკემბერი
გრძელვადიანი			
არადაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები (ფიზიკური პირები)	20.0%	4	4
სულ გრძელვადიანი გაცემული სესხები, ბრუტო		4	4
გრძელვადიანი სესხების გაუფასურების რეზერვი		(2)	(3)
სულ გრძელვადიანი გაცემული სესხები, წმინდა		2	1

11. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ათასობით ლარში	საპროცენტო განაკვეთი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე			
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	7.70% 15.00%	48,746	47,455
არადაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	5.50% - 22.40%	10,105	767
სულ მიმდინარე გაცემული სესხები, ბრუტო		**58,851**	**48,222**
გრძელვადიანი სესხების გაუფასურების რეზერვი		(1,257)	(649)
სულ მიმდინარე გაცემული სესხები, წმინდა		**57,59**	**47,573**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის, დარიცხული პროცენტი გაცემულ სესხებზე იყო 3,682ათასი ლარი და 4,232ათასი ლარი, შესაბამისად.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები ხელშეკრულების პირობების საფუძველზე, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია როგორც მიმდინარე. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები განმარტებულია 27-ე შენიშვნაში.

2021 წლის 30 ივნისს, შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ჰოლდინგის" შვილობილმა კომპანიებმა, შპს „მტკვარი ენერჯიმ" და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციამ", სს „თიბისი ბანკთან" ხელი მოაწერეს სესხის მოთხოვნის გადაცემის შეკრულებას ბანკის მიერ შპს „საქნახშირზე" (ჯი-აი-ჯი ჰოლდინგის ყოფილი შვილობილი, ჯგუფის მიერ 2019 წელს გასხვისდა) გაცემული სესხის ყველა უფლების გადასცემასთან დაკავშირებით, ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ.

გადაცემის მომენტრში არსებული ვალდებულებების შპს შპს „მტკვარი ენერჯისთვის" გადაცემული უფლების ნომინალური თანხა შეადგენდა 5,302 ათას აშშ დოლარს (16,756 ლარის ექვივალენტი) რაც შეიცავს ძირის თანხას, პროცენტსა და ჯარიმას შესაბამისად 5,000 ათასი აშშ დოლარის (15,801 ლარის ექვივალენტი), 30 ათასი აშშ დოლარის (95 ათასი ლარის ექვივალენტი) და 272 ათასი აშშ დოლარის (859 ათასი ლარის ექვივალენტი) ოდენობით. ამ უფლების მინიჭებისთვის გადახდილი ანაზღაურება იყო 5,030 ათასი აშშ დოლარი. გადაცემული მოთხოვნები უზრუნველყოფილი იყო შპს „საქნახშირის" აქტივებით.

გადაცემის თარიღისთვის გადაცემული სესხის ნომინალური თანხა იყო 11,291 ათასი აშშ დოლარი (35,685 ათასი ლარის ეკვივალენტი), ძირის, პროცენტისა და ჯარიმის ჩათვლით 6,153 ათასი აშშ დოლარი (19,446 ათასი ლარის ეკვივალენტი), 81 ათასი აშშ დოლარი (255 ათასი ლარის ექვივალენტი) და 5,058 ათასი აშშ დოლარი (15,984 ათასი ლარის ექვივალენტი), შესაბამისად. კომპანიის მიერ გადახდილი ფულადი ანაზღაურება იყო 6,233 ათასი აშშ დოლარი (19,701 ათასი ლარის ეკვივალენტი).

გადმოცემული სესხი უზრუნველყოფილი იყო შპს „საქნახშირის" ქონებით. ფასს-ის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის კომპანიამ გადმოცემული სესხის ნომინალური ღირებულების შეფასება მოახდინა „საქნახშირის" შესაბამისი უზრუნველყოფილი ქონების რეალური ღირებულების გათვალისწინებით, რომელიც დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განისაზღვრა 9,341 ათასი ლარით. სხვაობა უზრუნველყოფილი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და 10,105 ათასი ლარის ოდენობით გადახდილ ფულად ანაზღაურებას შორის აღიარებული იქნა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (შენიშვნა 22).

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული მოთხოვნების შედარება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გაცემული სესხების ანალიზი. ამ სესხების პუნქტები არის ის, რაც წარმოდგენილია, როგორც ინვესტიცია ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგებაში.

11. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ათასობით ლარში	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	47,574	37,414
დამატება	9,510	7,102
დარიცხული პროცენტი	3,628	4,232
მიღებული ძირი თანხა	-	(5,286)
მიღებული პროცენტი	-	(225)
გაცემული სესხების გაუფასურება	(606)	(102)
უცხოური ვალუტის სხვაობა	(2,565)	4,439
31 დეკემბრის მდგომარეობით	57,595	47,574

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებზე. სესხებზე დართული ყველა საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია.

საანგარიშო პერიოდში გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგნაირი იყო:

ათასობით ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გაუფასურების რეზერვი 1-ელ იანვარს	652	550
გაცემულ სესხებზე გაუფასურების რეზერვის აღდგენა	(2)	(11)
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი	608	113
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერს	1,258	652

გაცემული სესხები ვალუტების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

ათასობით ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გაცემული სესხები დენომინირებული:		
- ლარში	14,602	4,617
- აშშ დოლარში	42,866	42,205
- ევროში	127	752
გაცემული სესხები, წმინდა	57,595	47,574

გაცემული სესხების ვადიანობა შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ერთ წელზე ნაკლები	62,418	51,950
ერთიდან ორ წლამდე	2	2
ორიდან ხუთ წლამდე	-	-
ხუთ წელზე მეტი	-	-
სულ გაცემული სესხები, ბრუტო	62,420	51,952

12. მარაგები

ათასობით ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალები	7,266	7,290
ჯართი და სხვა მასალები	443	443
გაუფასურების რეზერვი	(176)	(176)
სულ მარაგები	**7,533**	**7,557**

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასობით ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე		
სავაჭრო მოთხოვნები	11,761	22,463
სხვა მოთხოვნები	628	628
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(3,693)	(3,770)
გრძელვადიანი		
სავაჭრო მოთხოვნები	15,026	15,537
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	**23,722**	**34,858**
გადახდილი ავანსები	1,081	1,220
თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	90	95
სხვა მოთხოვნები	19	18
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(401)	(401)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**24,511**	**35,790**

2021 წლის 31 დეკემბერს, ჯამური სავაჭრო მოთხოვნები დენომინირებული აშშ დოლარში იყო 17,328 ლარი (2020 წლის 31 დეკემბერს: 23,126 ათასი ლარი), 1.068 ათასი ლარის სავაჭრო მოთხოვნები დენომინირებული იყო ევროში (2020 წლის 31 დეკემბერს: 1,408). ყველა დანარჩენი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები იყო დენომინირებული ლარში. არცერთ სავაჭრო მოთხოვნაზე კონტრაგენტებს არ ჰქონდათ გადასახდელი არც პროცენტი და არც ჯარიმა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნები მოიცავდა სს „საქნახშირის" 2019 წლიდან წარმოშობილ 1,191 ათასი აშშ დოლარის (3,900 ათასი ლარი) დებიტორულ დავალიანებას სს „თიბისი ბანკთან" გაფორმებული სესხის გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკის მიერ სს „საქნახშირზე" გაცემული ყველა სესხის უფლების გადაცემის შესახებ, ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ. 2021 წელს დამატებითი სესხის გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა 469 ათასი აშშ დოლარის (1,567 ათასი ლარი) დამატებითი ნაშთი. გაცემული სესხის ჯამურმა ნომინალურმა თანხამ შეადგინა 1,660 ათასი აშშ დოლარი. გადახდილი ფულადი ანაზღაურება იყო 1,562 ათასი აშშ დოლარი (4,936 ათასი ლარის ეკვივალენტი). 2021 წელს სს „საქნახშირიდან" 4,978 ათასი ლარის მთლიანი დებიტორული დავალიანება, 165 ათასი ლარის გაუფასურების გამოკლებით, ჩამოიწერა (შენიშვნა 22) სს „თიბისი ბანკის" ახალი სესხებისთვის ქონების თავიდან დაგირავების გამო, როგორც აღწერილია მე-11 შენიშვნაში.

ზოგ შემთხვევაში მენეჯმენტმა შეიძლება ნება მისცეს გარკვეულ დაკავშირებულ-მხარე დებიტორებს, რომ დააგვიანონ გადახდები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დათვლილია მომხმარებელთა გადახდების, თანხის შემდგომი მიღებისა და მომავალი ფულის სახსრების მოძრაობის ანალიზის გზით თითოეული მნიშვნელოვანი კლიენტის ჭრილში.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2019 წლის 1 თებერვალს ჯგუფსა და შპს „ალიანს სიტის" შორის გაფორმდა ყიდვის ხელშეკრულება 29,500 ათას აშშ დოლარად, 66,380 ათასი ლარის ეკვივალენტად (დღგ-ის ჩათვლით), ბათუმში მდებარე უძრავი ქონების გაყიდვის თაობაზე. გადახდის პირობები ითვალისწინებს ტრანშებით გადახდას, საიდანაც 5000 ათასი აშშ დოლარი გადასახდელია აქტივის გაყიდვის დღიდან 5 წლის განმავლობაში. ჯგუფმა აღიარა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანება ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ ნაშთის საბალანსო ღირებულება შეადგენდა 15,026 ათას ლარს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალის რეზერვის მოძრაობა შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	2021	2020
გაუფასურების რეზერვი 1-ელ იანვარს	**3,770**	**1,665**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	800	2,137
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ამოღება	(877)	(32)
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერს	3,693	**3,770**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადიანობის მიხედვით შემდეგია:

31 დეკემბერი 2021 *ათასობით ლარში*	ვადაგადაუცილებელი	- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	- 30-90 დღე ვადაგადაცილება	- 90-180 დღე ვადაგადაცილება	- 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	18,034	31	2,151	250	6,949	**27,415**
მსზ არსებობის მანძილზე	(42)	(3)	(10)	(38)	(3,600)	**(3,693)**

31 დეკემბერი 2020 *ათასობით ლარში*	ვადაგადაუცილებელი	- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	- 30-90 დღე ვადაგადაცილება	- 90-180 დღე ვადაგადაცილება	- 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	24,387	615	2,834	978	9,814	**38,628**
მსზ არსებობის მანძილზე	(50)	(27)	(42)	(41)	(3,610)	**(3,770)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო რისკის რეიტინგის განმარტებები:4

	31 დეკემბერი 2021		
ათასობით ლარში	მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტის გაუარესების გარეშე	მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული	სულ
ვადაგადაცილების გარეშე	(42)	-	**(42)**
0-30 დღით ვადაგადაცილება	(3)	-	**(3)**
30-90 დღით ვადაგადაცილება	(10)	-	**(10)**
90-180 დღით ვადაგადაცილება	-	(38)	**(38)**
180> დღით ვადაგადაცილება	-	(3,600)	(3,600)
სულ	**(55)**	(3,638)	(3,693)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

(ათასი ლარი)	31 დეკემბერი 2020 მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტის გაუარესების გარეშე	მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული	სულ
ვადაგადაცილების გარეშე	(50)	-	**(50)**
0-30 დღით ვადაგადაცილება	(27)	-	**(27)**
30-90 დღით ვადაგადაცილება	(42)	-	**(42)**
90-180 დღით ვადაგადაცილება	-	(41)	**(41)**
180> დღით ვადაგადაცილება	-	(3,610)	**(3,610)**
სულ	**(119)**	**(3,651)**	**(3,770)**

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ათასობით ლარში	**2021** წლის **31** დეკემბერი	**2020** წლის **31** დეკემბერი
ფული ბანკში	23,120	2,121
ფული გზაში	76	39
ფული ხელზე	35	38
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**23,231**	**2,198**

ბანკებს, რომლებშიც ჯგუფს ფული ჰქონდა შენახული ჰქონდათ შემდეგნაირი საკრედიტო რეიტინგები "Fitch"-ის შეფასებით. იმ შვილობილი საქართველოში არსებული ბანკების საკრედიტო რეიტინგები, რომლებიც შეფასებული არ იყო, მშობელი ბანკების რეიტინგია აღებული ქვემოთ მოცემული ცხრილისთვის:

ათასობით ლარში	**2021** წლის **31** დეკემბერი	**2020** წლის **31** დეკემბერი
BB-	23,119	2,118
BB+	1	1
B+	-	2
სულ ნაღდი ფული ბანკებში	**23,120**	**2,121**

ყველა ფული და ფულის ეკვივალენტები კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე და არაგაუფასურებული. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის 15,813 ათასი ლარის ეკვივალენტი ჰქონდა ჯგუფს აშშ დოლარში (2020 წლის 31 დეკემბერს: 164 ათასი ლარის), ხოლო 158 ათასი ლარის ეკვივალენტი ევროში (2020 წელს: 1 ათასი ლარის).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეზღუდული ფული 10,554 ათასი ლარის ოდენობით (31 დეკემბერი 2020: 11,163 ათასი ლარი) დარეზერვებული იყო შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციასა" და სს „თიბისი ბანკს" შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების შესაბამისად, დაკავშირებული მხარეების აკრედიტივის უზრუნველსაყოფად. შესაბამისი ხელშეკრულებების თანახმად, ნაღდი ფულის ნაშთები შეზღუდვაში რჩება 2022 წლის 5 იანვრამდე.

15. საწესდებო კაპიტალი

ათასობით ლარში	**2021** წლის **31** დეკემბერი	**2020** წლის **31** დეკემბერი
1-ელ იანვარს	7,720	7,720
სულ საწესდებო კაპიტალი	**7,720**	**7,720**

15. სანესდებო კაპიტალი (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოაცხადა დივიდენდები 13,647 ათასი ლარის ოდენობით. 3,741 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები გადახდილ იქნა ნაღდ ფულად. 10,163 ათასი ლარის ოდენობის გადასახდელი დივიდენდები გამოიქვითა დაკავშირებული მხარისათვის მიცემული სესხიდან.

16. აღებული სესხები

ათასობით ლარში	საკონტრაქტო წლიური საპროცენტო განაკვეთი	**2021** წლის **31** დეკემბერი	**2020** წლის **31** დეკემბერი
გრძელვადიანი			
სესხები არადაკავშირებული პირებისგან			
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები	6.20% + 6 m LIBOR - 7.26%	104,644	27,091
სულ გრძელვადიანი აღებული სესხები		**104,644**	**27,091**
მიმდინარე			
სესხები არამეკავშირე პირებისგან			
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები	6.20% + 6 m LIBOR - 7.26%	18,452	67,173
ფიზიკური პირები	13.00%	-	547
სესხები მეკავშირე პირებისგან			
ფიზიკური პირები	15.00%-15.50%	9,138	10,070
ადგილობრივი იურიდიული პირები	7.10% – 16.00%	10,540	11,070
სულ მიმდინარე აღებული სესხები		**38,130**	**88,860**
სულ აღებული სესხები		**142,774**	**115,951**

მთლიანი სესხების შეფასებული სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ჯგუფის სესხები შემდეგნაირადაა ვალუტების მიხედვით გადანაწილებული:

ათასობით ლარში	საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი (წლიური)	**2021** წლის **31** დეკემბერი	**2020** წლის **31** დეკემბერი
აშშ დოლარი	6.50%-15%	125,276	92,481
ევრო	15%-15.5%	5,439	6,245
ლარი	11.00%-16.00%	12,059	17,225
სულ აღებული სესხები		**142,774**	**115,951**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი იყო 2,176 ათასი და 1,270 ათასი ლარი, შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილია ვალდებულებები, რომელთა ფულადი ნაკადები, ჯგუფის ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში უკვე იქნა ან მომავალში იქნება კლასიფიცირებული როგორც ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან.

16. აღებული სესხები (გაგრძელება)

	1 იანვარი, 2020	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან (i)	დარიცხული პროცენტი	პროცენტის დაფარვა	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	აღიარების შეწყვეტა	31 დეკემბერი 2021
აღებული სესხები	115,951	32,132	9,783	(8,824)	(6,268)	-	142,774

	1 იანვარი, 2020	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან (i)	დარიცხული პროცენტი	პროცენტის დაფარვა	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული ზარალი	აღიარების შეწყვეტა	31 დეკემბერი 2020
აღებული სესხები	109,678	(8,096)	9,717	(9,022)	13,924	(250)	115,951

i) დაკავშირებული მხარეებისგან აღებული სესხების ფულადი ნაკადები წარმოადგენს აღებული სესხებით მიღებულ წმინდა შემოსავალს და აღებული სესხების დაფარვას ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასობით ლარში	**2021** წლის **31** დეკემბერი	**2020** წლის **31** დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	9,144	16,087
გადასახდელი ხელფასები	8	19
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	**9,152**	**16,106**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	392	504
გადავადებული შემოსავალი	569	480
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**10,113**	**17,090**

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დენომინირებული აშშ დოლარში იყო 720 ათასი ლარის (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: 978 ათასი ლარის), ხოლო დენომინირებული ევროში იყო 4 ათასი ლარის ეკვივალენტი (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: 25 ათასი ლარის). ყველა სხვა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დენომინირებული იყო ლარში.

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს ლოიალობის ბარათებზე დარიცხულ ჯგუფის ვალდებულებას. 2015 წლის ოქტომბერში ჯგუფმა დაიწყო მარკეტინგული კამპანია და გამოუშვა ლოიალობის ბარათები, რათა გაზის საცალო გაყიდვების სტიმულირება მოეხდინა. საცალო კლიენტები ფულს აგროვებენ ბუნებრივი აირის შესყიდვის გზით და ეს თანხა მათ შემდეგ შეუძლიათ გამოიყენონ დამატებითი ბუნებრივი აირის შესყიდვისთვის. დარიცხული თანხა მოქმედებს ბოლო დარიცხული ტრანზაქციიდან ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში.

18. შემოსავლები

ათასობით ლარში	2021	2020
გაზის გაყიდვა		
გაზის გაყიდვა - საცალო	33,718	26,503
გაზის გაყიდვა - საბითუმო - ადგილობრივი კლიენტები	6,205	10,824
სულ	**39,923**	**37,327**
ელექტროენერგიის გაყიდვა		
ელექტროენერგიის გაყიდვა - ადგილობრივი კლიენტები	32,390	54,445
თბილსრესის თბოელექტროსადგურის გარანტირებული სიმძლავრის საფასური	13,569	15,834
ელექტროენერგიის გაყიდვა - თავისუფალი ინდუსტრიული ზონა	4,586	1,650
ელექტროენერგიის გაყიდვა - ელექტროენერგიით ვაჭრობა ქვეყნის შიგნით	2,593	4,139
ელექტროენერგიის გაყიდვა - თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ვაჭრობა)	267	1,825
ელექტროენერგიის გაყიდვა - ელექტროენერგიით ვაჭრობა ქვეყნის გარეთ	-	5,842
ელექტროენერგიის გაყიდვა - ელექტროენერგიის ექსპორტი (გენერაცია)	-	5,767
ელექტროენერგიის გაყიდვა - ელექტროენერგიის ექსპორტი (ვაჭრობა)	-	2,147
სულ	**53,405**	**91,649**
საწვავის გაყიდვა		
საწვავის გაყიდვა - საბითუმო - ქვეყნის გარეთ შესყიდული (ვაჭრობა)	-	11,754
სულ	**-**	**11,754**
სხვა შემოსავალი		
შემოსავალი გაყიდვებიდან - ბაზრები	666	65
წარმოებული ნაწილების გაყიდვა	3	422
სულ	**669**	**487**
სულ შემოსავალი	**93,997**	**141,217**

ჯგუფი იღებს თბილსრესის თბოელექტროსადგურის შენარჩუნებისათვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურს სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე.

ელექტროენერგიის საექსპორტო გაყიდვები მოიცავს სომხეთის თბოელექტროსადგურის ოპერატორთან ბარტერული ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ გაყიდვებს. ჯგუფი იღებს ბუნებრივ აირს ბარტერული შეთანხმების საშუალებით ელექტროენერგიის სანაცვლოდ. 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ჯგუფმა აღიარა ბარტერული ტრანზაქციით მიღებული შემოსავალი 5,842 ათასი ლარის ოდენობით. ჯგუფი ბუნებრივ გაზს ბარტერული ხელშეკრულებით ელექტროენერგიის სანაცვლოდ იღებს.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ კლიენტებზე მოიცავს თბილსრესი თეს-ის მიერ გამომუშავებულ შემოსავალს 11,280 ათასი და 38,932 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

19. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

ათასობით ლარში	2021	2020
ელექტროენერგიის თვითღირებულება		
თბოსადგურისთვის ნაყიდი გაზის ღირებულება (თბილსრესი)	11,447	38,677
ქვეყნის შიგნით სავაჭროდ შესყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	2,289	3,377
ქვეყნის შიგნით სავაჭროდ (თავისუფალი ინდუსტრიული ზონა) შესყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	244	1,537
ქვეყნის გარეთ სავაჭროდ შესყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	-	5,842
ექსპორტზე გასაყიდად შესყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	-	2,842
სულ ელექტროენერგიის თვითღირებულება	**13,980**	**52,275**
გაზის თვითღირებულება		
გასაყიდად შესყიდული გაზის თვითღირებულება	28,643	27,183
სულ გაზის თვითღირებულება	**28,643**	**27,183**
საწვავის თვითღირებულება		
გასაყიდად იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება	-	10,733
სულ საწვავის თვითღირებულება	**-**	**10,733**
პროდუქტების თვითღირებულება		
შემდგომ გასაყიდად შესყიდული ნაწარმის თვითღირებულება - მარკეტები	557	55
სულ პროდუქტების თვითღირებულება	**557**	**55**
ზედნადები ხარჯები		
თანამშრომელთა ხელფასები	5,559	5,925
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	3,338	3,369
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი	1,474	1,746
კომუნალური ხარჯები	892	835
დაზღვევის ხარჯი	588	643
წყლით მომარაგების ხარჯები	451	454
ტრანსპორტირებისა და ავტომანქანების ხარჯები	409	356
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებლების ხარჯები	375	418
მასალები და სახარჯი მასალები	302	566
დაცვის ხარჯები	296	296
ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარის ხარჯი	119	81
ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	34	54
სხვა ხარჯები	1,700	1,467
სულ ზედნადები ხარჯები	**15,537**	**16,210**
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	**58,717**	**106,456**

20. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

ათასობით ლარში	2021	2020
კომუნალური ხარჯები	3,068	1,523
თანამშრომელთა ხელფასები	3,030	2,900
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	1,860	2,097
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი	805	444
ტრანსპორტირებისა და ავტომანქანების ხარჯები	293	402
მასალები და სახარჯი მასალები	281	214
დაზღვევის ხარჯი	273	287
ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	226	244
რეკლამის ხარჯები	183	118
ძირითადი სამუალებების საოპერაციო იჯარა	72	340
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებლების ხარჯები	65	90
ელექტროენერგიის გატარების ხარჯი	-	2,558
სხვა ხარჯები	434	461
სულ გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	**10,590**	**11,678**

21. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასობით ლარში	2021	2020
თანამშრომელთა ხელფასები	2,594	2,596
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	2,246	2,271
ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	2,117	3,626
წარმომადგენლობითი ხარჯები	727	839
მივლინებები	520	536
ტრანსპორტირებისა და ავტომანქანების ხარჯები	297	242
დაზღვევის ხარჯი	150	150
კომუნალური ხარჯები	150	128
ტელეკომუნიკაციის ხარჯები	112	97
ძირითადი სამუალებების საოპერაციო იჯარა	18	19
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი	7	24
სხვა ხარჯები	125	193
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**9,063**	**10,721**

(*) პროფესიული მომსახურების საფასური მოიცავს 279 ათას ლარს - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის გაწეულ საფასურს, როგორც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით (2020: 343 ათასი ლარი).

22. სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა

ათასობით ლარში	2021	2020
ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა, წმინდა *	1,568	355
შემოსავალი ქირიდან	664	799
შემოსავალი ჯარიმებიდან	113	3
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	45	62
სესხის მოთხოვნის გადმოცემის ზარალი (შენიშვნა 11)	(10,105)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი/ჩამოწერა	(5,621)	(1,872)
გადასახადები და მოსაკრებლები	(2,274)	(1,720)
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი	(606)	(102)
დარიცხული ჯარიმები **	(49)	(10)
ქველმოქმედებისა და სპონსორობის ხარჯი	(48)	(47)
მოგება ძირითადი სამუალებების გაყიდვიდან/ჩამოწერიდან	(12)	(980)
მოგება სათადარიგო ნაწილების, მასალებისა და ჯართის გაყიდვიდან/ჩამოწერიდან	(2)	47
სხვა, წმინდა	309	172
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა	(16,018)	(3,293)

(*) 2019 წლის 15 ნოემბერს შპს „ნეოგაზსა" და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმდა შეთანხმება საგადასახადო ვალდებულებების ნაწილის, 1,440 ათასი ლარის ოდენობის ანაზღაურების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ შპს „ნეოგაზი" დაფარავდა 1,705 ათას ლარის საგადასახადო ვალდებულებას წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით იყო 2021 წლის აპრილამდე. 2021 წელს შპს „ნეოგაზმა" შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და 1,440 ათასი ლარის საგადასახადო ვალდებულებისაგან გათავისუფლდა.

23. ფინანსური ხარჯები

ათასობით ლარში	2021	2020
საპროცენტო ხარჯები	9,978	10,058
ბანკის საკომისიოები	579	176
სავალუტო დანაკარგები, წმინდა	-	3,450
სულ ფინანსური ხარჯები	10,557	13,684

24. ფინანსური რისკის მართვა

საკრედიტო რისკი. ჯგუფზე მოქმედებს საკრედიტო რისკი, რაც რისკია იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ გადაუხდის ჯგუფს საკუთარ ვალდებულებებს, როდესაც გადახდის დრო მოვა. ფინანსური აქტივები, რომლებიც საკრედიტო რისკის მთავარი გამომწვევი არიან ძირითადად შედგება გაცემული სესხებისგან, სავაჭრო მოთხოვნებისგან და ფულისა და ფულის ეკვივალენტებისგან. ჯგუფს აქვს პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხოლოდ კარგი საკრედიტო ისტორიის მქონე კონტრაგენტებს მიაწოდოს საქონელი ან შესთავაზოს გადახდის ალტერნატიული გზები (მაგალითად წინასწარ გადახდები). დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფისთვის ზიანის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს, გარდა იმისა, რაც აღრიცხულია როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი.

საბაზრო რისკი. ჯგუფი იღებს ბაზრის რისკებს. საბაზრო რისკები უპირატესად უკავშირდება საბაზრო ძალებით განსაზღვრულ ფასებს საქონელზე და ამით ქმნის ლიმიტებს ფასზე, რომელიც შეიძლება დააკისრო მომხმარებელს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს აქვს ამ ფასებზე საბითუმო მომხმარებლებისთვის, მისი გავლენა იზღუდება ისეთი კონკურენტების ქმედებებით, როგორიცაა შპს სოკარ გაზი (მთავარი ეროვნული საბითუმო გაზის მომწოდებლები). საცალო გაზის გაყიდვებში ჯგუფი თანხმდება ბაზარზე არსებულ ფასებს, სადაც მისი ძირითადი კონკურენტები არიან შპს ვისოლ პეტროლიუმი და შპს სოკარ გაზი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ბუნებრივი აირი ძირითადად შესყიდული იყო შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტისგან" და შპს „ენერჯი სეილს კომპანისგან" ფულადი ანაზღაურებით.

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კონკრეტული ბაზრის მოძრაობებზე. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს რისკის იმ ოდენობაზე, რომელიც შეიძლება რომ ტოლერილებულ იქნას, რაც რეგულარულად მონიტორინგის ქვეშაა. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებამ შეიძლება ვერ შეზღუდოს ზარალი ამ ფარგლებს მიღმა უფრო მნიშვნელოვნად ბაზრის არახელსაყრელად მოძრაობის შემთხვევაში.

გეოგრაფიული რისკი. ჯგუფის აქტივები საქართველოში მდებარეობს. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, ჯგუფი ექვემდებარება საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკებს.

ჯგუფი ასევე ნაწილობრივ დამოკიდებულია საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნების ურთიერთობების განვითარებაზე. ნებისმიერი მოვლენა, რომელიც გავლენას მოახდენს ბუნებრივი აირის ფასზე, შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფს განაგრძოს ბიზნესი ჩვეულებისამებრ. ამასთანავე, ჯგუფზე ცუდი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს იმ ფაქტმა, თუ მთავრობა შეზღუდავს ელექტროენერგიის ექსპორტს საქართველოდან და ჯგუფის მომგებიანი გარტერული ტრანზაქციები შეიზღუდება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. ჯგუფის ფინანსური პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისებში ჩანს, რომ ჯგუფი შეიძლება დაუცველი იყოს სავალუტო რისკებისგან. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა მნიშვნელოვანი აქტივები რამდენიმე გაცემული სესხისა და სავაჭრო მოთხოვნების მხრივ, რომლებიც დენომინირებული იყო აშშ დოლარსა და ევროში.

2021 წლის 31 დეკემბერს, ქართული ლარი რომ გაუფასურებულიყო/გამყარებული 20%-ით აშშ დოლარის მიმართ, (და სხვა ყველა ცვლადი დარჩენილიყო იგივე) ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება იქნებოდა (8,155) ათასი ლარით (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: 3,950 ათასი ლარით) დაბალი/მაღალი, ძირითადად საკურსო ზარალით/მოგებით გამოწვეული დოლარში დენომინირებულ საბანკო ბალანსების, შეზღუდული ფულის, მოთხოვნების, გაცემული სესხების, აღებული სესხებისა და სავაჭრო ვალდებულებების გამო.

2021 წლის 31 დეკემბერს, ქართული ლარი რომ გაუფასურებულიყო/გამყარებული 20%-ით ევროს მიმართ, (და სხვა ყველა ცვლადი დარჩენილიყო იგივე) ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება იქნებოდა 819 ათასი ლარით (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: 825 ათასი ლარით) ნაკლები/მეტი, ძირითადად საკურსო ზარალით/მოგებით გამოწვეული ევროში დენომინირებულ სესხების გამო.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის უცხოური ვალუტის კურსის მიმართ რისკი:

ათასობით ლარში	**2021 წლის 31** დეკემბერი	**2020 წლის 31** დეკემბერი
დენომინირებლი აშშ დოლარში:		
მონეტარული ფინანსური აქტივები	85,563	74,917
მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	(126,337)	(94,669)
დენომინირებული ევროში:		
მონეტარული ფინანსური აქტივები	1,349	2,143
მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	(5,443)	(6,270)
წმინდა პოზიცია აშშ დოლარში	**(40,774)**	**(19,752)**
წმინდა პოზიცია ევროში	**(4,094)**	**(4,127)**

კაპიტალის რისკის მართვა. ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯგუფში შემავალმა კომპანიებმა შეძლონ ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავისი უკუგება.

წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის უწყისში) მინუს ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "საკუთარი კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის უწყისში დამატებული წმინდა ვალი.

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასობით ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სულ სესხები (შენიშვნა 16)	142,774	115,951
მინუს: ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 14)	(23,231)	(2,198)
წმინდა სესხები	119,543	113,753
სულ კაპიტალი	108,986	113,872
წმინდა სესხის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან	110%	100%

ლიკვიდობის რისკი. გონივრული ლიკვიდობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი ნაკადების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას ერთობლივი საკრედიტო ობიექტების ადეკვატური თანხის ოდენობით.

ჯგუფი ახდენს ლიკვიდობის რისკის მართვას სესხებზე წვდომის შენარჩუნებით და მუდმივი პროგნოზირებისა და რეალურ ფულადი ნაკადების მოძრაობის მონიტორინგის გზით. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო ერთეულებში და ჯამდება ჯგუფის ფინანსების მიხედვით. ასეთი პროგნოზები ითვალისწინებენ ჯგუფის რეფინანსირების გეგმებს. ჯგუფის ფინანსების განყოფილება მონიტორინგს უწევს ჯგუფის ლიკვიდობის მოთხოვნებს რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დაიტოვოს საკმარისი არეალი იმისათვის, რომ არ დაარღვიოს სესხების ლიმიტები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ვალდებულებები გაანალიზებულია მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. დაფარვის ცხრილში გაწერილი თანხები არის ხელშეკრულების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები, მათ შორის სესხის ვალდებულებები. ასეთი არადისკონტირებული ოდენობები ფინანსურ უწყისებში ნაჩვენები ოდენობებისგან, რადგან იქ მოცემული ოდენობები დისკონტირებულია.

როდესაც გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, თანხის გამოღვენება განისაზღვრება საანგარიშგებო თარიღში არსებული პირობების მითითებით. უცხოური ვალუტის გადახდები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღში არსებული გაცვლითი კურსებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო გადახდების ვადიანობის ანალიზი შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	1 წელზე ნაკლები	1-იდან 2 წლამდე	2-იდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,152	-	-	-	9,152
გადასახადები	608	-	-	-	608
საიჯარო ვალდებულება	264	209	235	46	754
აღებული სესხები	47,056	61,497	17,439	56,017	182,009
სულ ფინანსური ვალდებულებები	**57,080**	**61,706**	**17,674**	**56,063**	**192,523**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო გადახდების ვადიანობის ანალიზი შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	1 წელზე ნაკლები	1-იდან 2 წლამდე	2-იდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,106	-	-	-	16,106
გადასახადები	2,631	-	-	-	2,631
საიჯარო ვალდებულება	610	517	636	112	1,875
აღებული სესხები	93,506	10,598	19,081	-	123,185
სულ ფინანსური ვალდებულებები	**112,853**	**11,115**	**19,717**	**112**	**143,797**

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის ლიკვიდობის გაზრდა მოხდება კომერციული ბანკების მიერ ახალი საკრედიტო ხაზების მოპოვებით ან არსებული სესხების საპროცენტო განაკვეთების შემცირებით, ხარჯების მართვის გაუმჯობესებით, აქტივობის გაზრდით და აქტიურად ახალი კონტრაქტების მოძიებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ცვლილება საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი მოძრაობის მიმართ, რაც გამოიხატება მოზიდული სახსრების ან/და ფულადი ნაკადებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. ჯგუფს არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, თუ რა პროპორციით უნდა იყოს ფიქსირებული და ცვლადი სესხები ჯგუფში. თუმცა, ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია გარდა „თიბისი ბანკისგან" და საქართველოს ბანკისგან აღებული სესხებისა, რომელიც არის 6 თვიანი LIBOR + 6.20% და 6.70% ზემოაღნიშნული ბანკებისათვის.

ამ ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟები, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან წავიდეს ზარალში იმ შემთხვევაში, როდესაც მოულოდნელი მოძრაობები წარმოიქმნება ბაზარზე. ჯგუფი არ აკეთებს მისი საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შეჯამებულია საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები პროცენტიან ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე საანგარიშო თარიღებისთვის, იმ რეპორტებზე დაყრდნობით, რომელიც მთავარი მენეჯერების მიერ არის განხილული:

	2021 წლის **31** დეკემბერი			**2020** წლის **31** დეკემბერი		
საშუალო შეწონილი წლიური %	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
გაცემული სესხები						
დაკავშირებული მხარეები	12.71%	8.61%	14.07%	12.67%	8.6%	14.07%
არადაკავშირებული მხარეები	15.46%	9.37%	-	15.48%	7.71%	-
აღებული სესხები						
დაკავშირებული მხარეები	11.53%	15.00%	15.22%	11.60%	15.00%	15.22%
არადაკავშირებული მხარეები	-	6.81%	-	13.23%	6.84%	-

25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფასს სტანდარტები განსაზღვრავს სამართლიან ღირებულებას, როგორც იმ ფასს, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. მიახლოებითი სამართლიანი ღირებულებები დადგინდა ჯგუფის მიერ ბაზარზე არსებული ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიების მიხედვით. თუმცა, მაინც სუბიექტურობა არის საჭირო რომ გაშიფრო საბაზრო ინფორმაცია და დათვალო მიახლოებითი სამართლიანი ღირებლება. საქართველო ჯერ კიდევ ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს და ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ ზღუდავს ფინანსური ბაზრების საქმიანობის მოცულობას. ბაზრების კვოტირებული ფასები შეიძლება იყოს მოძველებული და ამიტომ შესაძლოა სწორად ვერ ასახავდეს ფინანსური ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას. მენეჯმენტმა გამოიყენა ყველა არსებული საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულები დასადგენად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები. სავარაუდო რეალური ღირებულება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამოკიდებულია დადისკონტირებულ სავარაუდო ფულის ნაკადის შემოდინებაზე. დისკონტირებისას გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან მათი მოკლე ვადიანობის გამო.

ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები. სავარაუდო რეალური ღირებულება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ფინანსური ვალდებულებებისთვის დამოკიდებულია დადისკონტირებულ სავარაუდო ფულის ნაკადის გადინებაზე. დისკონტირებისას გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი არის მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ვალდებულების ~

25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

მიხედვით აღებული. ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

რეალური ღირებულება ფულისა და ფულის ეკვივალენტებისთვის განისაზღვრა 1-ლი დონის შეფასების მიხედვით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის კი მე-3 დონის შეფასების მიხედვით.

26. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები. დროდადრო და ბიზნესის ნორმალურ კურსში შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი ჩართული იყო სასამართლო დავაში შპს „ავტოგაზის" ყოფილ მეწილეებთან. დავის საგანია შპს „ავტოგაზის" კაპიტალის 100%-იანი წილის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება 13,645 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და შპს „ავტოგაზის" აქტივების დაბრუნება, რომლებიც შეტანილი იქნა შპს „ნეოგაზის" კაპიტალში. მენეჯმენტი ფიქრობს, რომ სარჩელის საბოლოო გადაწყვეტის საფუძველზე არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება, შესაბამისად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ შექმნილა რეზერვი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქონებას საბალანსო ღირებულებით 9,868 ათასი ლარი ადევს აკრძალვა გასხვისებასა და იპოთეკით დატვირთვის უფლებაზე.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა შუალედურ შემოკლებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფის შემოწმება შეუძლია ბოლო სამი წლის განმავლობაში.

თბილსრესი აქტივების აუქციონის მოგებიდან აღებული ვალდებულებები

2010 წლის 23 თებერვალს სს "თბილსრესის" აქტივების აუქციონში გამარჯვების შედეგად, სხვა ვალდებულებებთან ერთად, ჯგუფმა ვალდებულება აიღო რომ უზრუნველყო შემდეგი საკითხები:

- ელექტროენერგიის გამომუშავების ერთეულების სათანადო ფუნქციონირება ლიცენზირების ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად;
- არსებული სიმძლავრის (272 მეგავატი) მოვლა და შენარჩუნება მინიმუმ 2025 წლამდე;
- ქვანახშირის ქარხნის მშენებლობა გარდაბანში 100-150 მეგავატის სიმძლავრის და მისი ექსპლუატაციაში მიღება არა უგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნავთობის შენახვა მის რეზერვუარებში უფასოდ.

2015 წლის 23 ოქტომბერს ჯგუფმა ხელი მოაწერა შეთანხმებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად, 2010 წლის 23 თებერვალს სს "თბილსრესის" აქტივების აუქციონიდან გამომდინარე ვალდებულებების შესწორებისა და განმარტების მიზნით. შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია:

- 2020 წლის 30 ივლისამდე ტყიბულის მუნიციპალიტეტში 100-150 მგვტ სიმძლავრის თბოელექტროსადგური ექსპლუატაციაში მიიღოს;
- დაიწყოს ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობა 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

26. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები (გაგრძელება)

2016 წლის 4 ივლისს ჯგუფმა ხელი მოაწერა ცვლილებას თბოელექტროსადგურის ტყიბულის მუნიციპალიტეტში აშენებასთან დაკავშირებით, ენერგეტიკის სამინისტროსა და „ესკო"-სთან. ცვლილების მიხედვით, ჯგუფმა აიღო ვალდებულება რომ ააშენებს და ოპერირებას გაუწევს ქვანახშირის თბოელექტროსადგურს დადგმული სიმძლავრით 150-300 მგვტ (+/-10%) გარდაბანის მუნიციპალიტეტში 2020 წლის 31 ივლისამდე.

პროექტი ითვალისწინებდა ჯგუფის უშუალო მშობელის შვილობილი კომპანიის, შპს „საქნახშირის" მიერ მოპოვებული ნახშირის გამოყენებას ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურისთვის. 2019 წელს შპს

„საქნახშირი" საოპერაციო საქმიანობის გამო ფინანსურ სირთულეებს განიცდიდა .საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ჰოლდინგის მენეჯმენტმა გადაწყვეტილება მიიღო, გაეყიდა შპს „საქანახშირი". კომპანიას დიდი სოციალური მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ტყიბულის მუნიციპალიტეტში მსხვილ დამსაქმებელს. ამდენად, შვილობილის გაყიდვაში მონაწილეობდა საქართველოს მთავრობა და პროექტის მშენებლობაც შეჩერდა. მენეჯმენტი არ ელის აღნიშნული პროექტიდან რაიმე ვალდებულებების დადგომას.

გარანტიები. საანგარიშო პერიოდში „ნეოგაზი" იყო შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციასა" და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებების გარანტორი 36,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. გაცემული გარანტიიდან არ არის მოსალოდნელი პოტენციური ზარალი, შესაბამისად ამ გარანტიისთვის კომპანიის მიერ არ არის გათვალისწინებული ზარალის ანარიცხი.

შესაბამისობა კოვენანტებთან. ჯგუფი ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სს „თიბისი ბანკიდან" და სს „საქართველოს ბანკიდან" აღებულ სესხებთან. ასეთი შეზღუდვების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის უარყოფითი შედეგები, მათ შორის სესხების ღირებულების ზრდა და გაკოტრების გამოცხადება. 2021 წლის და 2020 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი შესაბამისობაში იყო კოვენანტებთან, გარდა სს „ვითიბი ბანკის" კოვენანტისა, რომელიც სრულად დაიფარა 2022 წლის აინვარში. დამატებით, 2021 წლის 31 დეკემბერსთვის ჯგუფმა მოიპოვა ვეივერები სს „თიბისი ბანკისა" და სს „საქართველოს ბანკისგან", რომლის მიხედვითაც უარი თქვეს კანონიერ უფლებებსა და პრეტენზიებზე, რომლებიც დაკავშირებულია შეთანხმებების დარღვევასთან.

იხილეთ მე-7 და მე-8 შენიშვნები დაგირავებული აქტივების შესახებ, როგორც ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხების უზრუნველყოფა.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება განსხვავებული რისკებით, ვიდრე მეტად განვითარებული ბაზრები. მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესებზე საქართველოში, განაგრძობენ სწრაფად განვითარებას საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოებით, რომლებიც ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას.საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეთარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. 2018 და 2019 წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

27. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ზოგადად არიან დაკავშირებულები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთი და იმავე პირის კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ-ერთ მათგანს აქვს შესაძლებლობა რომ გააკონტროლოს მეორე ან აქვს მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა, ან არის საერთო კონტროლში ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებისას. ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთდამოკიდებულების ბუნებას და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

27. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბერს, ბალანსები მეკავშირე მხარეებთან შემდეგნაირი იყო:

ათასობით ლარში	უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები	საბოლოო მშობელი კომპანია	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები*
სავაჭრო მოთხოვნები, ბრუტო	25	13	3,006	354	410
გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	-	-	(49)	(278)	(274)
გაცემული სესხები, ბრუტო	15,338	12,968	2,392	-	18,046
გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე	(72)	(61)	(11)	-	(698)
აღებული სესხები	-	-	(10,476)	(64)	(9,138)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	(951)	-	(18)

2020 წლის 31 დეკემბერს, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგნაირი იყო:

ათასობით ლარში	უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები	საბოლოო მშობელი კომპანია	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები*
სავაჭრო მოთხოვნები, ბრუტო	16	13	3,146	353	372
გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	-	-	(49)	(204)	(94)
გაცემული სესხები, ბრუტო	15,128	12,669	2,075	-	17,582
გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე	(71)	(59)	(10)	-	(113)
აღებული სესხები	-	-	(9,087)	(61)	(10,070)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	(1,083)	-	(1)

შემოსავლისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები	საბოლოო მშობელი კომპანია	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები*
გაზის გაყიდვა - საბითუმო - ადგილობრივი	-	-	717	-	-
კლიენტები	-	-	3	-	-
გაზის გაყიდვა - საცალო	-	-	-	-	-
ელექტროენერგიის გაყიდვა - ადგილობრივი კლიენტები	-	-	-	-	3
დამზადებული ნაწარმის გაყიდვა	8	-	358	-	166
საოჯახო შემოსავალი	1	1	1	-	1
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი/(აღდგენა)	1,076	1,030	216	-	1,318
საპროცენტო შემოსავალი	-	-	978	3	1,448
საპროცენტო ხარჯი	-	-	-	-	112
სხვა შემოსავალი და ხარჯები	-	-	43	-	14
წმინდა მოგება სათადარიგო ნაწილების, მასა და ჯართის გაყიდვიდან/ჩამოწერიდან	-	-	18	-	-
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	-	-	-	248	-
შემოსავალი დივიდენდებიდან	-	-	26	-	-
ძირითადი სამუალებების საოპერაციო იჯარ	-	-	1,811	-	-
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	-	-	123	-	-
წყალმომარაგების ხარჯები	-	-	937	-	-
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარ	-	-	-	-	1,000
დაზღვევა	-	-	1	-	-
სხვა					

27. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	უშუალო ან შუამავალი მშობელი კომპანიები	საბოლოო მშობელი კომპანია	კომპანიების საერთო კონტროლის ქვეშ	მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები*
გაზის გაყიდვა - საბითუმო - ადგილობრივი კლიენტები	-	-	765	-	-
გაზის გაყიდვა - საცალო	-	-	2	-	-
ელექტროენერგიის გაყიდვა - ადგილობრივი კლიენტები	-	-	106	-	-
დამზადებული ნაწარმის გაყიდვა	-	-	-	-	422
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი/(აღდგენა)	8	-	355	-	155
საპროცენტო შემოსავალი	12	11	2	-	51
საპროცენტო ხარჯი	1,050	-	1,207	-	1,165
სხვა შემოსავალი და ხარჯები	-	-	468	3	1,387
წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/ჩამოწერიდან	-	-	-	-	8
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	-	-	30	-	14
შემოსავალი დივიდენდებიდან	-	-	30	-	-
ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარა	-	-	-	136	-
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	-	-	21	-	-
წყალმომარაგების ხარჯები	-	-	1,805	-	-
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი	-	-	130	-	-
დაზღვევა	-	-	692	-	-
სხვა	-	-	-	-	205

მთავარი მენეჯმენტის კომპენსაცია. მთავარი მენეჯმენტი მოიცავს დირექტორთა საბჭოს წევრებს. მათთვის გადასახდელი კომპენსაცია შედგება საკონტრაქტო ხელფასისგან, ფინანსური მიზნების შესრულებასთან დაკავშირებული ბონუსისგან და სხვა კომპენსაციებისგან, მივლინების ხარჯების ანაზღაურების სახით. მთლიანი მთავარი მენეჯმენტის კომპენსაცია 2021 წელს იყო 1,256 ათასი ლარი (2020 წელს: 1,031 ათასი ლარი) და მთლიანად შედგებოდა მოკლევადიანი სარგებლისგან.

28. მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდგომ

ჯგუფის აქტივების უმეტესი ნაწილის იჯარით გაცემა. 2022 წლის 25 იანვარს, შპს „ნეოგაზმა" მესამე მხარესთან, არადაკავშირებულ კომპანიასთან გააფორმა გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც 2022 წლის 1-ელ მარტს შპს „ნეოგაზმა" მის მფლობელობაში არსებული გაზგასამართი სადგურების უმრავლესობა იჯარით გასცა. საანგარიშო პერიოდისათვის, იჯარით გაცემული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში იყო 7,866 ათასი ლარი.

გადაბდისუუნარობის საქმის წარმოება. საანგარიშო პერიოდის შემდეგ ჯგუფში არსებული ორი კომპანია შპს „მობილგორიგაზი" და შპს „აჭარა ავტოგაზი" გადახდისუუნარობის წინაშე აღმოჩნდა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

2022 წლის 3 იანვარს, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ" მთლიანად გადაიხადა ვითიბი ბანკისაგან აღებული სესხი რაოდენობით 15,725 ათასი ლარი.

რუსეთის სამხედრო შეჭრა უკრაინაში. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსეთის ჯარმა საზღვარი გადაკვეთა. აღნიშნული კონფლიქტი საერთაშორისოდ განიხილება როგორც ევროპაში ყველაზე დიდი სამხედრო თავდასხმა ევროპულ სახელმწიფოზე. ომის დაწყების შემდეგ ევროპაში ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი დაიწყო. მილიონობით უკრაინელი დღემდე ტოვებს საკუთარ სამშობლოსა და სახლს. უკრაინაში კონფლიქტის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ რუსეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციები დააკისრა. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაუფასურდა რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვნად დაეცა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება როგორც რუსეთის, ასევე სხვა ქვეყნების ბაზარზე.

28. მოვლენები საანგარიშგებო თარიღის შემდგომ (გაგრძელება)

უამრავმა კომპანიამ შეწყვიტა ოპერირება რუსეთსა და ბელორუსიაში. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა შედეგი უკვე აისახა ჰუმანიტარული კრიზისსა და მატერიალურ-ეკონომიკურ ზარალში როგორც რუსეთსა და უკრაინაში, ასევე დანარჩენ მსოფლიოში.

ხელმძღვანელობა უკრანიის კონფლიქტს ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიისთვის აღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტით გამოწვეული ზიანის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს, რადგან კომპანიას, მის მესაკუთრეებსა და მთავარ მომხმარებლებს კავშირი არ აქვს არც რუსეთთან და არც უკრაინასთან.

იმის გამო, რომ კონფლიქტი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს სრული გავლენა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ჯგუფზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების სიდიდის შესახებ. მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" (სსეკ) დაარსდა 2005 წლის 11 ივლისს. კომპანია არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების ჯგუფის მშობელი, რომელთა ძირითადი საქმიანობა მოიცავს ელექტროენერგიის გამომუშავებას, გაზგასამართი სადგურების ოპერირებას, საინჟინრო და შესაბამის საკონსულტაციო საქმიანობას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და წილის 100% მფლობელი იყო საქართველოში რეგისტრირებული შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ (“GIG”).

რაც შეეხება ელექტროენერგიის გენერაციას, მისი გამომუშავება ხდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 8 ჰიდროელექტროსადგურისა და გარდაბანში მდებარე თბოელექტროსადგურის (“თბილსრესის“) ორი ენერგო ბლოკის მეშვეობით. ელექტროენერგია იყიდება ელექტროენერგიის ბაზრის კომერციულ ოპერატორზე („ესკო“) და გამანაწილებელ კომპანიებზე. თბოელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 272 მეგავატს და მისი გასაყიდი ფასი დგინდება სემეკის ნორმატიული აქტით. ჰიდროელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე ჯამში 48.743 მეგავატია. მათი ტარიფები კანონის მიხედვით („საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“) დერეგულირებულია და ტარიფს ადგენს თავისუფალი ბაზარი.

თბოელექტროსადგურის მიერ ესკოსა და გამანაწილებელ კომპანიებზე მიყიდულმა ელექტროენერგიის რაოდენობამ 2021 წელს შეადგინა 75,011,684.00 კვტ/სთ, ტარიფი იყო 15.04 თეთრი კვტ/სთ-ზე 2021 წლის დეკემბერში.

ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული და გაყიდული ელექტროენერგიის რაოდენობამ 2021 წელს შეადგინა 158,297,961.20 კვტ/სთ.

სსეკ-ის საქმიანობა ასევე მოიცავს ჰიდრო და თბოელექტროსადგურებზე გამომუშავებულ, სხვის სადგურებზე გამომუშავებულ, ქვეყანაში იმპორტირებული ელ. ენერგიის საბითუმო ყიდვა-გაყიდვას საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე და ექსპორტს (ტრანზიტი) მეზობელ ქვეყნებში და ელექტროენერგიის გაყიდვას თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.

ელექტროენერგიის საექსპორტო გაყიდვა მოიცავს ბარტერულ გარიგებას სომხეთში მდებარე თბოელექტროსადგურის ოპერატორთან. კომპანია ბუნებრივ გაზს იღებს ბარტერული გარიგებით, ელექტროენერგიის სანაცვლოდ.

გაზის ძირითადი მომხმარებლები მსხვილი ქართული სამრეწველო საწარმოები, მათ შორის ცემენტის ქარხნები და გაზგასამართი სადგურების ქსელები. ჯგუფი ასევე ჩართულია გაზის საცალო ვაჭრობაში საკუთარი გაზგასამართი სადგურების საშუალებით.

საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა

ენერგო-სექტორში ელექტროენერგიის გენერირება ძირითადად ჰიდროელექტრო სადგურების (ჰესი) და თბოელექტრო სადგურების (თესი) საშუალებით ხდება. საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის მფლობელობაშია მცირე ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 25.13% და თესების მიერ გამომუშავებული ელექტრო ენერგიის დაახლოებით 10.34%. ასევე გარდაბნის თბოსადგური მთელი წლის განმავლობაში, გარდა რემონტის დღეებისა წარმოადგენს ქვეყნის გარანტირებული სიმძლავრის წყაროს.

გაზგასამართი სადგურების ოპერირება

რაც შეეხება ჯგუფის მეორე ძირითად საქმიანობას, გაზგასამართი სადგურების ოპერირებას, ახორციელებს ენერგეტიკული ჯგუფის შვილობილი კომპანია „ნეოგაზი“ ჯგუფი, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეკუმშული ბუნებრივი აირის რეალიზაციას ახდენს. 10 წელზე მეტია რაც ბაზარზე ოპერირებს, 2015 წლიდან კი რებრენდინგის შემდეგ, ,,ნეოგაზის'' სახელით არის წარმოდგენილი და სფეროში ერთ-ერთი წამყვანი ბრენდია. ბრენდის შექმნასთან ერთად შემუშავდა და ეტაპობრივად დაინერგა სადგურების ახალი ვიზუალური კონცეფცია, ერთიანი სამეურნეო და მომსახურების სტანდარტი.

გაზგასამართი სადგურების ოპერირება (გაგრძელება)

„ნეოგაზი" ერთ-ერთი ყველაზე ფართო ქსელის მფლობელია, რომელიც 21 ავტოგაზგასამართ სადგურს (მათ შორის შვილობილები) და 6 მოძრავ სადგურს აერთიანებს (იხ. დანართი N1). „ნეოგაზის" სადგურები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და სრულად დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

სსეკ-ის ჯგუფი მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	2021 წლის 31 დეკემბერი, წილი/ხმის მიცემის უფლება	2020 წლის 31 დეკემბერი, წილი/ხმის მიცემის უფლება	ყიდვის/დაარსების წელი	ინსუსტრია
შპს ფაუერ თრეიდი	100.0%	100.0%	2012	ელექტროენერგიით ვაჭრობა
შპს ნეოგაზი	100.0%	100.0%	2014	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს სი ფაუერი	100.0%	100.0%	2015	ელექტროენერგიის გამომუშავება
შპს რიცეულაჰესი	88.5%	88.5%	2008	ელექტროენერგიის გამომუშავება
შპს აჭარა ავტოგაზი	74.0%	74.0%	2009	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს მობილგორიგაზი	55.0%	55.0%	2011	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერი - EPC	51.0%	51.0%	2012	ჰესების ინჟინერია
შპს დელტა პე	50.0%	50.0%	2015	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს იქს გაზი	50.0%	50.0%	2012	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ახალგაზი	50.0%	50.0%	2010	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს იბერგაზი	50.0%	50.0%	2010	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ორთაჭალა გაზი	100.0%	100.0%	2016	გაზგასამართი სადგურის მართვა
შპს ჯიეკ სოლუშენსი	100%	100%	2019	საინჟინრო და გვერდითი საკონსულტაციო საქმიანობა
შპს ჯითი პაუერ ვენჩერსი	50%	50%	2019	საინჟინრო საქმიანობა

ჯგუფის მომავალი განვითარების გეგმები

2018 წლის მთავრობის დადგენილების შედეგად, 2019 წლის მაისიდან საცალო მომხმარებელი, რომელიც აკმაყოფილებს ამავე დადგენილებით ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლისათვის განსაზღვრულ სავალდებულო კრიტერიუმებს, უნდა დარეგისტრირდეს საბითუმო ვაჭრობაში, როგორც პირდაპირი მომხმარებელი. აღნიშნული დადგენილება საშუალებას მისცემს სსეკ-ს აწარმოოს მოლაპარაკებები პირდაპირ მომხმარებლებთან და გააფორმოს ხელშეკრულებები ელექტროენერგიის პირდაპირი წესით მიყიდვაზე.

რაც შეეხება განვითარების გეგმებს გაზგასამართი სადგურების ოპერირებასთან დაკავშირებით, რასაც „ნეოგაზი ჯგუფი“ ახორციელებს, მდგომარეობს შემდეგში:

ქსელის გაფართოება

„ნეოგაზის" გაზგასამართი სადგურების ტერიტორიულად ხელსაყრელ ადგილზე არსებობა და ქსელის სიდიდე გაზგასამართი კომპანიის შერჩევის წამყვანი კრიტერიუმია. იმისათვის, რომ „ნეოგაზმა" შეძლოს კიდევ უფრო დიდი რაოდენობის მომხმარებლის მოზიდვა, კომპანია მიზნად ისახავს გადახედოს არსებული ქსელის სიდიდეს, სადგურების ლოკაციებს და დაამატოს სადგურები ახალ, ტერიტორიულად ოპტიმალურ ლოკაციებზე. ამისათვის მიზანშეწონილია, ქსელის გეოგრაფიული დაფარვის არეალის გაზრდა და ქსელის გაფართოება საქართველოს იმ რეგიონებსა და ლოკაციებზე, სადაც არ არის წარმოდგენილი „ნეოგაზი".

სადგურზე დამატებითი სერვისის განვითარება

სამომხმარებლო ბაზრისათვის მიმზიდველია სადგურებზე არსებობდეს დამატებითი როგორც უფასო, ასევე ფასიანი მომსახურებები. იმისათვის რომ კომპანია „ნეოგაზმა" კონკურენცია გაუწიოს კონკურენტ ქსელებს, რეკომენდირებულია საკუთარ ქსელში დანერგოს დამატებითი სერვისები, როგორიც არის:

სადგურზე დამატებითი სერვისის განვითარება (გაგრძელება)

- მარკეტი
- სწრაფი კვების ობიექტი
- ავტო სამრეცხაოები
- და სხვა მომსახურებები

2020 წლის აგვისტოში შპს „ნეოგაზმა“ რამდენიმე სადგურზე გახსნა მარკეტები და გეგმავს, ამ საქმიანობით სხვა სადგურებიც მოიცვას.

ლოიალობის ბარათზე დამატებითი ფუნქციების განვითარება

ზოგადად ლოიალობის ბარათები გავლენას ახდენს, არამხოლოდ ბრენდის შერჩევაზე, არამედ შემდეგ ბრენდის მიმართ ლოიალობაზეც. კომპანია ,,ნეოგაზის'' მომხმარებლები აქტიურად იყენებენ ,,ნეოქარდს'' და დადებითად აფასებენ მიღებულ სარგებელს. იმისათვის, რომ ლოიალობის ბარათი ,,ნეოქარდის'' პირობები მიმზიდველი გახდეს უფრო მეტი მომხმარებლისთვის კომპანია გეგმავს მისი პირობების გამრავალფეროვნებას.

ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2021 წლის განმავლობაში ჯგუფი არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

ჯგუფის ფილიალების მიმოხილვა

ჰესები
2007 წლიდან სსეკ-მ დაიწყო ჰიდროელექტროსადგურების შეძენა და 2020 წლისათვის მის მფლობელობაშია უკვე 8 ჰიდროელექტრო სადგური. აქედან კომპანიის მიერ აშენდა რაჭა ჰესი და ალაზანი 2 ჰესი, ხოლო ალაზანი 1 ჰესს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. 8 ჰიდრო სადგურის დადგმული სიმძლავრე 48.743 მგვტ-ია:

რიწეულა ჰესი - ექსპლუატაციაში 1956 წელს შევიდა, სამივე ჰიდრო აგრეგატის დადგმული სიმძლავრეა ჯამში 6.32 მგვტ.
რაჭა ჰესი - აშენდა ენერგეტიკული კორპორაციის მიერ და ექსპლუატაციაში შევიდა 2013 წელს და დადგმული სიმძლავრეა 11 მგვტ.
ბჟუჟა ჰესი - 1956 წლიდანაა ექსპლუატაციაში შესული და შეუძლია 12.24 მგვტ. ელექტროენერგია გამოიმუშაოს.
ალაზანი 1 - ჰესს სსეკ-მ ჩაუტარა რეაბილიტაცია და განახლებული ჰესი ექსპლუატაციაში 2011 წლიდან შევიდა. მისი დადგმული სიმძლავრე ჯამში შეადგენს 6.064 მგვტ-ს.
ალაზანი 2 - ჰესი აშენდა ასევე 2011 წელს და მისი დადგმული სიმძლავრეა 6.064 მგვტ.
კახარეთი ჰესი - აშენდა 1949 წელს და 1950 წლიდან გამოიმუშავებს 2.08 მგვტ. ელექტროენერგიას.
იგოეთი ჰესი - ექსპლუატაციაშია 1955 წლიდან 1.775 მგვტ. სიმძლავრით.
ტირიფონი ჰესი - მშენებლობა დასრულდა 1950 წელს და ორი ჰიდროაგრეგატი გამოიმუშავებს ჯამში 3.2 მგვტ. ელექტრონერგიას.

თბოსადგურები

სსეკ-ს მფლობელობაშია გარდაბანში მდებარე თბოელექტროსადგურის მესამე და მეოთხე ბლოკები.

მესამე ბლოკი აშენდა და ექსპლუტაციაში შევიდა 1965 წელს და 2021 წელს მისმა გენერაციამ შეადგინა 45,388,000 კვტ/სთ.

მეოთხე ბლოკი ფუნქციონირებს 1967 წლიდან და 2021 წელს გამოიმუშავა 30,890,684 კვტ/სთ. ელექტროენერგია.

გაზგასამართი სადგურები

ასევე ენერგეტიკულის ჯგუფი მოიცავს თავის მხრივ „ნეოგაზი“ ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს ენერგეტიკულის შვილობილ კომპანიას. „ნეოგაზი“ ჯგუფი აერთიანებს 21 გაზგასამართ სადგურს (შვილობილების ჩათვლით) საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. (იხ. დანართი N1) მათ მთავარ საოპერაციო საქმიანობას წარმოადგენს შეკუმშული ბუნებრივი აირის რეალიზაცია, თუმცა 2018 წელს დაემატა ახალი პროდუქტი თხევადი გაზის სახით, რისი რეალიზაციაც ასევე ხდება მოცემულ სადგურებზე. (იხ. დანართი N2).

გაზგასამართი სადგურები (გაგრძელება)

ასევე საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე მდებარეობის ჯგუფის სხვა შვილობილები, როგორებიცაა შპს „სიპაუერი“, შპს „ფაუერ თრეიდი“, შპს „ჯორჯიან ჰიდრო ფაუერი, შპს „იქს გაზი“, და შპს „ჯიეკ სოლუშენსი“.

ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ათასობით ლარში	2021	2020
შემოსავალი	93,997	141,217
მთლიანი (ზარალი)/მოგება	35,280	34,761
წმინდა მოგება	(4,815)	(547)
მთლიანი მოგება (%)	37.53%	24.62%

2021 წელს კოვიდ 19-ის შეზღუდვების შემსუბუქების შედეგად ბაზარმა აღდგენა დაიწყო. გარდა ამისა, ნეოგაზმა 2020 წლის აგვისტოში გახსნა 2 მაღაზია, 2021 წელს კი კიდევ დამატებით ორი. გაფართოების შედეგად, 2021 წელს მაღაზიების გაყიდვებიდან შემოსავალი 10-ჯერ გაიზარდა 2020 წელთან შედარებით. ამასთან ერთად, გაიზარდა გაზის გასაყიდი ფასიც.

რაც შეეხება არაფინანსურ მაჩვენებლებს, დიდი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხებს, როგორც ძირითად ტერიტორიაზე ასევე ინფრასტრუქტურულ ერთეულებში. შემუშავებულია: ნარჩენების მართვის გეგმა და შესაბამისად სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირება და გეგმის შესაბამისად განკარგვა, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, ტარდება ღონისძიებები გარემოზე ზემოქმედების შესაბამისი დოკუმენტაციის დასკვნით ნაწილში რეკომენდაციების შესრულებაზე,

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით.
ფინანსური რისკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს **საკრედიტო რისკი,** რაც რისკია იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ გადაუხდის კომპანიას საკუთარ ვალდებულებებს, როდესაც გადახდის დრო მოვა. ფინანსური აქტივები, რომლებიც საკრედიტო რისკის მთავარ გამომწვევ ფაქტორებს წარმოადგენენ ძირითადად შედგება გაცემული სესხებისგან, სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ეკვივალენტებისგან. ჯგუფს შემუშავებული აქვს პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხოლოდ დადებითი საკრედიტო ისტორიის მქონე კონტრაგენტებს მიაწოდოს საქონელი ან შესთავაზოს გადახდის ალტერნატიული გზები (მაგალითად წინასწარ გადახდები). დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხების შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფისთვის ზიანის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს, გარდა იმისა, რაც აღრიცხულია როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი.

საბაზრო რისკი. ჯგუფზე გავლენას ახდენს ბაზარზე არსებული რისკებიც. საბაზრო რისკები უმეტესად უკავშირდება საბაზრო ძალებით განსაზღვრულ ფასებს საქონელზე და ამით ქმნის ლიმიტებს ფასზე, რომელიც შეიძლება დააკისრო მომხმარებელს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს აქვს გავლენა ამ ფასებზე, საბითუმო მომხმარებლებისთვის, მისი გავლენა იზღუდება ისეთი კონკურენტების ქმედებებით, როგორიცაა შპს „სოკარ გაზი“ (მთავარი ეროვნული საბითუმო გაზის მომწოდებლები). გაზის საცალო გაყიდვებში ჯგუფი მოქმედებს ფასებით, რომელსაც ბაზარი აწესებს, სადაც მისი მთავარი კონკურენტები არიან შპს „ვისოლ პეტროლიუმი“ და შპს „სოკარ გაზი“.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ბუნებრივი აირი ძირითადად შესყიდული იყო შპს „ენერჯი სეილს კომპანისგან“ ფულადი ანაზღაურებით.

გარდა ამისა, ჯგუფს აქვს ღია სავალუტო პოზიცია, რომელიც მერყეობს ზოგადი და კონკრეტული ბაზრის მოძრაობების შესაბამისად. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს რისკის იმ ოდენობაზე, რომელიც შეიძლება რომ ტოლერილებულ იქნას, რაც რეგულარულად მონიტორინგის ქვეშაა. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებამ შეიძლება ვერ შეზღუდოს ზარალი ამ ფარგლებს მიღმა, უფრო მნიშვნელოვნად, ბაზრის არახელსაყრელად მოძრაობის შემთხვევაში.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის (გაგრძელება)

გეოგრაფიული რისკი. ჯგუფის აქტივები მდებარეობს საქართველოში. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკები.
ჯგუფი ასევე, ნაწილობრივ დამოკიდებულია საქართველოსა და რეგიონის ქვეყნების ურთიერთობების განვითარებაზე. ნებისმიერმა მოვლენამ, რომელიც გავლენას მოახდენს ბუნებრივი აირის ფასზე, შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიას, განაგრძოს ბიზნესი ჩვეულებისამებრ. ამასთანავე, ჯგუფზე ცუდი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს იმ ფაქტმა, რომ თუ მთავრობა შეზღუდავს ელექტროენერგიის ექსპორტს საქართველოდან, ჯგუფის მომგებიანი ბარტერული ტრანზაქციები შეიზღუდება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს რისკის დონეზე ვალუტასთან დაკავშირებით და მთლიანობაში. პოზიციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ლიკვიდობის რისკი. გონივრული ლიკვიდობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას ერთობლივი საკრედიტო ობიექტების ადეკვატური თანხის ოდენობით.

ჯგუფი ახდენს ლიკვიდობის რისკის მართვას სესხებზე წვდომის შენარჩუნებით და მუდმივი პროგნოზირებისა და რეალური ფულადი ნაკადების მოძრაობის მონიტორინგის გზით. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო ერთეულებში და ჯამდება ჯგუფის ფინანსების მიხედვით. ასეთი პროგნოზები ითვალისწინებენ ჯგუფის რეფინანსირების გეგმებს. ჯგუფის ფინანსების განყოფილება მონიტორინგს უწევს ჯგუფის ლიკვიდობის მოთხოვნებს, რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დაიტოვოს საკმარისი არეალი იმისათვის, რომ არ დაარღვიოს სესხების ლიმიტები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ვალდებულებები გაანალიზებულია მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. დაფარვის ცხრილში გაწერილი თანხები არის ხელშეკრულების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები, მათ შორის სესხის ვალდებულებები. ასეთი არადისკონტირებული ოდენობები განსხვავდება ფინანსურ უწყისებში ნაჩვენები ოდენობებისგან, რადგან იქ მოცემული ოდენობები დისკონტირებულია.

როდესაც გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, თანხა წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღში არსებული პირობების მითითებით. უცხოური ვალუტის გადახდები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღში არსებული გაცვლითი კურსებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვადიანობის ანალიზი შემდეგნაირია:

ათასობით ლარში	1 წელზე ნაკლები	1-იდან 2 წლამდე	2-იდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,152	-	-	-	9,152
გადასახადები	608	-	-	-	608
საიჯარო ვალდებულება	264	209	235	46	754
აღებული სესხები	47,056	61,497	17,439	56,017	182,009
სულ ფინანსური ვალდებულებები	**57,080**	**61,706**	**17,674**	**56,063**	**192,523**

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის ლიკვიდობის გაზრდა მოხდება კომერციული ბანკების მიერ ახალი საკრედიტო ხაზების მოპოვებით ან არსებული სესხების საპროცენტო განაკვეთების შემცირებით, ხარჯების მართვის გაუმჯობესებით, აქტივობის გაზრდით და აქტიურად ახალი კონტრაქტების მოძიებით.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ცვლილება საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი მოძრაობის მიმართ, რაც გამოიხატება მოზიდული სახსრების ან/და ფულადი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. ჯგუფს არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, თუ რა პროპორციით უნდა იყოს ფიქსირებული და ცვლადი სესხები ჯგუფში. თუმცა, ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია გარდა „თიბისი ბანკისგან“ და საქართველოს ბანკისგან აღებული სესხებისა, რომელიც არის 6 თვიანი LIBOR + 6.20% და 6.70%.

ამ ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჯები, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან წავიდეს ზარალში იმ შემთხვევაში, როდესაც მოულოდნელი მოძრაობები წარმოიქმნება ბაზარზე. ჯგუფი არ აკეთებს მისი საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ახალი პროგრამები

„ქსელის წესების“ მოთხოვნის თანახმად, 2018 წელს დაიწყო ახალი ტირისტორული აღგზნების სისტემების მონტაჟი სსეკ-ს კუთვნილ ჰესებსა და თბოელექტრო სადგურის ბლოკებზე. აღნიშნული სისტემის დამონტაჟება ჰესებზე და ბლოკზე უზრუნველყოფს ოპერაციის საიმედოობას, სტაბილურობას და იძლევა სწრაფი რეაგირების საშუალებას.

SCADA სისტემის დანერგვა

დისპეჩერიზაციის ლიცენზიატსა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით სსეკ-მ დაიწყო SCADA-ს მონაცემთა გადაცემის სისტემის განთავსება ჰესებზე, რომლის დანიშნულებაა ჰესებში მიმდინარე სამრეწველო პროცესის მეთვალყურეობა რეალურ დროში. 2018 წელს აღნიშნული სისტემა მოეწყო რაჭის, რიცეულას და ბჟუჟა ჰესებზე.

სოციალური პასუხისმგებლობა

„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ როგორც „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ შვილობილი კომპანია აქტიურადაა ჩართული მშობელი კომპანიის ქოლგის ქვეშ განხორციელებულ სხვადასხვა სოციალურ თუ საქველმოქმედო აქტივობებში. იქნება ეს სოციალური თემატიკის, საგანმანათლებლო, სპორტული თუ ეკოლოგიური.

დანართი N1

"ნეოგაზის" ავტო გაზგასამართი სადგურების მისამართები

"ნეოგაზის" სტაციონარი სადგურები:

1. საბურთალო უნივერსიტეტი 1 - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N6
2. საბურთალო ქავთარაძე 2 - ქ. თბილისი, კოსტავას ქ #8
3. ორთაჭალა - ქ. თბილისი, გულუას ქ. N22
4. ვარკეთილი - ქ. თბილისი ჯავახეთის ქუჩაზე ვარკეთილის 3-ის საცხოვრებელი რაიონის III მ/რ - ის მოპირდაპირედ
5. აეროპორტი - ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმებარედ
6. დიღომი - ქ. თბილისი, საქართველოს სამხედრო გზასა და გლდანში გადასახვევი გზის გადაკვეთასთან
7. ავჭალა - ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამწზირი N 39
8. ლოჭინი - გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი
9. მარნეული - ქ. მარნეული, 26 მაისის ქ.
10. ველისციხე - გურჯაანის რაიონი, სოფელი მუკუზანი
11. თელავი - ქ. თელავი თბილისის გზატკეცილი
12. ნატახტარი - მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი
13. ხაშური - ქ. ხაშური, გორგასალის ქ. N30
14. ზესტაფონი - ზესტაფონის რაიონი, სოფელი არგვეთა
15. ქუთაისი - ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. N1
16. სამტრედია - ქ. სამტრედია, სანავარდოს ქ.
17. ქობულეთი - ქობულეთის რაიონი, სოფელი გვარა
18. გორი - ქ. გორი, სტალინის გამზირის დასაწყისი
19. ახალქალაქი - ახალქალაქი, ვაჩიანის გზატკეცილი (ციხესთან)
20. შპს ,,იბერგაზი” - თბილისი, ქინძმარაულის 12
21. შპს ,,დელტა პე” - თბილისი, ქსნის ქუჩის დასაწყისი

"ნეოგაზის" მოძრავი სადგურები:

1. თემქა - ქ. თბილისი, თემქის დას. მე-3 მ/რ, მე-5 კვ. N25 ა
2. რუსთავი - ქ. რუსთავი, აღმაშენებლის და ფანცულაიას ქუჩის მიმდ. ტერიტორია
3. მარტყოფი - გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი
4. ვარდისუბანი - თელავის რ-ნი, სოფ ვარდისუბანი
5. გომი - ხაშურის რაიონი, სოფელი გომი, საჩხერის გადასახვევი
6. სამტრედია - ქ. სამტრედია, კოსტავას ქ. N3

დანართი N2
„ნეოგაზის“ თბილვადი გაზის სადგურების ჩამონათვალი:

1. საბურთალო უნივერსიტეტი - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N1
2. აეროპორტი - ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თბილვადი გაზით გასამართი სადგურის მიმებარედ
3. დიღომი - ქ. თბილისი, საქართველოს სამხედრო გზასა და გლდანში გადასახვევი გზის გადაკვეთასთან
4. ნატახტარი - მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი
5. ლოჭინი - გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი
6. ზესტაფონი - ზესტაფონის რაიონი, სოფელი არგვეთა
7. სამტრედია - ქ. სამტრედია, სანავარდოს ქ.
8. თელავი - ქ. თელავი თბილისის გზატკეცილი
9. ქუთაისი - ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. N1
10. ველისციხე - გურჯაანის რაიონი, სოფელი მუკუზანი
11. ჭობულეთი - 74, აღმაშენებელის ქუჩა, ოზურეთი
12. გორი - სტალინის ქუჩის დასაწყისი, გორი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N221603735
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.11.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ზაალ ზაქარაშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 47**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**595 07 52 44**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	72369332362922

მე, საქართველოს ნოტარიუსი ზაალი ზაქარაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N47-ში, ვადასტურებ დიპლომირებული მთარგმნელის ზურაბი კუხიანიძის (დაბადებული: 30.01.1988წ, დაბ. ადგილი- საქართველო, ქუთაისი, პირადი ნომრით 60001070097, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, კოტე მესხის ქუჩა, N 18, ბინა 6-ში; სერტიფიკატი, გაცემული სასწავლო ცენტრი NM-ის გაცემული 07.06.2022წ) ხელმოწერის ნამდვილობას ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე შესრულებულ დოკუმენტზე.
თარჯიმანი გაფრთხილებულია რომ ის არის პასუხისმგებელი თარგმნის ხარისხზე და იძლევა მისი სიზუსტის გარანტიას.
გადახდილია საზღაური თანახმად სანოტარო მოქმედებების შესრულებათა შესრულებისათვის, საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #507 -ის 31მუხლისა 144,00 ლარი, აგრეთვე დღგ 25.92 ლარი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად) და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5,00 ლარი. თანახმად 39-ე მუხლისა

ნოტარიუსი ზაალი ზაქარაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შეტანის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995 32) 2 66 19 18